



## საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა

### ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა



მომზადებულია: ა/ო „მწვანე ბორჯომი“



საქართველო

2020 წელი

# სარჩევი

სარჩევი.....	2
თავი I შესავალი.....	7
მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მიზნები და მოქმედების ტერიტორიული სფერო .....	7
მუხლი 2. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მარეგულირებელი, საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩოს აღწერა.....	8
მუხლი 3. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზნები	8
მუხლი 4. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი.....	9
მუხლი 5. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდი .....	9
მუხლი 6. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა და განახლება .....	9
თავი II ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების აღწერა.....	9
მუხლი 7. ადგილმდებარეობა და ფართობი .....	9
მუხლი 8. ბიომრავალფეროვნება.....	10
მუხლი 9. ლანდშაფტები .....	14
მუხლი 10. გეოლოგია და ჰიდროლოგია .....	15
მუხლი 11. კლიმატი.....	17
მუხლი 12. ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალი .....	18
მუხლი 13. ტრადიციული საქმიანობა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება	18
მუხლი 14. ისტორიულ-კულტურული ღირებულება.....	19
მუხლი 15. ეკოსაგანმანათლებლო პოტენციალი.....	21
მუხლი 16. საზოგადოებასთან ურთიერთობა.....	21
მუხლი 17. მიწათსაკუთრება და მიწათსარგებლობა .....	22
მუხლი 18. სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები.....	22

მუხლი 19: ზურმუხტის ქსელი.....	23
თავი III. გრძელვადიანი მიზნები .....	24
მუხლი 20. ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნები.....	24
მუხლი 21. გარემოსდაცვით განათლებასა და სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგთან დაკავშირებული მიზნები.....	24
მუხლი 22. ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები.....	24
მუხლი 23. ტრადიციული საქმიანობების ხელშეწყობასთან და და თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს შენარჩუნებასთან დაკავშირებული მიზნები .....	25
მუხლი 24. ბუნებრივი რესურსების მდგრად სარგებლობასთან დაკავშირებული მიზნები .....	25
მუხლი 25. დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის გაძლიერებასთან დაკავშირებული მიზნები .....	25
თავი IV. სიტუაციური ანალიზი .....	25
მუხლი 26. დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების არსებული მდგომარეობა .....	25
მუხლი 27. დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების საფრთხეები .....	29
მუხლი 28. ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობა.....	32
მუხლი 29. ეკოტურიზმი.....	52
მუხლი 30. ტერიტორიის დაცვა-პატრულირება .....	66
მუხლი 31. საზოგადოებასთან ურთიერთობა.....	72
მუხლი 32. გარემოსდაცვითი განათლება.....	73
მუხლი 33. მენეჯმენტი და ადმინისტრაცია.....	78
მუხლი 34. ადგილობრივი თემებისთვის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლიანობის შეფასება .....	86
თავი V. დაცული ტერიტორიების შიდა ზონირება.....	88

მუხლი 35. დაცული ტერიტორიის კატეგორიების ზონების ჩამონათვალი .....	88
მუხლი 36. დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და ზონების ფართობი და საზღვრები .....	91
მუხლი 37: დაცული ტერიტორიების თითოეულ კატეგორიასა და ზონაში დაშვებული საქმიანობების ჩამონათვალი .....	91
თავი VI. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები .....	104
მუხლი 38. პასუხისმგებლობა მენეჯმენტის გეგმის განხორციელებაზე .....	104
მუხლი 39. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები .....	105
მუხლი 40. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და მონიტორინგის პროგრამა .....	105
მუხლი 41. პატრულირებისა და კანონალსრულების პროგრამა .....	110
მუხლი 42. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პროგრამა .....	114
მუხლი 43. ეკოტურიზმის პროგრამა .....	117
მუხლი 44. გარემოსდაცვითი განათლების პროგრამა .....	122
მუხლი 45. საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა .....	125
მუხლი 46. მენეჯმენტის და ადმინისტრაციის პროგრამა .....	128
თავი VII. მენეჯმენტის გეგმის მონიტორინგი .....	132
მუხლი 47. ინდიკატორები და მათი შერჩევის საფუძველი .....	132
მუხლი 48. მენეჯმენტის გეგმის მიზნების და ქმედებების შესრულების პროგრესის მონიტორინგი .....	133
მუხლი 49. მენეჯმენტის გეგმის მიზნებისა და ქმედებების მონიტორინგის პროცედურები და ეტაპები .....	133
მუხლი 50. მენეჯმენტის გეგმის მიზნებისა და ქმედებების მონიტორინგის გეგმა .....	133
დანართები .....	135
გამოყენებული ლიტერატურა .....	136

## ცხრილები

ცხრილი 1: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებები და არსებული მდგომარეობა .....	26
ცხრილი 2: სამიზნე ღირებულებების საფრთხეები .....	29
ცხრილი 3: ეროვნულ პარკში შეთავაზებული სერვისების ფასები .....	55
ცხრილი 4: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურისტების სტატისტიკა (ერთდღიანი VS რამდენიმე დღიანი) .....	58
ცხრილი 5: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურისტების სტატისტიკა (უცხოელი VS ქართველი) .....	58
ცხრილი 6: ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ტურისტული შემოსავლები მომსახურების სახეების მიხედვით.....	59
ცხრილი 7: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორების სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით .....	61

## დიაგრამები

დიაგრამა 1: დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ გაცემული I და II ხარისხის მერქანი 2014-2019 წწ.....	35
დიაგრამა 2: I და II ხარისხის მერქანის გაცემა მუნიციპალიტეტების მიხედვით .....	35
დიაგრამა 3: 2014-2019 წლებში საქონლის რაოდენობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ალპურ სამოვრებზე .....	37
დიაგრამა 4: სამოვრების გამოყენება მუნიციპალიტეტების მიხედვით .....	38
დიაგრამა 5: ადმინისტრაციის კვლევების შედეგად გამოვლენილი ინფორმაცია ტერიტორიაზე დაზიანებული ფართობების შესახებ .....	42
დიაგრამა 6: 2014-2018 წწ ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე ხანძრის შედეგად დაზიანებული ფართობი .....	43
დიაგრამა 7: საკვანძო სახეობების კვალზე დაკვირვების მონაცემები.....	47

დიაგრამა 8: ტურისტების მიერ მარშრუტების გამოყენება.....	60
დიაგრამა 9: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები .....	62
დიაგრამა 10: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების 2014-2019 წწ გამოვლენილი სამართალდარღვევები .....	69
დიაგრამა 11: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საშტატო ცვლილებები .....	79

## თავი I შესავალი

### მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მიზნები და მოქმედების ტერიტორიული სფერო

1. წინამდებარე მენეჯმენტის გეგმა შემუშავებული იქნა დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მენეჯმენტის გეგმა სავალდებულოა ყველა დაცული ტერიტორიისათვის;
2. მენეჯმენტის გეგმის მიზანს წარმოადგენს დაცული ტერიტორიებისათვის გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრა, რომლის შედეგების მიღწევაც უნდა დაისახოს პასუხისმგებელმა უწყებამ მენეჯმენტის გეგმის ძალაში ყოფნის პერიოდში, ამ შედეგების მისაღწევად მან უნდა განახორციელოს კონკრეტული ქმედებები და დასახოს ინდიკატორები მონიტორინგის განსახორციელებლად;
3. „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა“ შემუშავებულია ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, ნემვის ალკვეთილის, ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის და გოდერძის განამარხებული ტყის ბუნების ძეგლისათვის (დანართი 1 - საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა);
4. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და მოიცავს მცირე კავკასიონის მთების აღმოსავლეთ ნაწილს. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი ქმნიან მომიჯნავე ტერიტორიებს, რომლებსაც სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება მდინარე მტკვარი და თბილისი-ახალციხის საავტომობილო და სარკინიგზო გზა, ჩრდილოეთით იგი ვრცელდება აჭარა-იმერეთის ქედზე მდინარე წყალწითელას ხეობაში და 30 კილომეტრზე აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე. ნემვის ალკვეთილი მდებარეობს მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონში, ბორჯომის, წალკისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში. გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი მდებარეობს ადიგენისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში;
5. დაცულ ტერიტორიებს უკავია ხუთი ადმინისტრაციული რეგიონის ტერიტორია: სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და აჭარა. რვა მუნიციპალიტეტი – ახალციხე, ბაღდათი, ხარაგაული, ადიგენი, ხაშური, ბორჯომი, ახალქალაქი, ხულო (დანართი № 2 ტერიტორიის რუკა).

## მუხლი 2. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მარეგულირებელი, საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩოს აღწერა

„ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის“ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი. საქართველოს კანონი „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მართვისა და შექმნის შესახებ“ ასევე, საკანონმდებლო ჩარჩოს დამატებით ნაწილებს წარმოადგენს „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ და „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ტყის კოდექსი, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონი, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოში მოქმედი სხვა კანონმდებლობა.

## მუხლი 3. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზნები

1. **ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი** – ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიკურ და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნება, მონიტორინგის, სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;
2. **ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკი** – ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის ეკოსისტემის დაცვა და რეკრეაციული საქმიანობა;
3. **ნემვის აღკვეთილი** – ბუნებრივი პირობების დაცვა, რომელიც აუცილებელია ეროვნული მნიშვნელობის მქონე იმ ცოცხალი ორგანიზმების სახეობების ჯგუფებისა ან გარეული სახეობების, ბიოცენოზებისა და არაორგანული ბუნებრივი ფორმაციების შესანარჩუნებლად, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებასა და აღდგენას;
4. **ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი** - ტერიტორიაზე გავრცელებული ფრინველების: შავი და თეთრი ყარყატის (*Ciconia nigra and C. ciconia*), რუხი წეროს (*Grus grus*), ღალღას (*Crex crex*), თეთრფრთიანი გარიელის (*Melanitta fusca*) და მათი საარსებო გარემოს – უნიკალური ჭარბტენიანი ტერიტორიებისა და მაღალმთის ეკოსისტემების დასაცავად;
5. **გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი** - თვითმყოფადი ბუნებრივი კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, უნიკალური, იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების, იშვიათი ძეგლების დაცვის, აღდგენისა და შენარჩუნების ხელშეწყობა.

#### მუხლი 4. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის განახლების პროცესი მიმდინარეობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება #2-668 (2018 წლის 13 აგვისტო) „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების, მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურების შესახებ“ შესაბამისად. მენეჯმენტის გეგმის განახლება განხორციელდა „კავკასიის ბუნების ფონდის“ (CNF) ფინანსური მხარდაჭერით, GEF/UNDP პროექტის “საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა” - ფარგლებში. მუშაობის პროცესში მონაწილეობას იღებდნენ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი მედია და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეები. მენეჯმენტის გეგმის განახლების პროცესს ფასილიტიციას უწევდა ა/ო „მწვანე ბორჯომი.“

#### მუხლი 5. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდი

მენეჯმენტის გეგმა ძალაშია მისი ოფიციალურად ძალაში შესვლიდან 9 წლის განმავლობაში.

#### მუხლი 6. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა და განახლება

1. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მეცხრე წლის პირველი კვარტლისა, დაცული ტერიტორიების სააგენტო დაიწყებს ახალი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იქნება მიღებული.

### თავი II ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების აღწერა

#### მუხლი 7. ადგილმდებარეობა და ფართობი

- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ფართობი 2020 წელს გაფართოვდა და 64756 ჰა-ს მოიცავს. იგი მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის და შიდა-ქართლის რეგიონში, ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ხაშურის, ხარაგაულის და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში. იგი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და მცირე კავკასიონის მთების აღმოსავლეთ ნაწილს ქმნის. შეიქმნა 1995 წელს;

- ბორჯომის ნაკრძალი მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მისი ფართობი 13 168,6 ჰა-ს მოიცავს. მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და მცირე კავკასიონის მთების აღმოსავლეთ ნაწილს ქმნის. შეიქმნა 1935 წელს;
- ნემვის ალკვეთილი მდებარეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს. მისი ფართობია 9 212,5 ჰა. შეიქმნა 1995 წელს. დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ნემვის ალკვეთილის მართვას ახორციელებს 2006 წლიდან;
- ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი მდებარეობს საცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში, ბორჯომის, ახალქალაქის და წალკის მუნიციპალიტეტებში. ალკვეთილი ფარავს 20 476 ჰა-ს. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი შეიქმნა 1995 წელს. დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ალკვეთილის მართვას ახორციელებს 2015 წლიდან;
- გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი წარმოადგენს პლიოცენის პერიოდის განამარხებული ფლორისა და ფაუნის უნიკალურ ადგილსამყოფელს, რომელიც წარმოდგენილია ძეგლის ფარგლებში 3 მონაკვეთზე, ზღვის დონიდან 1600-2100 მ სიმაღლეზე. მდებარეობს ადიგენისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, საერთო ფართობი შეადგეს 36 ჰა-ს. ბუნების ძეგლი შეიქმნა 2013 წელს.

## მუხლი 8. ბიომრავალფეროვნება

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მდებარეობს კავკასიის ეკორეგიონის ცენტრალურ ნაწილში. გამორჩეული ბიომრავალფეროვნების და მოწყვლადობის გამო ეკორეგიონი შესულია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის 35 პრიორიტეტული ეკორეგიონის და საერთაშორისო კონსერვაციის 34 ცხელი წერტილის ნუსხაში.<sup>1</sup> დაცული ტერიტორიები განლაგებულია ორი ასეთი ცხელი წერტილის (კავკასიისა და ანატოლიის) ზღვარზე. უფრო მეტიც, კავკასიის ეკორეგიონული კონსერვაციის გეგმის მიხედვით, დაცული ტერიტორიები მოიცავს კავკასიის ეკორეგიონის 56 პრიორიტეტული არეალიდან ერთ-ერთის (№27) მნიშვნელოვან ნაწილს. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიას ზურმუხტის ქსელის ორი საიტი ფარავს, ესენია ქცია-ტაბაწყური (GE0000038) და ბორჯომ-ხარაგაული 1 (GE0000010). ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებს გარს ერტყმის ზურმუხტის ქსელის საიტი ბორჯომ-ხარაგაული 2 (GE0000056), რომელიც დაცული ეკოსისტემის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. მათი საერთო ფართობი 1200 კმ<sup>2</sup>-ზე მეტია და მოიცავს ბერნის კონვენციით დაცულ სახეობებსა და ჰაბიტატებს რომლის გრძელვადიანი კონსერვაცია წარმოადგენს ქვეყნის საერთაშორისო

<sup>1</sup> ტექნიკური რეგლამენტის - ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე.2014

ვალდებულებას;

2. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მთავარი სიმდიდრე ტყეა (ტერიტორიის 75%). აქ დაცულია კავკასიის შერეული ტყეების ხელუხლებელი მონაკვეთების დიდი ფართობები; გვხვდება უნიკალური, რელიქტური კოლხური ტყეების ფრაგმენტები. პარკის დაახლოებით მეოთხედი სუბალპურ და ალპურ მდელოებს, ასევე დეკიანს (რელიქტური კავკასიური როდოდენდრონის რაყებს) უჭირავს. ამასთან აქ არის თავმოყრილი წმინდა ნაძვნარების (*Picea*) და ფიჭვნარების (*Pinus*) მასივები, რომლებიც ზღვის დონიდან 1400-1800 მ-ის ფარგლებში გავრცელებული. ტყის შემქმნელი ყველა წიწვოვანი კავკასიის ენდემია: აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis*), კავკასიური სოჭი (*Abies nordmanniana*) და კავკასიური ფიჭვი (*Pinus kochiana*). ფართოფოთლოვანებიდან ქვედა სარტყლებში ქართული მუხა (*Quercus iberica*) და რცხილა ჭარბობს (*Carpinus caucasica*), ზედა სარტყლებში – წიფელი (*Fagus orientalis*); ხშირია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი წაბლი (*Castanea sativa*) და სხვ. ეს სახეობები სხვადასხვა სარტყლებსა და ჰაბიტატებში მრავალგვარ ფორმაციებს ქმნიან. ტერიტორიაზე აქა-იქ გვხვდება სუბალპური ტანბრეცილი არყნარებიც (*Betula litwinowii*);
3. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ხე-მცენარეთა სახეობებიდან, წაბლის გარდა, გვხვდება უხრავი (*Ostrya carpinifolia*), ჯონჯოლი (*Staphylea colchica*), აღმოსავლური მუხა (*Quercus macranthera*), შიშველი თელადუმა (*Ulmus glabra*);
4. ტიპური ტენიანი კოლხური ტყისათვის დამახასიათებელი მესამეული რელიქტური სახეობებიდან გვხვდება ბუჩქები – შქერი (*Rhododendron ponticum*), იელი (*Rhododendron flavium*), წყავი (*Laurocerasus officinalis*), ჭყორი (*Ilex aquifolium*), ასევე კოლხური სურო (*Hedera colchica*) და სხვა;
5. დაცული ტერიტორიების მდებარეობამ ირანულ-ანატოლიური ეკორეგიონების ზღვარზე, გამოიწვია მისი სამხრეთული სახეობებით სიმდიდრე, როგორცაა: კავკასიური აკაკი (*Celtis caucasica*), ხუჭუჭა მაჩიტა (*Campanula crispa*), ცრუ აღმოსავლური ყაყაჩო (*Papaver pseudo orientalis*) და სხვა;
6. ტყე და მაღალმთა განსაკუთრებულად მდიდარია რელიქტური, ენდემური, იშვიათი და მოწყვლადი არა მხოლოდ ფლორის, არამედ ფაუნის სახეობებითაც. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აღრიცხულია 64 სახეობის ძუძუმწოვარი, საიდანაც 11 კავკასიის ენდემია და 8 სახეობა საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შესული. აქ 217 სახეობის გადამფრენი და მოზუდარი ფრინველი გვხვდება, მათგან 13 სახეობა საქართველოს „წითელ ნუსხაშია“. დაცული ტერიტორიის ტენიან ტყეებში რეპტილიების 30 სახეობა

ბინადრობს, რომელთაგან 3 დასავლეთ კავკასიის ენდემია და 2 სახეობა “წითელ ნუსხაშია” შეტანილი;

7. ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებულია ენდემური სახეობები: კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*), კავკასიური ჯვარულა (*Pelodytes caucasica*), აჭარული ხვლიკი (*Darevskia mixta*), კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*) და სხვა;
8. დაცულ ტერიტორიებზე შენარჩუნებულია იშვიათი თუ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი, საქართველოს “წითელ ნუსხაში” შეტანილი მსხვილი ძუძუმწოვრების და ფრინველების ისეთი სახეობები და ქვესახეობები, როგორცაა: კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral*), არჩვი (*Rupicapra rupicapra*), გარეული ღორი (*Sus scrofa*), შველი (*Capreolus capreolus*). მტაცებლებიდან გავრცელებულია მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), მგელი (*Canis lupus*), წავი (*Lutra lutra*). ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში აღრიცხულია ღამურების 20 სახეობა, მათგან აღსანიშნავია ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*) და გიგანტური მელამურა (*nyctalus lasiopterus*). დაცულ ტერიტორიაზე ასევე გვხვდება კავკასიური ციცივი (*Sciurus anomalus*). ფრინველებიდან ნანახია: სვავი (*Aegypius monachus*), მთის არწივი (*Aquila chrysaetus fulva*), ქორცქვიტა (*Accipiter brevipes*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*). აქ ბინადრობს კასპიური შურთხი (*Tetraogallus caspius*) კავკასიური როჭო (*Lyrurus mlkosiewiczzi*) და სხვა;
9. მთის მდინარეებში შენარჩუნებულია მდინარის კალმახის (*Salmo fario trutta*) მრავალრიცხოვანი პოპულაცია;
10. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის ტერიტორიის უდიდეს ნაწილში გავრცელებულია მდელოსა და მთის სტეპის მცენარეულობა. ინტენსიური ძოვების გამო ბუნებრივად გავრცელებული მდელოს მცენარეულობა ჩანაცვლებულია მეორადი მცენარეულობით. ძირითადად გავრცელებულია მდელოს შემდეგი ტიპები: მარმუჭიანის (*Alchemilla erythropoda*), ცხვრის წივანიანის (*Festuca ovina*), ძიგვიანის (*Nardus stricta*), მახრჩობელიანის (*Deschampsia cespitosa*), ნამიკრეფიანის (*Agrostis planifolia*, *Agrostis tenuifolia*), ძირმაგარიანის (*Sibbaldia semiglabra*), ფართეფოთლიან-ნაირბალახოვანის (*Latifolia mixtohorbosa*) თანასაზოგადოებები. მთის სტეპების მცენარეულობაში დომინანტური სახეობაა ველის წივანა (*Festuca valesiaca*). ვაციწვერა (*Stipa*), რომელიც დამახასიათებელია ჯავახეთის ზეგანის სამხრეთ ნაწილის მთის სტეპებისათვის, არ გვხვდება ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის ფარგლებში. ალკვეთილის ფარგლებში ბუჩქნარი ადგილ-ადგილ არის წარმოდგენილი. დომინანტური სახეობაა კავკასიური დეკა (*Rhododendron caucasicum*). ასევე მასთან ერთად აქ არის წარმოდგენილი სხვა სახეობებიც, როგორცაა: უზანი (*Viburnum lantana*), ქართული კოწახური (*Berberis iberica*),

ჟოლო (*Rubus idaeus*), ასკილი (*Rosa pimpinellifolia*), ხუნწი (*Ribes alpinum*), ღვია (*Juniperus hemisphaerica*), შოთხვი (*Padus avium*), გრაკლა (*Spiraea hypericifolia*) და წერწა (*Lonicera caucasica*). აღკვეთილის ფარგლებში შემორჩენილია სუბალპური ტყის მცენარეულობის მცირე ფრაგმენტები. ეს ფრაგმენტები არის საქართველოს სამხრეთ მთიან რეგიონში წარსულში ფართოდ გავრცელებული ტყეების ნაშთები. გვხვდება სუბალპური ტანბრეცილი წიფლნარები და მაღალმთის მუხის სამი კორომი. ასევე წარმოდგენილია მაღალმთის ნეკერჩხლის (*Acer trautvetteri*), მდგნალის (*Salix caprea*), ლიტვინოვის არყის (*Betula litwinowii*) და ცირცელის (*Sorbus aucuparia*) ფრაგმენტული კორომები, სადაც ქვეტყეს ქმნის შემდეგი სახეობები: ხუნწი (*Ribes biebersteinii*), ჟოლო (*Rubus idaeus*), უზანი (*Viburnum lantana*) და შოთხვი (*Padus avium*);

11. ტაბაწყურის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაპირებზე ცალკეული უბნები დაჭაობებულია. ზოგიერთ ჭაობს ხმელეთსა და ტბისპირა დიუნებს შორის არსებული საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უკავია. შვიტიანის (*Equisetum heleocharis*) და ისლიანის (*Caricetum vesicariae purum*) სახეობების მიერ შექმნილი წმინდა თანასაზოგადოებები გვხვდება ჭარბტენიანი ტერიტორიების ნაპირის გასწვრივ. ამ ადგილებში გვხვდება წყლის სხვა მცენარეებიც: წყლის მრავალძარღვა (*Alisma plantago-aquatica*), წყლის ვაზი (*Potamogeton heterophyllus*) და სხვა;
12. ტაბაწყურის ტბის იქთიოფაუნა ძირითადად წარმოდგენილია 3 ოჯახით (ორაგულსებრი, სიგისებრი და კობრისებრი) და 9 სახეობით. ტბაში გვხვდება ასევე კარჩხანა, მტკვრის ნაფოტა და კიბორჩხალის დაუდგენელი სახეობა. ტბაში ასევე დაფიქსირებულია კავკასიური ღორჯოს (*Neogobius melanostomus*) არსებობა. ტაბაწყურის ტბაში გავრცელებული იყო მხოლოდ კალმახი (*Salmo trutta caspius morpha lacustris var. romanovi Kawraisky*) – ტაბაწყურის (რომანოვის) კალმახი. მისი ზუსტი ტაქსონომიური სტატუსი და რაოდენობა არ არის გარკვეული და საჭიროებს კვლევას. ტბაში ხელოვნურად მოხვდა სხვა სახეობების ინტროდუცირება კომერციული მიზნით. კალმახი ჩაანაცვლა დაბალი კომერციული და საკონსერვაციო ღირებულების მქონე სახეობებმა. მდინარე ქციაში გვხვდება მხოლოდ კალმახი (*Salmo trutta morpha fario*) და *Varicorhinus capoeta sevangi* (სევანური ხრამულის განსხვავებული ფორმა). ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილში გავრცელებულია ამფიბიების ექვსი სახეობა. აღკვეთილის ტერიტორიაზე გვხვდება რეპტილიების 10 სახეობა. ექვსი არის ხვლიკის და ოთხი – გველის სახეობა. ამათგან აქარული ხვლიკი (*Darevskia mixta*) და საშუალო ხვლიკი (*Lacerta media*) შესულია საქართველოს „წითელ ნუსხაში“. აღკვეთილის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ძუძუმწოვრების 45 სახეობა. აქ წარმოდგენილია: ამიერკავკასიური ზაზუნა (*Mesocricetus brandti*), ნერინგის

ბრუცა (*Nannospalax nehringi*), წავი (*Lutra lutra*), მგელი (*Canis lupus*), მელა (*Vulpes vulpes*), ჭრელტყავა (*Vormela peregusna*), მაჩვი (*Meles meles*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), ნაცრისფერი ზაზუნელა (*Cricetulus migratorius*) და სხვა;

13. აღკვეთილი მდიდარია ფრინველთა სახეობებით. სეზონების უმეტესობის დროს ერთდროულად აქ შეიძლება შეგვხვდეს ფრინველთა 150-მდე სახეობა. შესამჩნევია წყალმცურავ და მტაცებელ ფრინველთა მნიშვნელოვანი ნაირფეროვნება: ბეჭობის არწივი (*Aquila heliacea*), კავკასიური როჭო (*Lyrurus mlokosiewiczzi*) დიდი მყივანი არწივი (*Aquila clanga*), დალდა (*Crex crex*), თეთრფთიანი გარიელი (*Melanitta fusca*), წითელი იხვი (*Tadorna ferrugine*), რუხი წერო (*Grus grus*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*) და მცირე კირტკიტა (*Falco naumanni*), ქოჩორა ვარხვი (*Pelecanus crispus*) და სხვა;
14. გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი წარმოადგენს პლიოცენის პერიოდის განამარხებული ფლორისა და ფაუნის უნიკალურ ადგილსამყოფელს. აქ გაშიშვლებული ნეოგენის ვულკანოგენურ წყებებში მოჩანს განამარხებული ტყის შემადგენელი ნაწილები, რომელიც შეიცავს ქვედაპლიოცენური ასაკის დიდძალ მცენარეულ ნაშთებს (პალმები, მაგნოლიები, დაფნები, მირიკასებრნი, საპინდასებრნი, მირტასებრნი ერთის მხრივ და ტირიფისებრნი, არყი, რცხილა, წიფლისებრნი - მეორე მხრივ). მცენარეული ნაშთები გამოსახულია ნაცრისფერ ვულკანურ ტუფში მოქცეული ხეების გაქვავებული და ნახევრად გაქვავებული დეროებითა და ფოთლების ანაბეჭდებით.

## მუხლი 9. ლანდშაფტები

1. დაცული ტერიტორიების დიდი ფართობი შედარებით ნაკლებადაა სახეცვლილი ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად და ქმნის უწყვეტ, ხელუხლებელ ტერიტორიას, პირველ რიგში მთის ტყეებს, რომლებიც მცენარეულ და ცხოველთა თანასაზოგადოებასთან და მათთან ასოცირებულ ეკოსისტემებთან ერთად უმეტესად ბუნებრივ მდგომარეობაშია შენარჩუნებული. ბუნების საერთაშორისო მნიშვნელობა აღიარებულ იქნა 2007 წელს, როდესაც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი გახდა PAN Park-ების ორგანიზაციის ქსელის წევრი. PAN Parks (დაცული ტერიტორიების ქსელი) - წარმოადგენდა ევროპის საუკეთესოდ დაცული დაცული ტერიტორიების ქსელს რომელიც აერთიანებდა 13 ეროვნულ პარკს, 2014 წლიდან ორგანიზაცია ფუნქციონირებს როგორც ევროპის ველური ბუნების საზოგადოება;<sup>2</sup>
2. მთისა და ტყის ლანდშაფტები წარმოადგენს ბორჯომ-ხარაგაულის დაცული

<sup>2</sup> <https://wilderness-society.org>

ტერიტორიების ერთ-ერთ განსაკუთრებულ ფასეულობას. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მთები ვრცელი და ხელუხლებელი ტყის სარტყლის გავლით, სწრაფად და შთამბეჭდავად მიემართებიან 2 500 მეტრზე მაღლა, ტყე ზღვის დონიდან სიმაღლის ზრდასთან ერთად შესაბამისად იცვლება;

3. სიმაღლის ზრდასთან ერთად, ტყის ადგილს თანდათანობით იკავებს ალპური მდელოები და მეჩხერი მცენარეულობით დაფარული მთის მწვერვალები, რომლებიც შეკყურებენ ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის თოვლით დაფარულ მწვერვალებს;
4. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის ფარგლებში მოქცეულია ჰაბიტატების რამდენიმე ტიპი, როგორც ხმელეთის, ასევე წყლის. ისინი უზრუნველყოფენ მცენარეულობის სხვადასხვა თანასაზოგადოების არსებობას. ხმელეთის ჰაბიტატები მოიცავს მდელოებს/მაღალბალახეულობას, მთის სტეპებს, ბუჩქნარებსა და ტყეებს. გარდა ჩამოთვლილისა ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილში ასევე გვხვდება სუბალპური მაღალბალახეულობა, ვულკანური ლოდნარები და ლორღიანები და ადამიანის მიერ შექმნილი ჰაბიტატები. წყლის ჰაბიტატები წარმოდგენილია ტბისა და მდინარის ჰაბიტატებით და ფრაგმენტული ჭარბტენიანი ტერიტორიებით. მათ შორის გამოირჩევა ტორფიანი უბნები, ისლიანი ჭარბტენიანი ტერიტორიები, შვიტიანი ჭარბტენიანი ტერიტორიები და სხვა დაჭაობებული უბნები.

## მუხლი 10. გეოლოგია და ჰიდროლოგია

1. ბორჯომ-ხარაგაულის რეგიონი ძირითადად შედგება მესამეული პერიოდის დანალექი ქანებისაგან (თიხა, მერგელი, ქვიშა) და მეოთხეული ვულკანური დანალექი ქანებისაგან (ანდეზიტი, ბაზალტი, დოლერიტი). ძირითადი ოროგრაფიული მახასიათებლებია აღმოსავლეთით – თრიალეთის და დასავლეთით - აჭარა-იმერეთის ქედი. შავნაბადა (2920 მ) წარმოადგენს ყველაზე მაღალ მწვერვალს. სხვა მთების სიმაღლე აღემატება 2 500 მ-ს. რელიეფი მრავალფეროვანია და ხასიათდება ღრმა ხეობებით, ვულკანური პლატოებითა და გაქვავებული ლავის ნაშთებით. რეგიონის გეომორფოლოგიიდან აღსანიშნავია თეთრობ-ჩობარეთის ქედი, რომელიც შედგება ცარცის დანალექი ქანებისა და მდინარე ქციისა და ტაბაწყურის ტბის სინკლინური წარმონაქმნებისაგან. დაცული ტერიტორიები მცირედით განსხვავებულია რეგიონისაგან. ტერიტორიის უმეტესობა შედგება მესამეული პერიოდის დანალექებისა და მეოთხეული ვულკანური დანალექი ქანებისაგან, რომელიც ასევე მთლიანად რეგიონის მახასიათებელია. რელიეფში დომინირებს ციცაბო ხეობები და მდელოები მრავალი ჩანჩქერით;

2. რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარე არის მდინარე მტკვარი; ეს არის კავკასიაში ყველაზე გრძელი მდინარე და ძალიან მნიშვნელოვანი წყალშემკრები აუზი კასპიის ზღვაში ჩამდინარე წყლებისათვის. მრავალი შენაკადი, რომელიც სათავეს იღებს მცირე კავკასიონიდან, ქმნის ღრმა ხეობებს რეგიონის ლანდშაფტში. ნაკადულები, რომლებიც მოედინებიან აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, შეადგენენ შავი ზღვის წყალშემკრები აუზის ნაწილს. რეგიონში ყველაზე დიდ ტბას წარმოადგენს ტაბაწყურის ტბა, რომელიც ზღვის დონიდან 1 990 მეტრზე მდებარეობს და მისი სარკის ფართობი 14,2 კმ<sup>2</sup>-ია. ნარიანის ჭაობი (2050-2080 მ ზ.დ), რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული ეკოლოგიური მნიშვნელობა, ვინაიდან იგი წარმოადგენს კავკასიონზე ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა არსებულ დაჭაობებულ ტერიტორიას;
3. რეგიონში მოიპოვება 30-ზე მეტი მინერალური წყალი. სამკურნალო მინერალური წყლებიდან აღსანიშნავია ზვარე, მიტარბი და ნუნისი. ცნობილი მინერალური წყლის – ბორჯომის ბოთლებში ჩამოსხმა და საერთაშორისო ბაზარზე გატანა დაიწყო ჯერ კიდევ 1891 წლიდან;
4. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი ხასიათდება მთიანი რელიეფით. უმაღლესი მწვერვალი ზღვის დონიდან 2,800 მეტრზე მაღლა მდებარეობს. ალკვეთილის ფარგლებში და მის მიმდებარედ, მორფოლოგიური თვალსაზრისით, ღირსშესანიშნავია სამსარის ქედი, თავკვეთილას კონუსი, შავნაბადას ვულკანური მასივი, პატარა შავნაბადა, შუამთის, მშრალი მთის ვულკანური კონუსები, თრიალეთის ქედი;
5. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის ფარგლებში ორი ძირითადი წყლის ობიექტია – მდინარე ქცია და ტაბაწყურის ტბა. მდინარე ქცია სათავეს იღებს თრიალეთის ქედის სამხრეთ ფერდობებზე ზღვის დონიდან 2,422 მ-ის სიმაღლეზე. მდინარის მთლიანი სიგრძე 201 კმ-ია. ალკვეთილის ფარგლებში მდინარე ქციას სიგრძე 26 კმ-ია, საშუალო ქანობი 23.9%, წყალშემკრები აუზის ფართობი 108 კმ<sup>2</sup>. ტაბაწყურის ტბა ითვლება განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობის მქონე წყლის ობიექტად. მოცულობის მიხედვით ის ყველაზე დიდი ტბაა საქართველოში. მისი მოცულობა 221 მილიონ მ<sup>3</sup>-ს შეადგენს. ზედაპირის ფართობი 14.2 კმ<sup>2</sup>-ია, სიღრმე 42.2 მ-ს აღწევს. ტაბაწყურის ტბას აქვს ჩაკეტილი აუზი. ტბის წყლის გადინება ხდება დაბალი წყალგამტარობის მქონე მიწისქვეშა ნაპრალებით.

## მუხლი 11. კლიმატი

1. რეგიონის ზღვის დონიდან სიმაღლის ცვალებადობა შეადგენს 1 500 მ-ზე მეტს და მისი გეოგრაფიული მდებარეობა მოიცავს სამ განსხვავებულ კლიმატურ ზონას:
  - ა) ნოტიო კოლხური;
  - ბ) ზომიერი ცენტრალურ კავკასიური;
  - გ) მშრალი კონტინენტურ კავკასიური;
2. ზემოთ ჩამოთვლილი კლიმატური ზონები განაპირობებენ ფართო კლიმატურ დიაპაზონს. აჭარა-იმერეთის ქედის საშუალო წლიური ნალექი შეადგენს 1 200-1 400 მმ, მაშინ როცა რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილში ნალექების რაოდენობა დაახლოებით 600 მმ-ია. მსგავსი ცვლილებები შეინიშნება საშუალო ტემპერატურის მაჩვენებლებშიც. ტაბაწყურის ტბის (2 000 მ) მიდამოებში იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა შეადგენს  $-10^{\circ}\text{C}$ -ს, ივლისისა  $13^{\circ}\text{C}$ -ს. ბორჯომის საშუალო ტემპერატურა იანვარში არის  $-3^{\circ}\text{C}$  და ივლისში  $19^{\circ}\text{C}$ ;
3. პარკის ტერიტორიაზე მთისათვის დამახასიათებელი კლიმატია ცივი დიდთოვლიანი ზამთრით და გრძელი თბილი ზაფხულით. დაბალ სარტყლებში 450-1100 მ ფარგლებში ზაფხულის ხანგრძლივობა შეადგენს 3,5 თვეს, უფრო მაღალ სარტყლებში, 1 500 მ-ზე მაღლა, ზაფხული გრძელდება მხოლოდ ორი თვე. დაბალ ზონაში ზაფხულის მაქსიმალური ტემპერატურა აღწევს  $36^{\circ}\text{C}$  და მინიმალური  $9^{\circ}\text{C}$ -ს. წლიური ნალექების რაოდენობა მერყეობს 550-დან 800 მმ-მდე. დაბალ ზონებში თოვლის საფარი წელიწადში 70-80 დღეს შეადგენს, საშუალო დაქანების ფერდობებზე 110-155 დღეს, ხოლო უფრო მაღლა კი 150-155 დღეს. აჭარა-იმერეთისა და თრიალეთის (1 800-2 100 მ) წყალგამყოფი ქედებისათვის დამახასიათებელია მაღალი მთის მშრალი კლიმატი ცივი ზამთრითა და გრძელი გრილი ზაფხულით. ყველაზე თბილი თვე არის აგვისტო;
4. ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილში ძირითადად გაბატონებულია მშრალი კონტინენტური მთის ჰავა. ზაფხული მოკლე და გრილია. ივლისის თვის საშუალო ტემპერატურა  $12^{\circ}\text{C}$  -ია, ხოლო ივლისის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა  $26^{\circ}\text{C}$  -ია. ზამთარი ცივი და თოვლიანია. იანვრის საშუალო ტემპერატურა  $-8^{\circ}\text{C}$  ია. წლის განმავლობაში დაახლოებით 150 დღის მანძილზე ტერიტორია თოვლით არის დაფარული. წლიური ნალექების რაოდენობა 700 მმ-ზე ნაკლებია. წელიწადის საშუალოდ 50 დღე გამოირჩევა ძლიერი წვიმებით.

## მუხლი 12. ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალი

1. ველური ბუნების, მთისა და ტყის ლანდშაფტების, მდიდარი ბიომრავალფეროვნების, ისტორიისა და კულტურის ერთობლიობა იზიდავს სხვადასხვა ეროვნების, ასაკისა და ინტერესის მქონე ვიზიტორებს;
2. დაცულ ტერიტორიაზე ტურისტული აქტივობების ფართო სპექტრი არსებობს: სალაშქრო, საცხენოსნო ბილიკები, თოვლის ფეხსაცმელების და ველო ბილიკები, რომელიც ერთდღიანი და რამდენიმედღიანი მოგზაურობის და მიზნობრივად აშენებულ თავშესაფრებსა და საკემპინგე ადგილებში ღამის გათენების საშუალებას იძლევა. სამთო ველოსიპედით გასეირნება, ბუნებისა და ლანდშაფტების დათვალიერება და ფოტოგრაფია, საგანმანათლებლო და კულტურული ტურები, დაკვირვება ფრინველებზე და ცხოველებზე, საზაფხულო ბანაკები. ყველა ამ აქტივობისათვის შექმნილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელსაც მოვლა-პატრონობას უწევს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია;
3. დაცული ტერიტორიების ადინისტრაციას პარტნიორული ურთიერთობა აქვს მომსახურების ადგილობრივ მომწოდებლებთან. ადგილობრივი მოსახლეობა და ბიზნესი ვიზიტორებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მომსახურებას, როგორცაა: სასტუმროს, ცხენების, გიდების, ტრანსპორტირების და კვების მომსახურება, ასევე სხვადასხვა კულტურულ ტურებს ეროვნული პარკის რეგიონში;
4. დაცული ტერიტორიებიდან მიღებულ გამოცდილებას ავსებს რეგიონში არსებული კურორტები, როგორცაა ქალაქი ბორჯომი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში პოსტსაბჭოთა სივრცეში ცნობილი იყო როგორც „ბორჯომის“ მინერალური წყლის კურორტი, ნუნისი, აბასთუმანი, საირმე.

## მუხლი 13. ტრადიციული საქმიანობა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სუბალპურ მდელოებს საუკუნეების განმავლობაში იყენებდნენ საქონლისათვის საზაფხულო სამოვრებად. პარკის შიგნით საქონლის ძოვება ეროვნული პარკის მიმდებარედ მცხოვრები ბევრი ოჯახისათვის უზრუნველყოფს საარსებო წყაროს. იმის გამო, რომ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში საქონლის ძოვება წარმოადგენს ტრადიციულ საქმიანობას, ეროვნული პარკის დაარსების შემდგომ, ალპურ ზონაში ზოგიერთი ტერიტორია მოქცეულ იქნა ტრადიციული გამოყენების ზონაში, რათა ეს

საქმიანობა გაგრძელებულიყო მკაცრად გაკონტროლებული პირობებით, რაც უზრუნველყოფს გადაჭარბებული მოვების აღკვეთას და ქმნის ალპურ ზონაში არსებული სამოვრების ან დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენის საშუალებას, რომლებმაც წარსულში განიცადეს ზეწოლა გადაჭარბებული მოვების გამო;

2. ეროვნული პარკის დაარსებამდე მრავალი წლის განმავლობაში, დაცული ტერიტორიების ტყის მასივები ადგილობრივი მოსახლეობისათვის წარმოადგენდა ხის მერქნული რესურსით სარგებლობის წყაროს. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ არსებულ სოფლებში მოსახლე ოჯახები ჯერ კიდევ დამოკიდებულნი არიან შემაზე, როგორც სათბობად, ასევე საჭმლის მოსამზადებლად;
3. დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტყეები და სამოვრები მოსახლეობას უზრუნველყოფს სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებების მქონე მცენარეებით, რომელთაც სოფლის მოსახლეობა იყენებს ტრადიციული წამლების მოსამზადებლად. ასევე, სოფლის მოსახლეობა საკვებად იყენებს ხილს, კაკალ ნაყოფიანებს და სოკოს, რომელიც გვხვდება დაცული ტერიტორიის ფარგლებში;
4. დაცული ტერიტორიების რეგიონში შემორჩენილია კულტურული მცენარეების აბორიგენული ჯიშები და მათი ველური წინაპრები. ესენია: კავკასიური რბილი ხორბალი (*Tritium aestivum*), წითელი დოლის პური (*Tritium ferrugineum*), დიკა (*T. carthlicum*), ჯავახური დიკას ორი სახესხვაობა – წითელთავთავიანი (*T. carthlicum var. rubiginosum*, *T. carthlicum var. stramineum*) და თეთრთავთავიანი, მრავალმწკრივიანი ქერი (*Hordeum vulgare*, *H. districhum*), ორმწკრივიანი ქერი, მთის ველური ჭვავის სამი ქვესახეობა, ფეტვი (*Panicum miliceum*), სელი (*Linum usitatissimum*), ბარდა (*Pisum sativum*), მუხუდო (*Cicer arietinum*), ოსპი (*Lens culinaris*), ულუმბო (*Trigonella coerulea*); ვაზის ჯიშები: ახალციხური თეთრი, მესხური მწვანე, მესხური ხარისთვალა, მესხური შავი, თამარის ყურძენი, შავი ჩიტისკვერცხა; ვაშლის მრავალი ჯიშები და სხვა.

#### მუხლი 14. ისტორიულ-კულტურული ღირებულება

1. დაცული ტერიტორიები მდებარეობს საქართველოს ისტორიულად ცნობილ თორის, არგვეთის და სამცხის პროვინციაში. ბორჯომის ხეობა წარმოადგენს თორის პროვინციის ნაწილს, რომელიც შექმნილია მე-2 და მე-4 საუკუნეებს შორის;
2. დაცული ტერიტორიები მოიცავს რეგიონის საერთაშორისო დონეზე ცნობილ ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ელემენტებს. აქ

წარმოდგენილია პირველი საუკუნის ციხესიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები მწვანე მონასტერი, რომელიც განეკუთვნება მე-9 საუკუნის მეორე ნახევარს, ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ასევე მიეკუთვნება მე-9 საუკუნეს და რომელიც მდებარეობს ქვაბისხევის ხეობაში, ღვთისმშობლის ეკლესია სოფელ ლიკანის მიდამოებში, შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესია სოფელ ბანისხევის მახლობლად, წმინდა ნინოს ეკლესია, სალის, ნუას, გოგიას შუასაუკუნეების ციხესიმაგრეები ბორჯომის მახლობლად და ლეკორის შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრე სოფელ გურკელის ახლოს;

3. დაცული ტერიტორიის ჩრდილოეთით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მრავლად გვხვდება ისტორიულ-კულტურული ძეგლები, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას განეკუთვნება. ასეთებია სოფ. მარელისში, უშუალოდ დაცული ტერიტორიის მიმდებარედ XI საუკუნის ვახანის ციხე, ჩხერის ციხე (XIII საუკუნე), უბისის მონასტერი (IXს.);
4. აბასთუმანში თამარ მეფის ხიდი, რომელიც თარიღდება მე-12 საუკუნით, წარმოდგენს ყველაზე ღირსშესანიშნავ ისტორიულ ძეგლს ადიგენის რაიონში, რომელიც მდებარეობს ეროვნული პარკის ფარგლებში. პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე არის უფრო ძველი არქეოლოგიური ძეგლები, როგორცაა ციკლოპური დასახლებების ნანგრევები სოფელ ბოგასთან, ახალციხის მახლობლად;
5. მომლოცველების ბილიკი, რომელიც გამოყენებული იყო წმინდა ანდრია პირველწოდებულის მიერ, რომელმაც პირველად იქადაგა ქრისტიანობა საქართველოში პირველ საუკუნეში, გადის ეროვნულ პარკზე. აღნიშნული ბილიკი წარმოადგენს დაცული ტერიტორიის ერთ-ერთ საღაშქრო ბილიკს;
6. XIX საუკუნის ბოლოსათვის რუსეთის იმპერია ბორჯომის ხეობით ინტერესდება. დღევანდელი პარკის ტერიტორიაზე იმპერატორის ძმამ საფუძველი ჩაუყარა დაცულ ტერიტორიებს, კერძოდ: ნიკოლოზ რომანოვმა შემოღობა დღევანდელი დაცული ტერიტორიის გარკვეული ფართობი და დიდგვაროვანთა სამონადირეო მეურნეობად გამოაცხადა. დღეისათვის სწორედ იმ ადგილას, სადაც ნიკოლოზ რომანოვი ცხენით სეირნობდა ეროვნულ პარკში, არის „ ნიკოლოზ რომანოვის“ - საღაშქრო და საცხენოსნო ტურისტული ბილიკი;
7. ნემვის აღკვეთილი წარმოადგენს სამცხე-ჯავახეთის IX საუკუნის ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ადგილს;
8. ინფორმაცია დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე მოცემულია დანართ 11-ში.

## მუხლი 15. ეკოსაგანმანათლებლო პოტენციალი

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ვიზიტორთათვის მიმზიდველია არა მხოლოდ ეკოტურისტული და რეკრეაციული თვალსაზრისით, არამედ იგი სამეცნიერო კვლევების წარმოებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბაზაა საქართველოში. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოტანიკური თვალსაზრისითაც. შესაბამისად, გასული საუკუნის ბოლოდან დღემდე ჩატარებულია მრავალი ფლორისტული კვლევა, განსაკუთრებით ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში. მნიშვნელოვანია ზოოლოგიური კვლევების წილი. დიდია ენტომოლოგების დაინტერესება, რადგანაც დაცული ტერიტორიის ენტომოფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია და ბევრ იშვიათ სახეობას მოიცავს;
2. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია თანამშრომლობს სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციასა და უნივერსიტეტთან, მათ შორისაა: ახალციხის უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი და აგრარული უნივერსიტეტი. პარკის მიმდებარედ არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეების დიდი რაოდენობა მოდის დაცულ ტერიტორიებზე ბუნების საკითხების შესასწავლად.

## მუხლი 16. საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისათვის. საზოგადოებასთან ურთიერთობა ხელს უწყობს დაცული ტერიტორიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას, ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას და ცნობიერებას დაცული ტერიტორიის და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ, რაც განაპირობებს საზოგადოების ჩართულობას დაცული ტერიტორიების განვითარებაში და ზრდის ადმინისტრაციის მენეჯმენტის ეფექტურობას;
2. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ხერხს იყენებს, როგორცაა: დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ეროვნული პარკების ვებგვერდი, სოციალური მედია, როგორცაა: Facebook, Youtube, საინფორმაციო ბროშურებისა და ბუკლეტების ბეჭდვა და გავრცელება, ეროვნულ პარკზე სტატიების გამოქვეყნება ადგილობრივი და ცენტრალური პრესის საშუალებით. ასევე ინფორმაციის განთავსება როგორც

ქართულ, ასევე საერთაშორისო ჟურნალ-გაზეთებში, ღონისძიებების გაშუქება ადგილობრივი და ცენტრალური ტელევიზიებით, ეროვნულ პარკზე ინფორციის განთავსება საქართველოზე არსებულ სხვადასხვა გზამკვლევაში (Bradt Travel Guidebook, Lonely Planet, Walking in the Caucasus დასხვა), ეროვნული პარკის შესახებ თემატური ფილმებისა და ვიდეო რგოლების მომზადება. სარეკლამო რგოლების მომზადება და რეკლამირება ცენტრალური ტელევიზიების მეშვეობით. ტურისტულ ბაზრობებში მონაწილეობა, შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, გაცნობითი ტურების მოწყობა მედიის, სასწავლო დაწესებულებების და ტურ-ოპერატორებისათვის, თანამშრომლობა სასწავლო დაწესებულებებთან, თანამშრომლობა რეგიონში არსებულ პარტნიორებთან, სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა;

### მუხლი 17. მიწათსაკუთრება და მიწათსარგებლობა

1. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების საზღვრებს შიგნით არსებული მიწები სახელმწიფოს საკუთრებაა;
2. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, ნემვის და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილების ტრადიციული გამოყენების ზონებში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხორციელდება განახლებადი ბუნებრივი რესურსებით ლიმიტირებული სარგებლობა (საშემე და სამასალე მერქნის მოპოვება, ძოვება, თიბვა და ტყის არამერქნული რესურსების შეგროვება);
3. დაცულ ტერიტორიებზე მიწათსარგებლობასთან დაკავშირებით მოქმედებს საიჯარო ხელშეკრულებები. კერძოდ ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილში საძოვრების იჯარა. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, ქცია-ტაბაწყურის და ნემვის აღკვეთილების ტერიტორიაზე მობილური ოპერატორების ანძების განთავსების ადგილებზე საიჯარო გადასახადები.

### მუხლი 18. სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს იმ ეკოსისტემური სერვისებით, რასაც დაცული ტერიტორიის არსებობა ქმნის. გარდა ამისა ადგილობრივი მოსახლეობა ჩართულია ეკოტურიზმის განვითარებაში და ეკოტურისტული სერვისების მიწოდებაში, რაც გამოიხატება საოჯახო სასტუმროების, ადგილობრივი პროდუქტის ტრადიციული ხელნაკეთობის მიწოდებაში. ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს ისეთი რესურსებით, როგორცაა ტრადიციული გამოყენების ზონაში საძოვრები, საშემე მერქანი და ტყის არამერქნული პროდუქტები.

დაცული ტერიტორიების სააგენტო და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია აწარმოებს ყოველწლიურ სოციალურ-ეკონომიურ გამოკითხვას. როგორც შედეგები მიგვანიშნებს, ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი რაოდენობა აღიარებს, რომ ისინი იყენებენ დაცული ტერიტორიის რესურსს და სარგებელს იღებენ მისგან.

## მუხლი 19: ზურმუხტის ქსელი

„ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ (ბერნის) კონვენციის შესაბამისად, 2018 წლის დეკემბრიდან, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკი მოიცავს „ზურმუხტის ქსელის“ დამტკიცებულ საიტებს (ბორჯომ - ხარაგაული - GE0000010 და ქცია-ტაბაწყური - GE0000038). მესამე საიტი - ბორჯომ - ხარაგაული - GE0000056 მხოლოდ მცირე ნაწილით ფარავს დაცულ ტერიტორიებს და ძირითადად მოიცავს ბერნის ჰაბიტატებს და სახეობის არეალებს, რომლებიც დაცული ტერიტორიის გარეთ დარჩა (დანართი #10- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ჰაბიტატების რუკა; დანართი # 1- ბორჯომ-ხარაგაული - ზურმუხტის საიტების რუკა; დანართი # 12- ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი - ზურმუხტის საიტის რუკა).

სამივე საიტზე გავრცელებულია ბერნის კონვენციით დაცული 58 სახეობა და 15 ჰაბიტატი (იხილეთ დანართში მოცემული სახეობების და ჰაბიტატების სია). აღსანიშნავია, რომ ჰაბიტატების სია არ არის დღემდე დაზუსტებული და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ ტერიტორიებზე შეიძლება უფრო მეტი ჰაბიტატი გვხვდებოდეს. ჰაბიტატების სიის დასაზუსტებლად მნიშვნელოვანია ჩატარდეს ჰაბიტატების კვლევა დაცულ ტერიტორიაზე.

ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილი ჰაბიტატების უმეტესობა ეყრდნობა ლიტერატურულ და ექსპერტულ მოსაზრებებს, ხოლო დაცულ ტერიტორიებზე მათი არეალი - GIS მოდელირების შედეგად იქნა დადგენილი. სასურველია არსებული ჰაბიტატების უფრო დეტალური კვლევა და მათი საზღვრების კორექტირება, ველზე აღებული მასალის საფუძველზე.

ზურმუხტის საიტებზე გავრცელებულია ბერნის კონვენციით დაცული საკმაოდ ბევრი სახეობა, ხოლო კონსერვაციული ღონისძიებების გასატარებლად რესურსები შეზღუდულია. შესაბამისად საჭირო გახდა სახეობების პრიორიტეტიზაცია. სახეობათა კვლევიტმა ცენტრმა „ნაკრესმა“, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით და GIZ-ის ფინანსური მხარდაჭერით გააკეთა სახეობების პრიორიტეტიზაცია შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიებისათვის შერჩეულია 10 სახეობა, ესენია: დათუნელა (*Callimorpha quadripunctaria*), ალპური ხარაბუზა (*Rosalia alpina*), ხმელთაშუა ზღვის კუ (*Testudo graeca*), სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*), მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*), მგელი (*Canis lupus*), დათვი (*Ursus arctos*), წავი

(*Lutra lutra*), ფოცხვერი (*Lynx lynx*) კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*). თითოეული მათგანისთვის შემოთავაზებულია კონსერვაციული ამოცანა (ღონისძიება). კონსერვაციული ამოცანების შემუშავებისას გათვალისწინებული იყო სახეობის სტატუსი და მასზე მოქმედი საფრთხეები.

### თავი III. გრძელვადიანი მიზნები

#### მუხლი 20. ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების მდგომარეობასთან დაკავშირებული მიზნები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს საქართველოს მდიდარ ბუნებრივ მემკვიდრეობას. დაცული ტერიტორიების ფართობი მის ბინადართ არსებობისათვის საჭირო და უსაფრთხო გარემოს უქმნის. შენარჩუნებული და უზრუნველყოფილია ჰაბიტატებისა და სახეობების, საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობების ჩათვლით, გრძელვადიანი კონსერვაცია. ადამიანის საქმიანობის შედეგად დეგრადირებული იშვიათი ეკოსისტემები და ჰაბიტატები აღდგენილია და მიახლოებულია მათ ბუნებრივ მდგომარეობასთან.

#### მუხლი 21. გარემოსდაცვით განათლებასა და სამეცნიერო კვლევა-მონიტორინგთან დაკავშირებული მიზნები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისათვის, წარმოადგენს საუკეთესო გარემოს გარემოსდაცვითი განათლებისა და ბიომრავალფერვნების კვლევა-მონიტორინგის საქმიანობების განსახორციელებლად. უზრუნველყოფს საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების და ცოდნის ზრდას, რაც ხელს უწყობს საზოგადოების პოზიტიურ დამოკიდებულებას დაცული ტერიტორიების მიმართ.

#### მუხლი 22. ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები მაღალი ხარისხის ეკოტურისტულ მომსახურებას სთავაზობს ვიზიტორებს, რაც ჰარმონიაშია ველური ბუნების დაცვასთან და მდგრად განვითარებასთან. ეკოტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების განვითარებას და კონსერვაციული ამოცანების განხორციელებას. ქმნის შემოსავლის ალტერნატიულ წყაროს ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

### მუხლი 23. ტრადიციული საქმიანობების ხელშეწყობასთან და და თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს შენარჩუნებასთან დაკავშირებული მიზნები

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა ინარჩუნებს კულტურულ და ტრადიციულ წეს-ჩვეულებას, ხელსაქმეს, ადგილობრივი პროდუქციის წარმოებას, რომელიც დაცული ტერიტორიების ხელშეწყობით ინტეგრირებულია ეკოტურისტულ მომსახურებებში და პოპულარულია დაცული ტერიტორიის და რეგიონის ვიზიტორებს შორის.

### მუხლი 24. ბუნებრივი რესურსების მდგრად სარგებლობასთან დაკავშირებული მიზნები

ადგილობრივი მოსახლეობა აცნობიერებს დაცული ტერიტორიების მნიშვნელობას. დაცული ტერიტორიები ხელს უწყობს მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის სოციო-ეკონომიკურ კეთილდღეობას და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ბუნებრივი რესურსებით მდგრად სარგებლობას. დაცული ტერიტორიების არსებობა ქმნის შემოსავლის ალტერნატიულ წყაროს, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების შემცირებას ბუნებრივ რესურსებზე.

### მუხლი 25. დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის გაძლიერებასთან დაკავშირებული მიზნები

დაცულ ტერიტორიებს ეფექტიანად მართავს ადმინისტრაცია, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო ფინანსური და ტექნიკური საშუალებებით და დაკომპლექტებულია შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლების ოპტიმალური რაოდენობით.

## თავი IV. სიტუაციური ანალიზი

### მუხლი 26. დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების არსებული მდგომარეობა

1. სიტუაციური ანალიზის მომზადების ეტაპზე მოხდა არსებული ინფორმაციის შეგროვება და ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულების მდგომარეობის შეფასება, თუმცა ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში არსებული ინფორმაცია ზოგიერთ ღირებულებაზე კონკრეტულ ტერიტორიებთან მიმართებაში, მაგალითად, როგორცაა ნემვის და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილები, არასრულყოფილია და საჭიროებს დამატებით კვლევებს;

ცხრილი 1: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულებები და არსებული მდგომარეობა

ძირითადი ბიომრავალფეროვნების ღირებულება	არსებული მდგომარეობა
<p><b>ტყე</b></p>	<p>ტყეებს (ფოთლოვანი, შერეული და წიწვოვანი) უკავია ტერიტორიის დაახლოებით 75% და ქმნიან ლანდშაფტების, ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების ძირითად ღირებულებებს. ბხდტ-ში არის ნაძვის (<i>Picea</i>) და ფიჭვის (<i>Pinus</i>) წმინდა ტყის მასივების ყველაზე დიდი გავრცელება კავკასიონის ეკორეგიონში, რომელიც გავრცელებულია ზღვის დონიდან 1,400 – 1,800 მ-ის ფარგლებში. რთული რელიეფისა და განსხვავებული კლიმატური პირობების გამო, ბხდტ-ის ტყეები ქმნიან რთულ მოზაიკურ სურათს. ეროვნული პარკის ჩრდილოეთ (ხარაგაული) ნაწილში იზრდება კოლხური ტყეები, დამახასიათებელი ძლიერი ქვეტყით დაახლოებით ზღვის დონიდან 1 800 მ-ზე. ამ ტყეებში დომინირებს წაბლი (<i>Castanea sativa</i>), წიფელი (<i>Fagus orientalis</i>) და რცხილა (<i>Carpinus caucasica</i>). წიფლით გაბატონებული ტყეები გავრცელებულია ზღვის დონიდან საშუალო სიმაღლეზე, (1,000 - 1,400 მ), ხოლო სოჭის (<i>Abies nordmanniana</i>) და ნაძვის (<i>Picea orientalis</i>) წიწვოვანი ტყეები ვრცელდება ზღვის დონიდან დაახლოებით 1,800 მ-ზე. დაბალი ტყეები ქართული მუხით (<i>Quercus iberica</i>), ფიჭვით (<i>Pinus sosnovsky</i>) და გვალვა გამძლე ბუჩქებისა და ბალახეულობის დომინირებით უფრო დამახასიათებელია არიდული აღმოსავლეთ საქართველოსთვის.</p> <p>წიწვოვანი ტყეები უფრო ძლიერად არის დაზიანებული მავნებელი მწერებისაგან (კერძოდ <i>Ips typographus</i> და <i>Dendroctonus micans</i>) და ასევე ხანძრებისაგან, ვიდრე ფოთლოვანი ტყეები.</p> <p>ტრადიციული გამოყენების ზონა, სადაც მიმდინარეობს რესურსის მოპოვება, იმყოფება შედარებით მაღალი ანთროპოგენური ზეწოლის ქვეშ.</p>
<p><b>სუბალპური და ალპური მდელოები, მაღალბალახეულობა და ბუჩქნარი</b></p>	<p>გავრცელებულია ტერიტორიის 25%-ზე. იგი იწყება არყის (<i>Betula litwinovii</i>), დეკას (<i>Rhododendron caucasicum</i>) დაბურული ქვეტყეებით. სუბალპური მაღალბალახეულობა და სუბალპური მდელოები თანამიმდევრულად მიყვებიან ერთმანეთს. ალპური მდელოები გვხვდება შედარებით მცირე ფართობზე, დაახ. 2,200 მ. ზ.დ. ზევით. ერთად აღებული სუბალპური და ალპური ჰაბიტატები კავკასიაში განსაკუთრებული კონსერვაციული ღირებულების მქონე სახეობებისათვის თავშესაფარს წარმოადგენს. ეკოლოგიური თვალსაზრისით, ბხდტ-ის სუბალპური და ალპური ტერიტორიები შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ერთ კომპლექსურ ობიექტად. იგივე შესაძლოა ითქვას მენეჯმენტის თვალსაზრისითაც, რადგანაც ბხდტ-ის ყველა სუბალპური და რამოდენიმე ალპური მდელო (დაახ. 11,000 ჰა) ტყის ზოლის ზემოთ წარმოადგენს „ტრადიციული გამოყენების ზონის“ ნაწილს და გამოიყენება საზაფხულო სამოვრებად. სუბალპური და ალპური მდელოები სხვადასხვა ხარისხით არის ზეწოლის ქვეშ, რაც უკავშირდება საქონლის მოვებას და შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც ერთი კომპლექსური ტერიტორია მენეჯმენტისა და მონიტორინგისათვის.</p>
<p><b>მტკნარი წყლის ჰაბიტატები</b></p>	<p>ნაკადულებსა და მცირეწყლიან წყაროებს ბხდტ-ის მცირე ნაწილი უკავიათ, მაგრამ ნაკადულებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ ეკოსისტემის ფუნქციონირებისათვის და მტკნარი წყლის ბიოტასათვის. მტკნარი წყლის ჰაბიტატები წარმოადგენს ბხდტ-ის</p>

	<p>მნიშვნელოვან პრიორიტეტულ ღირებულებას.</p> <p>ტაბაწყურის ტბას (საქართველოში სიდიდით მეოთხე ტბა) უკავია ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის (ქტა) დაახ. 1,400 ჰა. იგი, როგორც მტკნარი წყლის ჰაბიტატი წარმოადგენს ტერიტორიის არასახეობრივი ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან ელემენტს.</p>
<p><b>მთის სტეპები და სუბალპური მდელოები (ქტა)</b></p>	<p>მდელოებისა და მთის სტეპების მცენარეულობას უკავია ქტა-ს უდიდესი ნაწილი. მდელოს მცენარეული თანასაზოგადოება, რომელიც ბუნებრივად იზრდებოდა ამ ტერიტორიაზე, შეიცვალა მეორადი მცენარეულობით, რაც გამოწვეული იყო ძოვებით: მარმუჭის (<i>Alchemilla erythropoda</i>), ცხვრის წივანას (<i>Festuca ovina</i>), მიგვას (<i>Nardus stricta</i>), მახრჩობელას (<i>Deschampsia cespitosa</i>), ნამიკრეფიას (<i>Agrostis planifolia</i>), ფესვმაგარას (<i>Sibbaldia semiglabra</i>) და ფართოფოთლოვანი ბალახეული მცენარეების (<i>Latifolio mixtohorbosa</i>) თანასაზოგადოებით. მთის სტეპები გვხვდება ფრაგმენტულად ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის ტერიტორიაზე, ძირითადად სამხრეთ - აღმოსავლეთი მიმართულებით, მიკრო რელიეფურ სტრუქტურებსა და კლდიან ეკოტოპებზე, ნიადაგის გამოფიტულ ქერქსა და ვულკანოგენურ ფენებზე. წივანა (<i>Festuca valesiaca</i>) წარმოადგენს მთის სტეპის მცენარეულობის გაბატონებულ სახეობას. იმის მიუხედავად, რომ ტერიტორია არის ძალზედ დეგრადირებული, სუბალპურ-ალპური ლანდშაფტის კომპლექსი კვლავ მიჩნეულია ქტა-ს მთავარ კონსერვაციულ ღირებულებად.</p>
<p><b>ჭარბტენიანი ტერიტორიების ჰაბიტატები (ქტა)</b></p>	<p>ჭარბტენიანი ლანდშაფტები ქმნის ჭარბტენიანი ტერიტორიების მცენარეულობის მოზაიკას და ასოცირდება ტაბაწყურის ტბასთან და ქცია - ნარიანის ჰიდროგრაფიულ სისტემასთან. ტაბაწყურის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილები დაჭაობებულია. ჭარბტენიანი ფართობები გვხვდება მშრალ მიწებსა და ტბისპირა დიუნებს შორის. მცენარეების წმინდა თანასაზოგადოებები, როგორცაა (<i>Equisetum heleocharis</i>) და (<i>Caricetum vesicariae</i>) გავრცელებულია ჭარბტენიანი ტერიტორიების ნაპირის გასწვრივ. ისლის წმინდა თანასაზოგადოება (<i>Carex wiluica</i>) - ს დომინანტობით იზრდება ტორფზე, ტაბაწყურის ტბის სამხრეთ - დასავლეთი ჭარბტენიანი ტერიტორიის შიგნით. ეს არის საქართველოში და ზოგადად კავკასიაში გავრცელებული იშვიათი თანასაზოგადოება. ჩვეულებრივი ლერწამი (<i>Phragmites australis</i>) იზრდება ტბის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში.</p> <p>ნარიანის ველის ჭარბტენიანი ტერიტორიები გამოყენებულია მდელოებად და სათიბებებად.</p>
<p><b>ფლორა</b></p>	<p>1200 სახეობა, მათ შორის 11 საქართველოს ენდემი და კავკასიის ენდემების დაუდგენელი რაოდენობა. მათგან ცხრამეტი მითითებულია ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ ან (გლობალურ დონეზე) IUCN -ის საფრთხის წინაშე არსებული სახეობების „წითელ ნუსხაში“. ეს სავარაუდოდ არის მინიმალური გაანგარიშება, რადგანაც ბხდტ-ის ბევრი სახეობა არ იქნა აღრიცხული 2013 წელს ჩატარებული IUCN კავკასიის ენდემურ მცენარეთა „წითელი ნუსხის“ შეფასებისას (Solomon et al. 2013). მიუხედავად ამისა, სახეობები, რომლებიც წარმოადგენენ კავკასიის ენდემებს და რომლებიც შეფასებულია, როგორც „მოწყვლადი“ ან „გადაშენების საფრთხის წინაშე არსებული“, შესაძლოა ჩაითვალოს ბხდტ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი კონსერვაციული ღირებულების მცენარეთა სახეობებად. ქტა-ის ფლორა საჭიროებს სისტემატიკურ კვლევებს. 2006 წელს ზოგადი მცენარეების აღწერის დროს 151 ვასკულარული და 16 ხავსის სახეობიდან, მხოლოდ მაღალმთის მუხა (<i>Quercus macrantharia</i>) არის მითითებული საქართველოს „წითელ ნუსხაში“, გადაშენების პირას მყოფი სახეობების IUCN-ის „წითელ ნუსხაში“ ან კავკასიის ენდემური სახეობების „წითელ ნუსხაში“.</p>
<p><b>კეთილშობილი ირემი -</b></p>	<p>კეთილშობილი ირემი (<i>Cervus elaphus</i>) წარმოადგენს მნიშვნელოვან ინდიკატორს ეკოსისტემების მდგომარეობის შესაფასებლად. 1977 წლიდან 1990 წლამდე მისი რაოდენობა</p>

<b>(<i>Cervus elaphus</i>)</b>	ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მერყეობდა 680-დან 1000 ინდივიდამდე. 1990-იან წლებში მათი რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა და 1999 წელს შეადგინა 39 სული. 2015-2016 წწ ჩატარებული კვლევის შედეგად ეროვნულ პარკში მათი რიცხვი 350-500 - ს შეადგენდა. ირმის პოპულაციის უმეტესი ნაწილი გვხვდება ნაკრძალის ტერიტორიაზე, ხოლო მცირე ნაწილი ეროვნულ პარკში.
<b>მურა დათვი - (<i>Ursus arctos</i>)</b>	2014-2015 წლებში მურა დათვზე ბხდტ-ის და „ნაკრესის“ ერთობლივი აღრიცხვის შედეგად, ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიაზე (ეროვნული პარკი, ნაკრძალი) ბინადრობს დათვი 38-47 ინდივიდამდე, სიმჭიდროვე კი არის 1.9-2,3 დათვი 100 კმ <sup>2</sup> . კვლევისას გამოყენებული იყო არაინვაზიური გენეტიკური მეთოდი, რაც პოპულაციის რიცხოვნობას მაღალი სიზუსტით ადგენს. ანალოგიური კვლევა ჩატარდა 2004 წელსაც იგივე ტერიტორიაზე. მონაცემების შედარებით ირკვევა, რომ ბოლო 10 წელიწადში დათვის პოპულაცია მცირედით გაიზარდა.
<b>ფოცხვერი (<i>Lynx lynx</i>)</b>	- ინფორმაცია ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე ფოცხვერის პოპულაციის შესახებ მწირია. მათი რაოდენობა მინიმუმ 15 ინდივიდამდეა.
<b>არჩვი (<i>Rupicapra rupicapra</i>)</b>	- ინფორმაცია არჩვის შესახებ ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე მწირია. უკანასკნელი დეკადის მანძილზე აღრიცხული რაოდენობის მიხედვით სავარაუდოდ მათი რიცხოვნობა 80-ია.
<b>კავკასიური როჭო - (<i>Lyrurus mlkosiewiczzi</i>)</b>	ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკში როჭოს პოპულაციის შესახებ ინფორმაცია მეტად მწირია. დაცული ტერიტორია მოიცავს როჭოს მნიშვნელოვან ჰაბიტატს. მეტი კვლევა ჩასატარებელი ამ სახეობის პოპულაციის მდგომარეობის შესასწავლად.
<b>კასპიური შურთხი - (<i>Tetraogallus</i>)</b>	გავრცელებულია დაცულ ტერიტორიაზე, თუმცა მისი არეალი უცნობია. მეტი კვლევა ჩასატარებელი სახეობის პოპულაციის მდგომარეობის შესაფასებლად.
<b>კავკასიური სალამანდრა - (<i>Mertensiella caucasica</i>)</b>	კავკასიური სალამანდრა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ეკორეგიონის ენდემია და გავრცელებულია მხოლოდ საქართველოსა და თურქეთში. მთლიანი პოპულაციის 85% გავრცელებულია საქართველოში. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ნაკრძალი და ნეძვის ალკვეთილი წარმოადგენს ამ სახეობის მნიშვნელოვან ადგილსამყოფელს.
<b>გარიელი (<i>Melanitta fusca</i>)</b>	კავკასიაში მობუდარი გარიელის იზოლირებული პოპულაციის რიცხვი ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა. საქართველოში გარიელი მხოლოდ ტაბაწყურის ტბაზეა ბუდობს (სავარაუდოდ, მთელ კავკასიაში) და კრიტიკულად გადაშენების საფრთხის წინაშეა.

2. სხვა ღირებულებების მდგომარეობა: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების სხვა ღირებულებები უშუალოდ ეკოსისტემის სერვისებზეა დამოკიდებული (ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული, სამეცნიერო და საგანმანათლებლო, ტურისტული და საერთო სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებები). მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიების გეოლოგიური ფასეულობები, ისტორიულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ღირებულებები.

**მუხლი 27. დაცული ტერიტორიების ძირითადი ღირებულებების საფრთხეები**

1. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები გამორჩეულია ბიომრავალფეროვნების მაღალი ხარისხით, ეკოსისტემების მრავალფეროვნებით. დაცული ტერიტორიის მდებარეობა განსაზღვრავს მის მრავალფეროვნებას, თუმცა ასევე ზრდის საფრთხეს და ზეწოლას დაცულ ტერიტორიაზე. ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებს ესაზღვრება ბორჯომის, ხარაგაულის, ახალციხის, ხაშურის, ადიგენის, ბაღდათის, წალკის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები. მათგან განსაკუთრებით გამორჩეულია ბორჯომის, ხაშურის, ახალციხის და ადიგენის მუნიციპალიტეტების ტერიტორიები, რომლებიც დაცული ტერიტორიის მიმდებარედაა განლაგებული და შესაბამისად, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა უფრო ინტენსიურია დაცული ტერიტორიების ამ მონაკვეთებზე. ანთროპოგენური ზეწოლა ბუნებრივ რესურსებზე დაცული ტერიტორიების ზემოთ ხსენებული მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მეტია. ამ ეტაპზე არ არის შესწავლილი და შეფასებული ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ეკოსისტემური მდგომარეობა და მათზე ანთროპოგენური ზემოქმედება;
2. გასათვალისწინებელია ადმინისტრაციის მართვის ქვეშ არსებული სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიაც, რომლებზეც განსხვავებული დაცვის რეჟიმი მოქმედებს და შესაბამისად ეკოსისტემების და ბიომრავალფეროვნების საფრთხეებიც განსხვავდება;

**ცხრილი 2: სამიზნე ღირებულებების საფრთხეები**

საფრთხე	შეფასება და დაზიანებული ძირითადი ღირებულებები
უკანონო ნადირობა	კეთილშობილ ირემზე, მურა დათვზე, არჩვზე, პერიოდულად როჭოზე, შველზე დაგარეულ ღორზე. უკანონო ნადირობა ჯერ კიდევ გრძელდება ბხდტ-ს ტერიტორიაზე. პერიოდულად ხორციელდება ფოცხვერზე ნადირობაც.
ხე-ტყის უკანონო დამზადება	ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და ნემძვის აღკვეთილში საშემე და სამასალე ხე-ტყის უკანონო მოპოვება არის ყველაზე ხშირად

	შესამჩნევი ქმედება და ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციისათვის.
საშეშე და სამასალე ხე-ტყის მოპოვება	ეროვნული პარკის და ნემვის ალკვეთილში ყოველიურად 8,000-9,000 კმმ საშეშე და სამასალე მერქანი გაიცემა, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს დაცული ტერიტორიებისათვის, რადგან არ არის შეფასებული ტრადიციული გამოყენების ზონაში არსებული საშეშე მერქნის რესურსი და ასევე მასთან დაკავშირებული საფრთხეები, რომელიც დაკავშირებულია ხე-ტყის მოპოვებასთან.
გადაჭარბებული მოვება	ეროვნული პარკის სუბალპური/ალპური ნაწილი (დაახ. 11,000 ჰა) გამოყენებულია ზაფხულის სამოვრად ძირითადად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის. სამოვრები იწყება ტყის ზონიდან პარკის უმაღლეს წერტილამდე (მთა სამეცხვარიო 2642 მ.)
უკანონო მოვება ტყეში	პერიოდულად ადგილი აქვს მოსაზღვრე სოფლებიდან საქონლის ტყეში უკანონო მოვებას ტრადიციული გამოყენების ზონაში.
მაგნებელი მწერები და სოკოვანი დაავადებები	2019 წლის მონაცემებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ბორჯომის ნაკრძალსა და ნემვის ალკვეთილში წიწვოვანი ტყეების 435 ჰა დაზიანებულია <i>Ips typographus</i> და <i>I. Sexdentatus</i> -ის მიერ. წაბლის კორომის ( <i>Castanea sativa</i> ) დაახლოებით 300 ჰა დაზიანდა დაავადებით, რომელსაც იწვევს სოკო <i>Cryphonectria (Endothia) parasitica</i> .
ტყის ხანძრები (განსაკუთრებით წიწვოვან ტყეში)	ტყის ხანძრების შემთხვევები, რომელიც აზიანებს წიწვოვან ტყეს და გაჩენილია ადამიანის მიერ, ვლინდება ყოველწლიურად. ხანძრები, თავისი გავრცელების არეალით და სიმძიმით საჭიროებს სათანადო ყურადღებას.
უკანონო თევზჭერა	დაცულ ტერიტორიაზე ფიქსირდება უკანონო თევზჭერის ფაქტები, ძირითადად მდინარის კალმახზე, თუმცა ღამას მასიური ხასიათი არ აქვს. უკანონო თევზჭერის მხრივ აღსანიშნავია ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი, როგორც მდინარე ქციაზე, ისე ტაბაწყურის ტბაში.

<p><b>წყლის დაბინძურება</b></p>	<p>ქტა-ში მტკნარი წყლებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების (ტაბაწყურის ტბა, მდინარე ქციას სათავე და ნარიანის ველის ჭარბტენიანი ტერიტორიები) წყლის დაბინძურება უნდა იქნეს მიჩნეული ძირითად ზეწოლად/საფრთხედ. ტბის დასავლეთ ნაწილში არსებული სოფლების - ტაბაწყური და მოლითის საყოფაცხოვრებო და პირუტყვის საკანალიზაციო წყლები ჩაედინება პირდაპირ ტბაში (IUCN POSC 2009), რამაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს თევზის საბუდარებზე. ეს საკითხი საჭიროებს სისტემატურად შესწავლას. ასევე სავარაუდოა, რომ საქონლის კანალიზაცია ჩაედინება მდინარე ქციას სათავეებში, რომელიც მიედინება იმ ტერიტორიებზე, სადაც ხორციელდება ინტენსიური ძოვება და აზიანებს ნარიანის ველის ჭარბტენიან ტერიტორიებს. არც ეს საკითხი არ არის შეფასებული სისტემატურად.</p>
<p><b>დაბინძურება</b></p>	<p>ზხდტ-ის მიმდებარედ დასახლებულ პუნქტებთან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ტერიტორიების და მდინარეების დაბინძურება. დაბინძურების პრობლემა შესამჩნევია პოპულარულ ტურისტულ მარშრუტებზე და ტურისტებისათვის გამოყოფილ ღამისთევის ადგილებზე, როგორცაა საკემპინგე ადგილები და ტურისტული თავშესაფრები.</p>
<p><b>ჭარბტენიან ტერიტორიებზე თივის არამდგრადი დამზადება</b></p>	<p>ტბის გასწვრივ და ნარიანის ველზე არსებული ჭარბტენიანი ტერიტორიები გამოიყენება სათიბებად მიმდებარე სოფლის მწყემსების მიერ. ეს პროცესი მიმდინარეობს ინტენსიურად და არამდგრად პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლოა ზიანი მიაყენოს ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებს,</p>
<p><b>კვერცხების შეგროვება (გარიელი)</b></p>	<p>შავი გარიელის კვერცხებს - და სხვა იხვების კვერცხებსაც, რომლებიც ქტა-ის ტერიტორიაზე ბუდობენ, აგროვებენ სოფელ ტაბაწყურის მეთევზეები, ტბაში არსებულ კუნძულზე. გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის ამ სახეობის ბუდობის / გამრავლების ერთადერთი ადგილი, აღნიშნული სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ამ სახეობისთვის.</p>
<p><b>უცხო ინვაზიური სახეობები</b></p>	<p>სამი უცხო ინვაზიური სახეობა იქნა აღრიცხული (<i>Ailanthus altissima</i>, <i>Ambrosia artemisiifolia</i>, და <i>Robinia pseudoacacia</i>, Thalmann et al. 2014). Thalmann et al. (2014)- ის მიხედვით მოხსენიებულია ნეძვის აღკვეთილის შესაძლო მომავალი სენსიტიურობა უცხო ინვაზიური სახეობების მიმართ. ეს პოტენციური საფრთხე საჭიროებს</p>

	შესწავლას სანამ განისაზღვრება მისი ზუსტი რაოდენობა.
<b>კლიმატის ცვლილება</b>	მნიშვნელოვანი საფრთხეა კავკასიის ეკორეგიონის ეკოსისტემებისათვის, რასაც მომავალში უფრო მეტი ზეგავლენა ექნება. კლიმატის ცვლილება შეიძლება განხილული იყოს სხვა ზეწოლებთან ურთიერთკავშირში, როგორცაა, მაგალითად, უცხო ინვაზიური სახეობები და ტყის ხანძრები.
<b>ვიზიტორების მიერ მყუდროების დარღვევა და მიყენებული ზიანი</b>	ამ ეტაპისათვის ეს არ განიხილება აქტუალურ პრობლემად, თუმცა არსებული ტენდენციის გათვალისწინებით, ვიზიტორთა რაოდენობის ყოველწიური ზრდა საკითხის მნიშვნელობას ხაზს უსვამს. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიისათვის არ არსებობს გამტარუნარიანობის კვლევა.
<b>ინფრასტრუქტურული განვითარება</b>	რეგიონის ინფრასტრუქტურული განვითარება დაცული ტერიტორიების საზღვართან, რომელიც წარმოშობს ბდტ-ზე სხვადასხვა საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას, მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ჰაბიტატების რღვევა, სახეობების არეალის შემცირება და დაცული ტერიტორიის ფრაგმენტაცია.

**მუხლი 28. ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობა**

1. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა დამოკიდებულია დაცული ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ნემვის ალკვეთილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის იმ სოფლებისათვის, რომლებიც მდებარეობს დაცული ტერიტორიის მიმდებარედ წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას I და II ხარისხის (საშემე და სამასალე (ნემვის ალკვეთილის შემთხვევაში)) მერქნის მოპოვებისათვის, ასევე ადიგენის (აბასთუმანი და მიმდებარე სოფლები), ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები (აწყური, წინუბანი, გურკელი). აღსანიშნავია ხარაგაულის და ბაღდათის მუნიციპალიტეტები, რომელთა მოსახლეობა ეროვნულ პარკში ძირითადად საზაფხულო სამოვრებით სარგებლობს;
2. სამოვრებთან მიმართებაში საკმაოდ მნიშვნელოვანია ქცია-ტაბაწყურის


აღკვეთილი, სადაც საზაფხულო საძოვრებია. ტერიტორია გამოიყენება არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, არამედ მომთაბარე მეცხვარეების, ძირითადად, კახეთის რეგიონიდან ჩამოსული მეცხვარეების მიერ;

3. რესურსებით სარგებლობა დაცული ტერიტორიების გარკვეულ ზონებში და კატეგორიებში ნებადართულია, მაგალითად, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, ნემვის აღკვეთილში, ასევე ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილში რესურსის მოხმარება კონტროლირებადი და ლიმიტირებულია. აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე რესურსის მოხმარების რაოდენობის დინამიკა არ იცვლება. გამონაკლისს წარმოადგენს ეროვნული პარკის ხარაგაულის რაიონში არსებული ტერიტორიები, სადაც მკვეთრად შემცირდა განსაკუთრებით საშემე მერქნის მოპოვება, რაც გამოწვეულია ძირითადად რთული მიღწევადობით;
4. ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონიდან და ნემვის აღკვეთილიდან ყოველ წლიურად საშუალოდ 2000-მდე ოჯახი მოიპოვებს საშემე მერქანს. საშუალო მოცულობა შეადგენს დაახლოებით  $9000\text{მ}^3$ -ს. საშემე მერქნის გაცემასთან დაკავშირებით და განსაზღვრულ რაოდენობასთან მიმართებაში მოქმედებს საქართველოს მთავრობის #242 დადგენილება „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“, რის მიხედვითაც ერთ კომლზე გაიცემა არაუმეტეს  $7\text{მ}^2$  საშემე მერქანი, ხოლო მაღალმთიან ზონაში კი  $15\text{მ}^2$  საშემე მერქანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმაში 2014-2019 წწ ერთ კომლზე განსაზღვრულია არაუმეტეს  $10\text{მ}^2$  საშემე მერქანი. დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის მიერ რეალურად ერთ კომლ მოსახლეზე გაიცემა  $7\text{მ}^2$ -მდე საშემე მერქანი, მიუხედავად იმისა მომხმარებელი ცხოვრობს თუ არა მაღალმთიან ზონაში, რაც გარკვეულ შემთხვევებში კონფლიქტურ სიტუაციას ქმნის ადმინისტრაციასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის;
5. 2017-2018 წწ ნემვის აღკვეთილში ჩატარდა ტყის ინვენტარიზაცია, რომლის მიხედვითაც შეფასდა არსებული მარაგი და ასევე დაიგეგმა რიგი ღონისძიებები ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებით;
6. 2018 წელს ნემვის აღკვეთილში ჩატარებული ტყის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ხე-მცენარეების „წითელი ნუსხის“ სახეობები კომპაქტურად და შედგენილია სპეციალური უწყისი მაღალი ეკოლოგიური ღირებულების ტყეების შესახებ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ნემვის აღკვეთილში მას შემდეგ, რაც 2006 წლიდან იგი დაცული ტერიტორიებს მართვაში გადავიდა, ტერიტორიაზე არ ჩატარებულა დამატებითი კვლევები, რაც გულისხმობს ფაუნის „წითელი

ნუსხის“ სახეობების და მათი ჰაბიტატების შესწავლას;


7. ნემვის ალკვეთილში მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს რესურსის მოპოვება (საშეშე და სამასალე მერქანი). აღსანიშნავია, რომ ნემვის ალკვეთილი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას დაცვის კუთხით. დაცულ ტერიტორიაზე გამოვლენილი სამართალდაღვევებიდან, რომელიც უკავშირდება ხე-ტყის უკანონო მოპოვებას, უმეტესი წილი მოდის ნემვის ალკვეთილზე;
8. ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, პარკის დაარსებიდან ამ ტერიტორიებზე არ ჩატარებულა ტყის მდგომარეობის შესწავლა, შესაბამისად, დასადგენია და შესასწავლია ეს საკითხი. პარკის ადმინისტრაციის დაკვირვებით გარკვეულ ტერიტორიებზე, მაგალითად, ქვაბისხევი, ბანისხევი, საშეშე მერქნის მარაგი შემცირებულია, რაც გაართულებს რესურსის გაცემას. თავის მხრივ, ამას ნეგატიური გავლენა ექნება ადგილობრივ მოსახლეობასა და პარკის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა ამ ყველაფრის დეტალური შესწავლა და ანალიზი;
9. ადგილობრივი მოსახლეობის საშეშე მერქნით უზრუნველყოფის საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია დაგეგმილი ცვლილებები, რომელიც ახალი ტყის კოდექსის დამტკიცების შემდეგ შევა ძალაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელსაც ახალი ტყის კოდექსი მოიცავს, ესაა ე.წ. „საქმიანი ეზოების“ შექმნის მოდელი. აღნიშნული მოდელი შეიძლება განხილული იქნას, როგორც მნიშვნელოვანი ცვლილება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკიდან და ნემვის ალკვეთილიდან საშეშე და სამასალე მერქნის მოპოვებასთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტომ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან მჭიდრო კომუნიკაციის და თანამშრომლობის ფარგლებში განიხილოს ეს საკითხი, რამდენად შეეხება აღნიშნული ცვლილება ეროვნული პარკს, როგორც მართვის ორგანოს და ასევე საშეშე მერქნით უზრუნველყოფის საკითხში ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

დიაგრამა 1: დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ გაცემული I და II ხარისხის მერქანი 2014-2019 წწ.



წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

დიაგრამა 2: I და II ხარისხის მერქანის გაცემა მუნიციპალიტეტების მიხედვით



წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

10. ადგილობრივი მოსახლეობა, პირადი მოხმარების მიზნით მოიხმარს ხილ-კენკრას და სოკოს ეროვნული პარკის ტყეებიდან, თუმცა აღსანიშნავია, რომ რეალურად არ არის დათვლილი თუ დაცული ტერიტორიის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის რა რაოდენობა მიყვება აღნიშნულ საქმიანობას და რა რაოდენობის რესურსის შეგროვება ხდება;


11. ეროვნული პარკის ხარაგაულის რაიონის მოსახლეობა ძირითადად მისდევს მეფუტკრეობას. ფუტკრის სკების დასადგმელად ისინი იყენებენ წაბლნარი ტყეების ღია ფართობებს. მეფუტკრეობის არსებული პრაქტიკა ზიანს არ აყენებს ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ადგილები იზიდავს დათვს და ხდება სკების დაზიანება, ეს კი თავის მხრივ წარმოშობს ადამიანსა და მტაცებელს შორის კონფლიქტს, რაც გასათვალისწინებელია ამ საქმიანობის დაგეგმარების დროს;
12. ნემვის ალკვეთილში, ისევე როგორც ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის რეინჯერების მიერ მიმდინარეობს მონიტორინგი. თუმცა მონიტორინგის საქმიანობები არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას „წითელი ნუსხის“ სახეობების შესახებ;
13. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ნემვის ალკვეთილში ფოცხვერის პოპულაციის შესწავლა. დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის მიერ მოპოვებულ ინფორმაცია და მონაცემები საკმაოდ მწირია. ნემვის ალკვეთილის შექმნის ერთ-ერთი მიზანი კი სოჭისა და ფოცხვერის სახეობების დაცვაა.

#### ა) ალპური სამოვრები

1. ალპური სამოვრები (11 000 ჰა) მდებარეობს ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში. ალპური სამოვრების გამოყენება ხდება დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მოსახლე დაახლოებით 150 ოჯახის მიერ.

უკანასკნელ წლებში ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგის მონაცემების თანახმად, პირუტყვის რაოდენობა ყოველწლიურად იკლებს ეროვნული პარკის ალპურ სამოვრებზე. ტენდენცია კი უკავშირდება საქმიანობის სირთულეს და ახალგაზრდების ნაკლებ ინტერესს ამ საქმიანობის მიმართ;

დიაგრამა 3: 2014-2019 წლებში საქონლის რაოდენობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ალბურ სამოვრებზე




წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

2. 2017-2018 წწ. კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) დაფინანსებით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სამოვრების შეფასება განხორციელდა სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა „ნაკრესმა“. შეფასება განხორციელდა ორ ეტაპად: 2017 წელს დადგინდა მოსარგებლეთა რაოდენობა და პირობითი საზღვრები სამოვრებს შორის, რის საფუძველზეც რაიონების მიხედვით მომზადდა შესაბამისი რუკები. 2018 წელს კი განხორციელდა სამოვრების ეკოლოგიური შეფასება და სოციო-ეკონომიკური კვლევა. ანგარიშიდან ვგებულობთ, რომ „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის“ სამოვრების საერთო ფართობია 11 000 ჰა. სამოვრებით სარგებლობს ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ბაღდათისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების მოსახლეობა.

საბაზისო კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ამჟამად არსებული 11 000 ჰა-დან აქტიურ გამოყენებაშია მხოლოდ 5 600 ჰა-მდე სამოვარი. მუნიციპალიტეტების მიხედვით კი სამოვრების გამოყენების მხრივ, ყველაზე დიდი წილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტზე მოდის;

დიაგრამა 4: სამოვრების გამოყენება მუნიციპალიტეტების მიხედვით



წყარო: სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „ნაკრესის“ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სამკრების მენეჯმენტის გეგმის შემუშავება, ფაზა 2

- კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ მოსახლეობის მხრიდან სამოვრების გამოყენებას სრულიად დაურეგულირებელი ხასიათი აქვს. მწყემსები და ფერმერები სამოვრებს თავიანთი შეხედულებისამებრ იყენებენ; მოსარგებლები ნაკლებად ითვალისწინებენ სამოვრების სივრცით თავისებურებებს, დატვირთვის ეკოლოგიურ ნორმებს, ძოვების ვადებსა და სამოვართბრუნვის საკითხებს. ასევე მოსარგებლები არ იხდიან არც მიწის და არც იჯარის გადასახადს;
- ძოვების პერიოდი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში არის მხოლოდ ზაფხულის 3 თვე. ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სამოვრები რომლებიც შეფასდა სამოვრის მდგომარეობის ინდექსის (SPI) საფუძველზე, იმყოფება საშუალო ან კარგ მდგომარეობაში. გამოყენებული 53 სამოვრიდან, 17 საერთო ფართობით 2, 229 ჰა იმყოფება საშუალო მდგომარეობაში, ხოლო 36 კი (საერთო ფართობით 3, 218 ჰა) იმყოფება კარგ მდგომარეობაში;
- მიუხედავად იმისა, რომ ბორჯომ-ხარაგაულის სამოვრები მეტ-ნაკლებად კარგ მდგომარეობაშია, მათ ბუნებრივად მიდრეკილება აქვთ ეროზიისადმი, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია შემდგომი ღონისძიებების დანერგვის დროს, რადგან ძოვების ინტენსიფიკაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ეროზიული პროცესების დაჩქარება;

6. სამოვრების გაიჯარების კუთხით მნიშვნელოვანია სოციო-ეკონომიკური კვლევა, რომელიც ამ მიმართულებით ჩატარდა „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სამოვრების მართვის გეგმის” შემუშავების პროექტის მე-2 ფაზაში. კვლევის შედეგად გამოვლენილია მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც კონფლიქტს წარმოშობს სამოვრებით მოსარგელებსა და დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციას შორის. მოსარგელები მიიჩნევენ, რომ სამოვრები არის მათი საკუთრება, დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია კი მათ აფერხებს და ხელს უშლის განვითარებაში. შესაბამისად, სამოვრების გაიჯარების საკითხი საკმაოდ პრობლემური საკითხია. ჩატარებული კვლევების მიხედვით გამოვლინდა ადგილობრივი ხელისუფლების და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება გაიჯარების საკითხთან დაკავშირებით. სამოვრების გაიჯარების კატეგორიულად წინააღმდეგია ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, როგორც ადგილობრივი თვითმართველობა, ასევე მოსარგელები;
7. 2020 წელს CNF-ის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო სამოვრების შეფასების მესამე ეტაპი, რაც გულისხმობს სამოვრების მართვის გეგმის შემუშავებას. მართვის გეგმის შემუშავებას ახორციელებს სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „ნაკრესი”. სამოვრების მართვის გეგმის შემუშავება არის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა სამოვრების მდგრადი გამოყენების და საჭიროების შემთხვევაში კონსერვაციული ღონისძიებების გატარებისათვის;
8. მიმდებარე სოფლების მოსახლეობა ამზადებს თივას ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში, მაგრამ ქმედება იმდენად მცირეა, რომ მდებარეობსა და სათიბებზე ზემოქმედება უმნიშვნელოა;
9. ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი ფარავს 20 476 ჰა-ს. ტერიტორია დაცული ტერიტორიების სააგენტოს მმართველობაში გადავიდა 2015 წლიდან. საბაზისო კვლევები და ძირითადი მონაცემები ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის შესახებ განხორციელდა 2010 წელს, სადაც მოცემულია ძირითადი აღწერილობა და აღკვეთილის დახასიათება;
10. ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის უმეტესი ნაწილი გამოიყენება სამოვრებად. ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილში დაცული ტერიტორიების სააგენტომ დაიწყო სამოვრების გაიჯარების პროცესი. 2019 წლის ბოლოსთვის გაიჯარებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სამოვარი) მიწის ნაკვეთები;

11. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ქცია-ტაბაწყურის საძოვრებთან დაკავშირებით საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა ერგო. წინა წლებში გაცემული იყო იჯარები, ასევე იყო არასწორი საკუთრების ფორმები, რომელიც სახელმწიფოს მიერ გაუქმდა. აღნიშნულმა კი გამოიწვია კონფლიქტები ადმინისტრაციასა და მოსარგებლებს შორის. ასევე მუდმივი კონფლიქტია ადგილობრივ მაცხოვრებლებსა და ჩამოსულ მოსარგებლებს შორის საძოვრების გამოყენებასთან დაკავშირებით;
12. კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის საძოვრების მდგომარეობის შეფასება. იქიდან გამომდინარე, რომ გარდა ალკვეთილის კონსერვაციული მნიშვნელობისა, ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი წარმოადგენს საზაფხულო საძოვრებს და ხდება მისი აქტიური გამოყენება უკვე მრავალი წლის მანძილზე. ძოვება არ არის დარეგულირებელი და ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საძოვრის დეგრადაცია და ეროზიული პროცესები, რაც ვიზუალურად შესამჩნევია;
13. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი შედარებით ახალი ტერიტორიაა. აღსანიშნავია, რომ ტერიტორია საკმაოდ მოშორებულია დაცული ტერიტორიების დანარჩენი ნაწილისგან. ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია დაცული ტერიტორიის და მისი მნიშვნელობის შესახებ;
14. ალკვეთილში მნიშვნელოვანია კონსერვაციული და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საქმიანობების განხორციელება, რაც ამ ეტაპისათვის სრულფასოვნად ვერ სრულდება როგორც ადამიანური რესურსის, ასევე ცოდნის და გამოცდილების ნაკლებობის გამო. მნიშვნელოვანია ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილისათვის შეიქმნას და განისაზღვროს კონსერვაციული და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ღონისძიებები, რომელიც ინტეგრირებული იქნება და აისახება ტერიტორიის დაცვა-პატრულირების სტრატეგიასა და რეინჯერების ყოველდღიურ საქმიანობებში.

## ბ) წყალი და წყლის რესურსები

1. ეროვნული პარკის და ნეძვის ალკვეთილის ტერიტორიაზე მრავლადაა მდინარეები და ხეხევი, აგრეთვე მინერალური წყლები. ადგილობრივი მოსახლეობა მდინარეებისა და წყაროების მტკნარ წყალს მოიხმარს სასმელად. მინერალური წყლების კომერციული მიზნით სარგებლობა ხდება დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე არის რამდენიმე მინერალური წყლის ბურღი, რომელიც

დალუქულია და დღესდღეობით არ ფუნქციონირებს;


2. ტაბაწყურის ტბა გაცემულია გრძელვადიანი იჯარით, სადაც ხდება რესურსით სარგებლობა - კომერციული თევზჭერა. ასევე აღსანიშნავია, რომ ტაბაწყურის ტბა მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისათვის წარმოადგენს შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს თევზჭერის მხრივ, რაც ყოველთვის კონფლიქტის წყაროა ადგილობრივ მოსახლეობასთან, მეიჯარის მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო;
3. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილში არსებული მდინარე ქცია მნიშვნელოვანი ჰაბიტატია „წითელი ნუსხის“ სახეობის კალმახისათვის. საჭიროა რიგი კონსერვაციული ღონისძიებების გატარება მდინარის დასაცავად, როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, ასევე მესაქონლეობით გამოწვეული დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.

#### გ) ტყის მავნებლები და სოკოვანი დაავადებები

1. ნაკრძალის და ეროვნული პარკის ჩამოყალიბების შემდგომ წიწვოვან ტყეებს სერიოზული ზიანი მიაყენა მბეჭდავმა ქერქიჭამიამ (*Ips typographus*) და ნამვის დიდმა ლაფანჭამიამ (*Dendroctonus kugel*). ამ უკანასკნელის მიერ მიყენებული ზიანის თავიდან ასაცილებლად რეგიონში სამოცდაათიან წლებში შემოყვანილი იქნა მისი ბუნებრივი მტერი – რიზოფაგუსი (*Rizophagus grandis*). რიზოფაგუსის რიცხოვნობის გაზრდით შესაძლებელი გახდა მავნე მწერების რიცხოვნობის რეგულირება და შესაბამისად, ტყის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. გარდა ამისა, განხორციელდა ფერომონების გამოყენება ტყეებში, რამაც ასევე შეამცირა მავნე მწერების რიცხოვნობა;
2. სააგენტოს ინიციატივითა და მეთვალყურეობის ქვეშ ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა ბიოლოგიური ბრძოლა. იქ, სადაც აღინიშნებოდა მავნებლების კერები, დაკიდებული იქნა ფერომონებიანი მწერსაჭერები. ადმინისტრაციის მიერ ყოველწლიურად მიმდინარეობს ფერომონების განთავსება ცხელ წერტილებში;
3. მავნე მწერების პრობლემა ყოველწლიურად დგას ადმინისტრაციის წინაშე და დაცული ტერიტორიების სააგენტო მუშაობს, რათა შემცირდეს მავნებლების გავრცელების კერები და უვნებლად შენარჩუნდეს ბუნებრივი ეკოსისტემები. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ყოველწლიურად ახორციელებს ფიტოპათოლოგიურ კვლევებს; კვლევა შეზღუდულია და მოიცავს მხოლოდ ძირითად ეკოსისტემებში მერქნიანი სახეობების დაზიანების შეფასებას სანიმუშო

ფართობებზე. ფინანსების ნაკლებობის გამო კვლევა არ ხორციელდება კვლევითი ორგანიზაციების მიერ. ნაკლებია ინფორმაცია პათოგენურ სოკოებზე;

დიაგრამა 5: ადმინისტრაციის კვლევების შედეგად გამოვლენილი ინფორმაცია ტერიტორიაზე დაზიანებული ფართობების შესახებ




წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

- 2018 წელს ნემვის აღკვეთილისთვის შეიქმნა „ნემვის აღკვეთილის ტყის მართვის გეგმა“, რომელიც მოიცავს პათოლოგიურ კვლევების შედეგებს, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ „წიწვოვანი ხეების ხმობა არ აღემატება 6%-ს, რაც არ წამოადგენს საგანგაშო მდგომარეობას და ექვემდებარება სანიტარული ღონისძიებების გატარებას“. კვლევების შედეგად გამოვლინდა ძირითადი მავნებლების, როგორიცაა *ნემვის დიდი ლაფანიჭამია (Dendroctopnus micans kugel)*; *მბეჭდავი ქერქიჭამია (Ips typographus L)*; *ექვსკბილა ქერქიჭამია (Ips sextendatus Boern)*; *კენწეროს ქერქიჭამია (Ips acuminatus Gyll)*; *აღმოსავლეთის კაუჭკბილა ქერქიჭამია (Pityokteines curvidens Germ)*; *ფიჭვის ღეროს ალურა (Dioryctria splendidella H-S)*; *წიფლის ჩვეულებრივი მეგალე (Mikiola fagi Hartig)*. მოცემული ანგარიში მოიცავს ინფორმაციას ნემვის აღკვეთილში გავცელებული პათოგენის სოკოების შესახებ, როგორიცაა *ნამდვილი აბედა (Fomes fomentarius Gull)* და *ცრუ აბედა (Phelinus igniarius (L.ex Fx) Quel)*. კვლევის მიხედვით ნემვის აღკვეთილის არსებულ პათოეკოსისტემებში (სოჭნარები, ფოჭვნარები, მუხნარები, წიფლნარები) პათოლოგიური მდგომარეობის საერთო ღონე დამაკმაყოფილებელია და რაიმე განსაკუთრებით საშიში მავნებლის ან დაავადების რიცხოვნობის გაზრდა არ აღინიშნება;

## დ) ხანძრები

1. ყოველწლიურად დაცულ ტერიტორიაზე ადგილი აქვს ხანძრის რამდენიმე შემთხვევას. ზოგ წელს ხანძრისგან მიყენებული ზიანი უმნიშვნელოა, ზოგჯერ კი მეტად სერიოზული. 2008 წელს დაახლოებით ტყის 10-12 ჰა-მდე დაზიანდა ერთჯერადი ხანძრის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2008 წელს რუსეთთან კონფლიქტის დროს;
2. 2014-2019 წწ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში თითქმის ყოველწლიურად ფიქსირდებოდა მცირე ხანძრები. დროული რეაგირებისა და არსებული გაუმჯობესებული ტექნიკის შედეგად ხდებოდა ხანძრის კერების დროული აღმოჩენა და მათ ლიკვიდაცია. აღსანიშნავია 2017 წლის ხანძარი ეროვნული პარკის აბასთუმნის უბნის ტერიტორიაზე, რომლის დროსაც დაიწვა 40 ჰა ტერიტორია, ხანძრის ქრობის პროცესში ჩართული იყო სამაშველო სამსახური და ჯარი. ხანძრის ქრობის პროცესში გაიჭრა 3,5 კმ გზა, რომელიც ძირითადად გამოყენებული იქნა მძიმე ტექნიკის გადასადგილებლად ხანძრის ჩაქრობის მიზნით;

დიაგრამა 6: 2014-2018 წწ ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე ხანძრის შედეგად დაზიანებული ფართობი



წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

3. ხანძრები მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ლოკალური ბიომრავალფეროვნებისათვის, განსაკუთრებით ქვეწარმავლების, ამფიბიების და ზოგიერთი ჯგუფი უხერხემლოებისათვის. თუმცა, ხანძრების ზეგავლენის შესახებ სპეციფიკური კვლევები არ ჩატარებულია და საკითხი მომავალი შესწავლის საგანს წარმოადგენს;
4. ნაკრძალისა და ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაში სარგებლობის წესების მიხედვით დაუშვებელია ნებისმიერი სახის მანიპულაციური აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. შესაბამისად, ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული დამწვარი ფართობები რჩება ხელუხლებელი, მათი ბუნებრივად აღსადგენად. დაცული ტერიტორიების სხვა ადგილებში აღდგენითი სამუშაოების განხორციელებას ხელი ეშლება იმ ფაქტის გამო, რომ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას არ გააჩნია თანხები სანერგეს მოსაწყობად, ან არაქვს აღდგენითი ღონისძიებების ჩატარების სპეციალური მეთოდიკა, რომელიც მისაღებია ნახანძრავი ძლიერ დაქანებული ფერდობების აღსადგენად.

**ე) ხაზობრივი ინფრასტრუქტურა ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე**

**ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა**

1. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გადის 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზი. ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობამ გამოიწვია ტყის ეკოსისტემების რღვევა და გარკვეული ზიანი: მოიჭრა მნიშვნელოვანი რაოდენობის მერქნიანი მცენარეები, დაირღვა ზოგიერთი ფრინველის საბუდარი ადგილები და „წითელი ნუსხის“ სახეობების (კავკასიური კეთილშობილი ირმის, მურა დათვის, ფოცხვერის, კასპიური შურთხის) მნიშვნელოვანი ჰაბიტატები. ასევე იმ ადგილებში, სადაც დამონტაჟებულია ე.წ. გადამცემი ანძები, ტერიტორიაზე შეინიშნება ეროზიული პროცესები;
2. 2014 – 2019 წწ ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმაში მითითებული იყო საკომპენსაციო ღონისძიებები როგორცაა: „სანერგეს მოწყობა, დაზიანებული მერქნიანი სახეობების ნერგების გამოყვანა და შემდგომ მათ გადარგვა ტყის ღია ფართობებში ან ისეთ ადგილებში, სადაც ტყის ეკოსისტემები საჭიროებს აღდგენას. ამავე პროექტის ფარგლებში, ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და ამოქმედების პერიოდში გათვალისწინებულია ფრინველებისათვის დამცავი ეკრანების დამონტაჟება და

სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით მათი შეშფოთების შემცირება”. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ქმედებები არ განხორციელებულა. თუმცა განხორციელდა რიგი საკომპენსაციო ღონისძიებები, როგორცაა რეინჯერთა თავშესაფრის მშენებლობა, ადმინისტრაციისათვის 2 ავტომობილის შეძენა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით და ასევე წელიწადში 30 000 ევროს კომპენსაცია.

### საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა

1. ეროვნული პარკის აბასთუმნის ნაწილში დაგეგმილია შემოვლითი გზის მშენებლობა, რომელიც აბასთუმანს დააკავშირებს კურორტ საირმესთან. განხორციელდა პირველადი კვლევები და 2019 წლის ბოლოს შემუშავდა დაგეგმილი პროექტის ე.წ. სკოუპინგის ანგარიში, რომელიც მომზადებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ. სკოუპინგის ანგარიში „აბასთუმნის შემოსავლელი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი“-ის სკოუპინგის ანგარიში მომზადებულია „გამა კონსალტინგის“ მიერ. „აბასთუმნის შემოვლითი გზის მოწყობის პროექტი კურორტის რეაბილიტაცია-განვითარების ერთ-ერთი კომპონენტია. მისი განხორციელების შემთხვევაში მოხდება კურორტზე გამავალი გამჭოლი სატრანსპორტო მოძრაობის არიდება, რაც შეამცირებს ლოკალურ დონეზე ჰაერის ხარისხზე სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეულ ზემოქმედებას. რაც სხვა დაგეგმილ პროექტებთან ერთად, ხელს შეუწყობს აბასთუმნის, როგორც კურორტის როლს“ (სკოუპინგის ანგარიში);
2. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის აბასთუმნის ნაწილში 16 კმ-იანი გზის მშენებლობას, თანმდევი გვირაბებით და ხიდებით. მომზადებულია სკოუპინგის ანგარიში, სადაც ნულოვანი ალტერნატივა არ განიხილება, ანუ არ არის შემთხვევა, როდესაც დაგეგმილი გზა მთლიანად აცდებოდა დაცული ტერიტორიის საზღვარს. წარმოდენილია 6 სხვადასხვა ალტერნატივა, რომელთაგან ყველა გადის დაცული ტერიტორიის საზღვარში;
3. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი პროექტის განხორციელება დიდი ალბათობით, წარმოადგენს საფრთხეს ბიომრავალფეროვნებისათვის, სახეზე გვექნება დაცული ტერიტორიის ფრაგმენტაცია, გაიჩეხება მნიშვნელოვანი რაოდენობის მერქნიანი მცენარეები, დაირღვევა ზოგიერთი ფრინველის საბუდარი ადგილები და „წითელი ნუსხის“ სახეობების (კავკასიური კეთილშობილი ირმის, მურა დათვის,

ფოცხვერის) მნიშვნელოვანი ჰაბიტატები. გამოიწვევს ნიადაგის დეგრადაციას და ეროზიას;


4. მნიშვნელოვანია, რომ გარემოს ზემოქმედების ანგარიშის მომზადების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია. აუცილებელია, დაგეგმილი პროექტის დანახარჯ-ეფექტიანობის ანალიზი და ასევე ეკოსისტემური სერვისების შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ შეფასდეს დაგეგმილი პროექტის შედეგად მიღებული ზიანი;
5. სკოუპინგის ანგარიშში ნაკლებადაა წარმოდგენილი დაცული ტერიტორიის მნიშვნელობა და მოსალოდნელი საფრთხეები. აუცილებელია, რომ მკაფიოდ დაისვას კომპენსირების საკითხი თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე. კომპენსაცია რეალურად უნდა გამოხატავდეს პროექტის განხორციელების შედეგად დამდგარი ზიანის გათვალისწინებას. სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით უნდა მოხდეს საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა. მოცემული სკოუპინგის ანგარიში გულისხმობს დაცული ტერიტორიის გაფართოებას და წარმოდგენილია გეგმარებითი ტერიტორიები. აქ მნიშვნელოვანი იქნება შეფასდეს რამდენად თანაზომვადია დაცული ტერიტორიისათვის შემოთავაზებული ტერიტორიაზე გაფართოება;
6. მნიშვნელოვანი საკითხია ასევე, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტომ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან, სხვადასხვა გარემოსდაცვითი ორგანიზაციის ჩართულობით შეიმუშავოს კომპენსირების მექანიზმები, მათ შორის მატერიალური კომპენსირების მექანიზმი, რომელიც მიმართული იქნება ეკოსისტემის აღდგენისათვის. შემუშავებული კომპენსირების მექანიზმები ბიომრავალფეროვნების დაცვისა და დაცული ტერიტორიის განვითარებისათვის იქნება გამოყენებული.

### ვ) ძირითადი სახეობების მდგომარეობა

1. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია აწარმოებს საკვანძო სახეობების მონიტორინგს, როგორცაა კავკასიური კეთილშობილი ირემი, მურა დათვი, არჩვი, ფოცხვერი და მგელი. აღსანიშნავია, რომ მონაცემების შეგროვება ძირითადად ხდება კვალზე დაკვირვების მეთოდით და ფოტოხაფანგების გამოყენებით. ველზე ინფორმაციას აგროვებენ რეინჯერები და ხდება მონაცემების ადმინისტრაციაში დამუშავება. უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემების დამუშავება წარმოადგენს ადმინისტრაციისათვის საკმაოდ

პრობლემატურ საკითხს. არ ხდება მონაცემების სისტემატიზაცია, დარუკება და მისი შემდგომი ანალიზი. ადმინისტრაციის მონაცემები ძირითადად წარმოადგენს შეგროვებული კვალის რაოდენობას და არა კონკრეტული სახეობის რიცხოვნობას;

დიაგრამა 7: საკვანძო სახეობების კვალზე დაკვირვების მონაცემები



წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

2. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ძირითად სახეობებზე უახლესი ინფორმაცია მოიპოვება კავკასიის ბუნების ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომელიც განახორციელა სახეობათა კონსერვაციის ცენტრმა „ნაკრესმა“ პროექტის ფარგლებში - „საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების თანამონაწილეობრივი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში“ (2014-2015);
3. ოთხი ძირითადი სახეობა, მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), კავკასიური კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral*) და არჩვი (*Rupicapra rupicapra*) წარმოადგენს სახეობებს, რომლებიც შერჩეული იყო ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის დაცულ ტერიტორიაზე. ძირითად სამ სახეობაზე, პოპულაციის შეფასებისათვის გამოყენებული იყო მოწინავე დათვლის მეთოდი. მოხდა აღნიშნული მოდელის მორგება ადგილობრივ გარემოებებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია მისი გამოყენება სხვა ტერიტორიებზეც. მეოთხე სახეობასთან, არჩვთან მიმართებაში გამოყენებული იქნა ახალი მეთოდი, კერძოდ პოპულაციის რიცხოვნობის დადგენის მცდელობა განხორციელდა უპილოტო საფრენი აპარატით, რომელიც საკმაოდ რთული ექსპერიმენტი აღმოჩნდა.

#### 4. კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral*)

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილია, როგორც კრიტიკულ საფრთხეში მყოფი (CR), ხოლო საერთაშორისო „წითელ ნუსხაში“ (IUCN) მინიჭებული აქვს სტატუსი - საჭიროებს ზრუნვას (LC).

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები კეთილშობილი ირმის პოპულაციის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს. 1977 წლიდან 1990 წლამდე მისი რაოდენობა ეროვნულ პარკში მერყეობდა 680-დან 1000 ინდივიდამდე. 1990 წლებში მათი რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა და 1999 წელს შეადგინა 39 სული. სავარაუდოდ ეს გამოწვეული იყო საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში არსებული ეკონომიკური კრიზისით და მისი საკვებად უკანონოდ მოპოვებით. 2011 წლისათვის ირმის რიცხოვნობა გაიზარდა 1999 წლის მაჩვენებელთან შედარებით 6,6-ჯერ და შეადგინა 278 სული, რასაც ხელი შეუწყო დაცვის მკაცრმა რეჟიმმა. ირმის პოპულაციის უმეტესი ნაწილი გვხვდება ნაკრძალის ტერიტორიაზე, ხოლო მცირე ნაწილი ეროვნულ პარკში. კეთილშობილი ირემი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინდიკატორს ეკოსისტემების მდგომარეობის შესაფასებლად. არსებობს საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს კეთილშობილი ირმის პოპულაციის კონსერვაციას ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიაზე, როგორცაა სამოვრების მართვა, რათა დარეგულირდეს გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში ირმისა და შინაური საქონლის კვება, ეკოლოგიური დერეფნების შენარჩუნება.

4.1. „ნაკრესის“ ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი დაცული ტერიტორიების რეინჯერები, კავკასიური კეთილშობილი ირმის პოპულაციის მდგომარეობა და რიცხოვნობა დიდად არ განსხვავდება ადმინისტრაციის მიერ შეგროვილი ინფორმაციისგან: „საბოლოო შედეგებით ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიაზე (ეროვნული პარკი და ნაკრძალი) არის **325-527 ინდივიდი (2015 წ.)**. შედეგის ნდობის ინტერვალი საკმაოდ მაღალია, რაც მოულოდნელი იყო პროექტის განმახორციელებლებისათვის. აღსანიშნავია, რომ ირმის სიმჭიდროვე ბორჯომის ნაწილში არის უფრო მაღალი, მაგრამ არათანაბარი ვიდრე ეროვნული პარკის დანარჩენ ნაწილში. სიმჭიდროვე თითქმის თანაბარია აწყურის და აბასთუმნის ნაწილში. შესაბამისად აღნიშნული მეთოდის გამოყენების დროს მნიშვნელოვანია გათავლისწინებული იყოს სიმაღლის ცვლილება და ასევე ადამიანის მიერ შეწუხების ფაქტორი“.

## 5. მურა დათვი (*Ursus arctos*)

5.1. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ მურა დათვი შეტანილია, როგორც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN), ხოლო საერთაშორისო წითელ ნუსხაში მინიჭებული აქვს სტატუსი - საჭიროებს ზრუნვას (LC). დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის მონაცემებით, მურა დათვის რიცხოვნობა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკსა და ნაკრძალში გაიზარდა, კერძოდ 2000 წელს 36 სულიდან 2011 წელს 96 ინდივიდამდე. თუმცა მონაცემები ეყრდნობა მხოლოდ კვალის აღრიცხვის მეთოდს და არ წარმოადგენს ექსპერტულ შეფასებას;

5.2. 2014-2015 წლებში GIZ, CNF და მცირე გრანტების პროგრამის დახმარებით ჩატარდა მურა დათვის ალტერნატიური აღრიცხვა არაინვაზიური გენეტიკური მეთოდის გამოყენებით. კვლევა განახორციელა „ნაკრესის“-მა დაცული ტერიტორიების აქტიური მხარდაჭერით, რომლის შედეგები მაღალი სარწმუნოებით გამოირჩევა. კვლევის შედეგები შემდეგნაირია - ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიაზე (ეროვნული პარკი, ნაკრძალი) არის 38-47 ინდივიდამდე დათვი, სიმჭიდროვე კი არის 1.9-2,3 დათვის 100 კმ<sup>2</sup>. გამოყენებულ მეთოდში მაქსიმალურად მოხდა ყველა მოთხოვნის გათვალისწინება და შესაბამისად, ჩვენ გვაქვს 95% ნდობის ინტერვალი. შედეგების მიხედვით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანალოგიური კვლევა ჩატარდა 2004 წელსაც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. მონაცემების შედარებით ირკვევა, რომ ბოლო 10 წელიწადში დათვის პოპულაცია მცირედით გაიზარდა.

## 6. არჩვი (*Rupicapra rupicapra*)

6.1. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ არჩვი შეტანილია, როგორც გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN), ხოლო საერთაშორისო წითელ ნუსხაში მინიჭებული აქვს სტატუსი - საჭიროებს ზრუნვას (LC). ინფორმაცია არჩვის შესახებ ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე მწირია. უკანასკნელი დეკადის მანძილზე აღრიცხული რაოდენობის მიხედვით სავარაუდოდ მათი რიცხოვნობა 80 ან ცოტა მეტია. სავარაუდოდ პოპულაცია სტაბილურია, თუმცა არსებობს მუდმივი საფრთხე, კერძოდ: საკვები, რომელსაც ასევე იყენებს შინაური პირუტყვი ალპურ მდელოებზე გაზაფხულსა და ზაფხულის პერიოდებში, თავად შინაური პირუტყვის არსებობა, რომელიც აფრთხობს არჩვს და ბრაკონიერობა;

6.2. ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე ფოტოხაფანგის მიერ არჩვის დაფიქსირების მხოლოდ ერთეული შემთხვევებია. ძირითადი მონაცემი კი წარმოადგენს კვალზე დაკვირვებიდან მიღებულ ინფორმაციას;

- 6.3. უნდა აღინიშნოს, რომ ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ძირითად სახეობათაგან, რომელზეც ყველაზე მწირი ინფორმაცია მოიპოვება, არის არჩვი. 2014-2015 წწ არჩვის აღრიცხვისათვის გამოყენებული იქნა უპილოტო საფრენი აპარატი, რომელიც ახორციელებდა აერო გადაღებას და სავარაუდოდ უნდა გადაეღო არჩვის ინდივიდები მათ ჰაბიტატში. მეთოდი ექსპერიმენტის ხასიათის იყო და ითვალისწინებდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში. კვლევისას უპილოტო აპარატით არჩვის ინდივიდების გადაღება ვერ მოხერხდა. რთულმა რელიეფმა და აპარატის ფრენით გამოწვეულმა ცხოველებისათვის შემაწუხებელმა ხმამ განაპირობა აღრიცხვის უარყოფითი შედეგი;
- 6.4. შესაბამისად, ყოველივე აქედან გამომდინარე, საჭიროა დამატებითი კვლევები არჩვის პოპულაციის მდგომარეობის შესასწავლად ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიებზე.

## 7. ფოცხვერი (*Lynx lynx*)

- 7.1. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ ფოცხვერი შეტანილია, როგორც კრიტიკულ საფრთხეში მყოფი (CR), ხოლო საერთაშორისო „წითელ ნუსხაში“ მინიჭებული აქვს სტატუსი - საჭიროებს ზრუნვას (LC). ინფორმაცია ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე ფოცხვერის პოპულაციის შესახებ, მწირია. დაცული ტერიტორიის მონაცემებით, სახეობის რაოდენობა სავარაუდოდ 30 ინდივიდამდეა და პოპულაცია სტაბილურია. რიცხოვნობა ეყრდნობა ფოტოხაფანგების არასისტემატიურ აღებულ მონაცემებს და კვალზე აღრიცხვის შედეგებს. ადმინისტრაციის მონაცემებით, არ არსებობს რაიმე აშკარა საფრთხე: არ დაფიქსირებულა მისი უკანონოდ მოპოვება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ფოცხვერის პოპულაცია უარყოფითად რეაგირებს მისი მსხვერპლი სახეობების კლებაზე, როგორცაა: შველი, კურდღელი, როჭო და შურთხი. ამჟამად არ არსებობს კონსერვაციის სტრატეგია ამ სახეობისათვის დაცულ ტერიტორიაზე;
- 7.2. „ნაკრესის“ მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, მონიტორინგისთვის და პოპულაციის შეფასებისათვის გამოყენებული იქნა ფოტოხაფანგები და პოპულაციის აღრიცხვა ჩატარდა დანიშვნა-კვლავდაჭერის მოდელის გამოყენებით. ფოტოხაფანგების სიმცირის გამო, კვლევამ მოიცვა დაცული ტერიტორიის მხოლოდ სამხრეთი ნაწილი (ბორჯომი, ახალციხე, ხაშურის რაიონები) და მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა რომ აქ 8-15 ინდივიდი ბინადრობს, სიმჭიდროვით 1 - 2 ინდივიდი 100 კმ<sup>2</sup>-ზე.

## 8. კავკასიური როჭო (*Lyrurus mlkosiewiczii*)

- 8.1. საქართველოს „წითელ ნუსხაში“ კავკასიური როჭო შეტანილია, როგორც მოწყვლადი (VU), ხოლო საერთაშორისო „წითელ ნუსხაში“ მინიჭებული აქვს სტატუსი - საფრთხესთან მიახლოებული (NT). ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკში მრავლად არის ამ სახეობის ჰაბიტატი. ეროვნულ პარკში პოპულაციის შესახებ ინფორმაცია მეტად მწირია და სასურველია დადგინდეს მისი არეალი, იდენტიფიცირდეს სატიხტიხო ადგილები და საბუდარი ადგილები, შეფასდეს მოქმედი საფრთხეები და ზეწოლები;
- 8.2. საჭიროა ჩატარდეს შემდგომი კვლევები, რის საფუძველზეც იქნება სრულყოფილი ინფორმაცია კავკასიური როჭოს შესახებ.

## 9. კასპიური შურთხი (*Tetraogallus caspius*)

- საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილია, როგორც მოწყვლადი სახეობა (VU), ხოლო IUCN-ის „წითელ ნუსხაში“ მინიჭებული აქვს სტატუსი - საჭიროებს ზრუნვას (LC).
- 9.1. ადმინისტრაციის რეინჯერების მხრიდან ვიზუალურად ხდება მისი დაფიქსირება აბასთუმნის, აწყურის და ციხისძირის მიდამოებში. საჭიროა, რომ მოხდეს ეროვნულ პარკში ამ სახეობის არეალის დარუკება და სხვა კვლევითი სამუშაოების განხორციელება.

## 10. კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*)

- 10.1. კავკასიური სალამანდრა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ეკორეგიონის ენდემია და გავრცელებულია მხოლოდ საქართველოსა და თურქეთში. საქართველოს „წითელ ნუსხას“ და საერთაშორისო „წითელ ნუსხაში“ (IUCN) შეტანილია, როგორც მოწყვლადი სახეობა (VU). მთლიანი პოპულაციის 85% გავრცელებულია საქართველოში. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ნაკრძალი წარმოადგენს ამ სახეობის მნიშვნელოვან ადგილსამყოფელს. მთელი რიგი კვლევები იქნა ჩატარებული ამ სახეობის პოპულაციაზე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ნაკრძალსა და ნემვის ადგილში. ზოგიერთი მათგანი მოიცავს რეკომენდაციებს, რაც წარმოადგენს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისათვის სახეობების კონსერვაციის პროგრამის კარგ საფუძველს.

## ზ) პრობლემები და შესაძლებლობები

1. იმისათვის, რომ შეივსოს ძირითადი ნაკლოვანებები, მნიშვნელოვანია შემდეგი სახის ინფორმაციის მოძიება და შესაბამისი კვლევების განხორციელება:
  - სახეობათა მთლიანი, დაზუსტებული სია, საბაზისო მასალა;
  - მცენარეთა და ცხოველთა საკვანძო სახეობების არეალის დაზუსტება, ფონური მასალის შეგროვება/დარუკება და ზოგიერთი მათგანის მონიტორინგის გაგრძელება;
  - ფრინველთა სახეობების დაზუსტებული ნუსხა, მათი გავრცელება და კონსერვაციული სტატუსი;
  - რეპტილიების დაზუსტებული სია, მათ შორის, კავკასიური გველგესლას (*Vipera kaznakovi*) და ტრანსკავკასიური ქვიშის გველგესლას (*V. ammodytes transcaucasiana*) გავრცელების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
  - უხერხემლოების მეტ-ნაკლებად სრული სია, მათ შორის, მწერების სია;
  - კომპლექსური კვლევა ტყეების მდგომარეობის შესახებ, მავნებლებთან მიმართებაში;
  - ნემვის ალკვეთილისათვის ფლორისტული და ფაუნისტური სიები და მათი არეალები;
  - ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილისათვის ფლორისტული და ფაუნისტური სიები და მათი არეალები;
  - ტყეების მონიტორინგი / შეფასება სანიმუშო ფართობების მიხედვით;
  - ინფორმაცია ტყით დაფარული ფართობების შესახებ, მათ შორის, ცალკეული მერქნიანი სახეობების შესახებ;
  - ინფორმაცია ტყის იშვიათი ჰაბიტატების შესახებ დატანილი თემატურ რუკებზე;
  - აღსანიშნავია, რომ ნემვის ალკვეთილში მნიშვნელოვანია ჩატარდეს კვლევა ფოცხვერის პოპულაციის შესასწავლად.
  - ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი საჭიროებს კომპლექსურ მონიტორინგის საქმიანობებს, როგორც ფლორისტულ, ისე ფაუნისტურ კვლევებს;
  - მნიშვნელოვანია ქცია-ტაბაწყურის საძოვრების მენეჯმენტის გეგმის შემუშავება.

## მუხლი 29. ეკოტურიზმი

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შექმნის შემდგომ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, შექმნა ტურისტული მომსახურება და ინფრასტრუქტურა, ასევე შეიმუშავა სხვადასხვა სახის შეთავაზება (ტურისტული პროდუქტი) ვიზიტორთათვის;

2. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრები (ბორჯომსა და ხარაგაულში) მთელი წლის მანძილზე ღიაა ვიზიტორებისათვის. აქ შესაძლებელია ბილიკების, ტურისტული სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღება, ასევე ტურის დაჯავშნა, ანგარიშსწორება და ტურისტული აღჭურვილობის დაქირავება. ინფორმაციის მიწოდება ხდება კვალიფიციური პერსონალის მიერ. სტუმრებს მიეწოდებათ საჭირო ინფორმაცია ეროვნულ პარკში ტურისტთა ქვევის წესებისა და ვალდებულებების შესახებ, ასევე გადაუდებელი დახმარების სერვისთან დაკავშირებული საკონტაქტო ინფორმაცია. დაცული ტერიტორიების დანარჩენ შესასვლელებში განლაგებულია რეინჯერთა საგუშაგოები;
3. ვიზიტორთა ცენტრიდან ბორჯომში იწყება საგანმანათლებლო ბილიკი, სხვა დანარჩენი მარშრუტები იწყება ვიზიტორთა ცენტრიდან მოშორებით, მათ შორის ლიკანში (მარშრუტები №1, 6, 9, 10 და 12); ქვაბისხევში (№6), აწყურში (№2, 3, 9, 11) აბასთუმანში (№5) ზანავში (№4) მარელისში (№ 1, 2, 9) ნუნისში (№4).  
ეროვნული პარკის შემდეგი შესასვლელიდან - ქვაბისხევი, აწყური, აბასთუმანი მარელისი და ტაბაწყური, შესაძლებელია ადგილზე დარეგისტრირება და მომსახურების საფასურის გადახდა. აქ რეინჯერებს აქვთ გადახდის ქვითართან გათანაბრებული დოკუმენტი;
4. 2019 წელს დაიგეგმა 7 ახალი ტურისტული მარშრუტი - 3 ნეძვის ალკვეთილში და 4 აბასთუმანში. მომზადებულია მარშრუტების პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება ბილიკების მოწყობა.  
ადმინისტრაციულ შენობაში მიმდინარეობს ვიზიტორთა ცენტრის რეკონსტრუქცია CNF-ის და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, რომლის მიზანია შეიქმნას სივრცე ვიზიტორებისათვის, სადაც მიიღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების და ტურისტული შეთავაზებების შესახებ, ასევე მოეწყობა საგანმანათლებლო ინტერაქტიული სივრცე;
5. ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს (TJS) ფაზა 3 ფარგლებში დასრულდა ტენდერი ხარაგაულის ვიზიტორთა ცენტრის მოწყობაზე, სადაც შეიქმნება თანამედროვე და კომფორტული სივრცე როგორც ვიზიტორებისათვის, ასევე საგანმანათლებლო თვალსაზრისით;
6. ბორჯომის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სასტუმრო, რომელიც გაცემულია იჯარით კერძო მეწარმეზე. ადმინისტრაციის შენობის გვერდით ერთ-ერთ ბილიკზე (ყველაზე მოკლე, საშუალო სირთულის) გასასვლელია. ასევე ბავშვებისთვის მოწყობილია ადგილი საინტერპრეტაციო დაფებით.
7. 2012 წლიდან 10 წლიანი იჯარითაა გაცემული აწყურის საზაფხულო ბანაკი. მოიჯარემ განახორციელა აღნიშნული ქონების რეაბილიტაცია.

**ა) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა:**

1. 4 ტურისტული თავშესაფარი, საბაზისო აღჭურვილობით, რომელთაგან თითოეული განკუთვნილია 12 ადამიანისათვის;
2. ტურისტული სასტუმრო სახლი მარელისში. კომფორტული ღამისთევის ადგილი, სველი წერტილით და სხვა სათანადო აღჭურვილობით. სასტუმროს კვების ორგანიზებას ახორციელებს კერძო პირი;
3. რეინჯერთა თავშესაფრები ((3) - ჩითახევის, სამეცხვარიოს და ქვაზვინევის). ამათგან სამეცხვარიო და ქვაზვინევი საჭიროებს შეკეთებას, ჩითახევი გარემონტებულია და კარგ მდგომარეობაშია. მისი ძირითადი გამოყენება ხდება ზამთარში თოვლის ფეხსაცმელების ტურის დროს. საჭიროების შემთხვევაში, ტურისტებს შეუძლიათ გამოიყენონ რეინჯერების თავშესაფრები;
4. 10 საკემპინგე ადგილი მოწყობილია ტურისტული თავშესაფრების მახლობლად და ეროვნული პარკის შესასვლელებში; მათ შორის, მოსწავლეთა საკემპინგე ადგილები აბასთუმანში, ქვაბისხევსა და მარელისში (ქვაბისხევი, მარელისი, აბასთუმანი - თითოეულზე 100 კაცის განთავსებაა შესაძლებელი, ხოლო სხვა ადგილებზე 20-30 კაცის);
5. საპიკნიკე ადგილები ქვაბისხევში, ლიკანში, მარელისსა და აწყურში;
6. სასტუმრო ადმინისტრაციის შენობასთან (გაცემულია იჯარით);
7. საკონფერენციო ოთახი და საგამოფენო დარბაზი ადმინისტრაციის შენობაში;
8. აწყურის საბანაკე ადგილი და ინფრასტრუქტურა (გაცემულია იჯარით);
9. 12 მარკირებული ბილიკი, რომლებიც უზრუნველყოფს ერთი დღიდან ერთ კვირამდე ტურებს; დამატებით ერთი მარკირებული ბილიკი ქვაბისხევის ხეობაში, რომელიც არის სამსაათიანი მარშრუტი და იძლევა ისეთი ისტორიული ადგილების მონახულების შესაძლებლობას, როგორცაა წმინდა მარიამის ეკლესია (IX ს.) და ზემოთის ციხის ნანგრევები (III ს.); ასევე ზეკარის უღელტეხილის ბილიკი, რომელიც ველოტურებისთვის არის განკუთვნილი; საინტერპრეტაციო ადგილი ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრის შენობასთან ინტერაქტიული აღჭურვილობითა და საინფორმაციო ბანერებით; საინტერპრეტაციო დაფები და ნიშნულები;
10. აღჭურვილობა გასაქირავებლად (სამთო ველოსიპედები, საძილე ტომრები, კარვები, მატრასები, თოვლის ფეხსაცმელი და ა.შ.).

**ბ) ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული და ორგანიზებული მომსახურებები:**

1. ტურისტული ინფორმაციის მიწოდება საინტერპრეტაციო და საინფორმაციო მასალებით (ბორჯომ-ხარაგაულის ტურისტული რუკა 1:50000; ვიდეოფილმები, საინტერპრეტაციო დაფები და სხვ.);
2. სუვენირები, მაისურები;

3. სალაშქრო, საცხენოსნო, სამთო-საველოსიპედო და თოვლის ფეხსაცმლის ტურების ორგანიზება ეროვნული პარკის ტერიტორიაზე (ერთდღიანი და მრავალდღიანი ტურები);
4. ეკოსაგანმანათლებლო პროგრამები საგანმანათლებლო ორგანიზაციებისათვის (ეკობანაკები, ექსკურსიები და სემინარები);
5. კულტურული ტურები;
6. გამყოლის მომსახურება;
7. ტურისტული თავშესაფრების, საკარვე და საპიკნიკე ადგილების, მარელისის სასტუმრო სახლის და სხვა მომსახურების დაჯავშნა;
8. სპეციალური აღჭურვილობის გაქირავება (კარვები, საძილე ტომრები, ზურგჩანთები, ველოსიპედები, თოვლის ფეხსაცმელები).

**გ) ფასების სისტემა**

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში შესვლა უფასოა. ვიზიტორები იხდიან თანხას პარკის მიერ მიწოდებულ მომსახურებაში, როგორცაა: ღამისთევა ტურისტულ თავშესაფარში და კარავში, საპიკნიკე ადგილის გამოყენება, სამთო ველოსიპედების და საკარვე აღჭურვილობის გაქირავება. გიდის, ცხენის და გამყოლის მომსახურება არ არის ადმინისტრაციის სერვისი, თუმცა ინფორმაციას და რეკომენდაციას ტურისტი ვიზიტორთა სპეციალისტისგან იღებს;
2. არ არის გადასახადი დაჯავშნაზე. ფასები ფიქსირებულია (თუმცა წლის და სეზონის განმავლობაშიც შეიძლება შეიცვალოს). 10-კაციან ჯგუფებზე და/ან ტუროპერატორების ჯგუფებზე არ არსებობს მოქნილი (კორპორაციული) საფასო პოლიტიკა;
3. პარკის ვიზიტორთა ცენტრებში მოთავსებულია შემოწირულობის ყუთები და შესვლის გადასახადის სანაცვლოდ ვიზიტორები, სურვილის შემთხვევაში, შემოწირულობის სახით ტოვებენ თანხას;
4. შეთავაზებული მომსახურების ფასები:

**ცხრილი 3: ეროვნულ პარკში შეთავაზებული სერვისების ფასები**

№	მომსახურების სახეები	ღირებულება (ლარი)	ღირებულება სკოლის მოსწავლეებისათვის, პროფესიული კოლეჯისა და სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის (ლარი)	ღირებულება დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ორგანიზებული აქტივობებისათვის (ლარი)
1		20	10	3

2	საკარვე ადგილი	1 ადამიანი/1 დღე	5	---	2
3	კარავი	1 დღე	10	---	3
4	საძილე ტომარა	1 დღე	5	---	2
5	ზურგანთა	1 დღე	5	---	2
6	საკონფერენციო დარბაზი ბორჯომში	1 დღე	122	---	
7	საკონფერენციო დარბაზი ხარაგაულში	1 დღე	65	---	
8	ველოსიპედი	1 დღე	35	25	15
9	შემნახველი საკანი (1 ცალი)	12 საათით	2	---	---
10	შემნახველი საკანი (1 ცალი)	24 საათით	5 ლ.	---	---
11	1 წყვილი თოვლის ფეხსაცმელ	1 დღე	15	---	---
		ყოველი დამატებითი დღე	10	---	---
12	მაისური	1 ცალი	12	---	---
13	კალამი	1 ცალი	3	---	---
14	სალაშქრო რუკა	1 ცალი	5	---	---
15	პოროლონი	1 დღე	3	---	---

წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

**დ) ტურისტული საქმიანობა/ბიზნესი, დაცულ ტერიტორიასთან ადგილობრივი სერვისის მომწოდებლების თანამშრომლობა**

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია სამცხე-ჯავახეთის ტურისტული ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. იგი თანამშრომლობს როგორც მომიჯნავე მუნიციპალიტეტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე სასწავლო დაწესებულებების და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან;
2. ეროვნული პარკი თანამშრომლობს 5 სასტუმროსთან, 25 საოჯახო სასტუმრო სახლთან, 2 კვების ობიექტთან. სასტუმროების უმეტესობა თავმოყრილია ქ. ბორჯომში. ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ შენობასთან არსებული სასტუმრო „ნიუ ჰოტელი“ (8 საწოლი ადგილით) ადმინისტრაციის საკუთრებაა, რომელიც 2013 წელს გაიკა იჯარით 10 წლის ვადით;

დიდ სასტუმროებს, მათ შორის Boromi-Likani-ს, Crowne Plaza-ს, Borjomi Palace-ს და Golden Tulip-ს, აქვთ სურვილი, პარკთან უფრო ინტენსიურად ითანამშრომლონ და სეზონზე დანერგონ ფიქსირებული გასვლითი ტურები (შესაძლოა დღეში ორჯერ), რომლებისთვისაც ადგილობრივ, კვალიფიციურ თანამშრომელ გიდთან ერთად, თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, მოამზადებენ საექსკურსიო პაკეტს კვებით და/ან კვების გარეშე;

3. ადმინისტრაციის მოსაზრებით, რეკომენდებულია ბორჯომში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ტურისტული საქმიანობით არის დაკავებული და ეროვნული პარკის ადმინისტრაციას უყურებს როგორც დამსაქმებელს (საოჯახო სასტუმროს მფლობელები, მძღოლები), ბიზნესპარტნიორთა ქსელის შექმნა, რომლის წევრი ორგანიზაციები გაითვალისწინებენ მდგრადი განვითარების პრინციპებსა და მოთხოვნებს, როგორც არის გარემოს მიმართ პასუხისმგებლობა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. ბიზნესპარტნიორთა ქსელის შექმნა გააძლიერებს პარტნიორულ თანამშრომლობას, სერვისის ხარისხს და კომუნიკაციას, ასევე ხელს შეუწყობს ეროვნული პარკის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლიანობის შეფასებას;
4. ამჟამად ინფორმაცია საოჯახო სასტუმროების შესახებ განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე. ტურისტული სტატისტიკის და შემოსავლების შესახებ ინფორმაციის რეგულარული შეგროვება ვერ ხერხდება. სასტუმროს მფლობელების მიერ მოწოდებული ციფრები ზოგადია და სიზუსტეს მოკლებული. ბორჯომის, ადიგენის, ახალციხის, ხარაგაულის და ნაწილობრივ ბაღდათის სასტუმრო სახლები ეროვნული პარკის პოტენციური პარტნიორები არიან. სამომავლოდ სასურველია მათ შესახებ ინფორმაციის განახლება და თანამშრომლობის გადრმავება;

5. აღსანიშნავია, რომ რეგიონში/ბორჯომში ეროვნული პარკის არსებობამ ხელი შეუწყო ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას. შემოდგომაზე, ზამთარსა და გაზაფხულზე ვიზიტორთა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით უცხოელი ვიზიტორები) რეგიონში ეროვნული პარკის გამო ჩამოდის.

**ე) ტურისტული მოთხოვნის ანალიზი (ტურისტული ვიზიტები და ვიზიტორების პროფილი ვიზიტორთა ანალიზი)**

1. ბორჯომ-ხარაგაული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეროვნული პარკია ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის როგორც ველური ბუნების და სათავგადასავლო მოგზაურობის არეალი. ყოველთვიური ვიზიტების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ეროვნული პარკი მთელი წლის მანძილზე ღიაა ტურისტებისთვის. აქტიური ტურისტული სეზონი იწყება აპრილში და გრძელდება ოქტომბრის ჩათვლით. სეზონის პიკზე, ინტენსიური ვიზიტებისას, დღეში საშუალოდ 410 ვიზიტორი საკმაოდ დიდი ციფრია ადმინისტრაციისთვის - აქ სტუმრებს ვიზიტორთა 3 სპეცილისტი და, საჭიროების შემთხვევაში, 15 რეინჯერი ემსახურება. აღნიშნული ციფრები მიუთითებს ვიზიტორთა მეტი სპეციალისტის აყვანის, სეზონზე დამატებითი პერსონალის დაქირავების, ტურისტული სერვისების უზრუნველყოფისა და ვიზიტორთა ნაკადების უკეთ მართვის საჭიროებას;

**ცხრილი 4: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურისტების სტატისტიკა (ერთდღიანი VS რამდენიმე დღიანი)**

წელი	2014	2015	2016	2017	2018	2019
ერთდღიანი ვიზიტორები	47332	48859	53246	56641	58523	60418
რამდენიმე დღიანი ვიზიტორები	2217	2714	2572	2817	3429	3939
სულ	49549	51573	55818	59458	61952	64357

**ცხრილი 5: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურისტების სტატისტიკა (უცხოელი VS ქართველი)**

წელი	2014	2015	2016	2017	2018	2019
ქართველი	32312	32957	35529	38288	39698	41050
უცხოელი	17237	18616	20289	21170	22254	23307
სულ	49549	51573	55818	59458	61952	64357

წყარო: ეროვნული პარკის ადმინისტრაცია


2. ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პარკის ვიზიტორების დაახლოებით 10% სარგებლობს ტურისტული პროდუქტით, დანარჩენი 90% კი ადგილზე რეკრეაციით შემოიფარგლება. შეთავაზებულია საპიკნიკე ადგილები. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ყველაზე მოთხოვნადი შეთავაზება ღამისთევის საშუალებებია;

ცხრილი 6: ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ტურისტული შემოსავლები მომსახურების სახეების მიხედვით

შემოსავლის სახე	2014	2015	2016	2017	2018	2019	სულ
საკარვე	15628	16653	19060	24945	26065	26960	129311
თავშესაფარი	8789	10450	17635	15175	30090	35870	118009
კარავი	725	820	640	960	1360	950	5455
პარალონი	0	402	813	1281	2088	2298	6882
სამილე	1445	1523	1624	1825	2890	3510	12817
ზურგჩანთა	151	42	20	30			243
ველოსიპედი	1365	2275	350	1960	2065	1505	9520
დარბაზი			244	366	610	1708	2928
თოვლის ფეხსაცმელი	410	345	445	595	160	550	2505
ბარგის საკანი	244	371	543	647	782	321	2908
რუკა		2586	3921	2928	6869	8545	24849
მაისური		240	216	132	252		840
ალბომი			120	780	450	150	1500
კალამი		24	6	33	117		180
სასტუმრო			1050		1975	2150	5175
ბროშურა	78	124	255	1746	825	540	3568
შემოწირულობა	826.6	268.6	291.7	79.9	241.3	168.6	1876.7
იჯარა	13673	16877	16642	18830.8	20854.4	20899.41	107776.6
სულ	43334.6	53000.6	63875.7	72313.7	97693.7	106125.01	436343.3

3. გარდა ჩამოთვლილი ტურისტული სერვისებიდან საცხენოსნო ტურები და ნაწილობრივ სალაშქრო ტურები ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციის და/ან კერძო პირების მეშვეობით და ამ პროდუქტების გაყიდვით პარკი ტურისტულ შემოსავალს ამ ეტაპზე არ იღებს;
4. ტურისტული შემოსავლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პარკში იზრდება ღამის გათევაზე მოთხოვნა (საკარვე ადგილებზე, საძილე ტომრებზე და ტურისტული თავშესაფარში გადახდილი თანხა). ტურისტული შემოსავლების გარკვეულ წილს შეადგენს ასევე იჯარით მიღებული თანხა;
5. ამ ეტაპზე, არსებული ინფრასტრუქტურის გათვლისწინებით, ეროვნულ პარკს ღამისთევით ერთდროულად შეუძლია მაქსიმუმ 360 ტურისტის მიღება (ადმინისტრაციის საკარვე ადგილების და ტურისტული თავშესაფრების გათვალისწინებით). აქედან ტურისტულ და მცველთა თავშესაფრებში შესაძლებელია 60 ვიზიტორის განთავსება, ხოლო დაახლოებით 300 ადამიანი შესაძლოა საკარვე ადგილებზე განთავსდეს. ტურისტების რაოდენობის ზრდა მოითხოვს ინფრასტრუქტურის და სერვისების გაფართოებას. ბილიკების დატვირთვის გათვალისწინებით რეკომენდებულია ახალი ღამისგასათევი ობიექტების დამატება და არსებული ინფრასტრუქტურის ოპტიმალურად გამართვა და გამოყენება;

დიაგრამა 8: ტურისტების მიერ მარშრუტების გამოყენება



6. 2019 წლის ვიზიტორთა სტატისტიკის მიხედვით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორების 36 % უცხოელია და მათი რაოდენობა

დინამიკაში მზარდია. უცხოური ბაზრის ძირითად სეგმენტს, ვინც პარკის ტურისტული პროდუქტით სარგებლობს, ებრაელი, გერმანელი და რუსი ტურისტები წარმოადგენენ, ასევე, ვიზიტორები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან - პოლონეთიდან და ჩეხეთიდან. 2018 წელს ეროვნულ პარკს 99 ქვეყნიდან ჩამოსული ვიზიტორი სტუმრობდა. მათ შორის იყვნენ ვიზიტორები შორეული ქვეყნებიდან, როგორებიც არის ეკვადორი, ტაილანდი, ჩილე, იორდანია და სინგაპური;

ცხრილი 7: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორების სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით


წელი	სულ ვიზიტორი	უცხოელი	ქვეყანა 1	ქვეყანა 2	ქვეყანა 3	ქვეყანა 4	ქვეყანა 5
2019	64357	23307	გერმანია	ისრაელი	ნიდერლანდები	რუსეთი	საფრანგეთი
2018	61952	22254	გერმანია	რუსეთი	ისრაელი	ნიდერლანდები	პოლონეთი
2017	59458	21170	გერმანია	რუსეთი	ისრაელი	პოლონეთი	ჩეხეთი
2016	55818	20289	ისრაელი	გერმანია	რუსეთი	პოლონეთი	ჩეხეთი
2015	51573	18616	ისრაელი	პოლონეთი	გერმანია	რუსეთი	აშშ
2014	49549	17237	გერმანია	პოლონეთი	ისრაელი	ჩეხეთი	უკრაინა

წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

7. ბორჯომ-ხარაგაულის ვიზიტორთა საერთო რაოდენობის 86%-ს ინდივიდუალური ვიზიტორები წარმოადგენენ, ხოლო 14% ეროვნულ პარკს ტურ-ოპერატორების მიერ ორგანიზებული ტურების ფარგლებში სტუმრობს. ექსკურსიანტთა უმეტესობა სტუმრობს ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრში არსებულ საგამოფენო დარბაზს, ისტორიულ-კულტურულ ძეგლებსა და საპიკნიკე ადგილებს რამდენიმე საათით;
8. ჯგუფებში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა ორგანიზებულ ბანაკებშია, როცა თითო ჯგუფში 100-120 მონაწილეა. სალაშქრო ჯგუფში მონაწილეთა საშუალო რაოდენობაა 2-5, ხოლო მაქსიმალური - 20. მოსწავლეთა შემდეგ ეროვნულ პარკს ყველაზე დიდი რაოდენობით ინდივიდუალური ვიზიტორები სტუმრობენ, რომელთა შემდეგ აღსანიშნავია ქართული სალაშქრო კლუბები (ძირითადად სტუდენტებით დაკომპლექტებული) და ოჯახები;

9. ეროვნული პარკის ვიზიტორთა სამსახური ყოველწიურად ახორციელებს ვიზიტორთა გამოკითხვას. ტურისტების გამოკითხვის საფუძველზე ჩანს, რომ ეროვნულ პარკს უფრო ახალგაზრდა ვიზიტორები სტუმრობენ - ვიზიტორების 50%-ზე მეტი 25 წელზე ახალგაზრდაა, 80% - 35 წელზე ახალგაზრდა და ვიზიტორების მხოლოდ 6%-ია 50 წელზე უფროსი;
10. ვიზიტორთათვის დაცული ტერიტორიების მონახულების მთავარ მოტივს ბუნების შეცნობა და ეკოგანათლება წარმოადგენს;
11. ვიზიტორების გამოკითხვის ანალიზმა აჩვენა, რომ მათ ყველაზე მეტად მოსწონთ მარკირებული ბილიკები, ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოდ ყოფნა ხოლო მათი უკმაყოფილების ძირითადი მიზეზია დაზიანებული ინფრასტრუქტურა (ხიდები, ბილიკების მარკირება ალპურ ზონებში, რეგისტრაციისას ადმინისტრაციაში მისვლის საჭიროება, ზოგიერთი ბილიკის დასაწყისის პოვნა და საგზაო ნიშნულების სიმცირე).

დიაგრამა 9: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები



წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

### ვ). მიზნობრივი ჯგუფები და ბაზრის პოტენციალი<sup>3</sup>

<sup>3</sup> ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2017-2023 /

1. ეროვნული პარკის ვიზიტორებს შორის ჭარბობენ ადგილობრივი ვიზიტორები. თავგადასავალი, ბუნების აღმოჩენა და შეცნობა ძალიან პოპულარულია ახალგაზრდა ქართველებს შორის. ისინი უპირატესობას მსუბუქ და ინტენსიურ სათავგადასავლო აქტივობებს ანიჭებენ. აღსანიშნავია, ასევე ქართველი ახალგაზრდების ინტერესი ზამთრის ტურების მიმართ;
2. პარკში ერთ და ორდღიანი ვიზიტებით ჩადიან ოჯახები პატარა ბავშვებით (ძირითადად შაბათ-კვირას და დასვენების დღეებში). სკოლის მოსწავლეები პარკს და ვიზიტორთა ცენტრს სტუმრობენ საგანმანათლებლო მიზნით - გარემოს დაცვის, ბიომრავალფეროვნების, ბუნების დაცვისა და შენარჩუნების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. იმართება საერთაშორისო და ადგილობრივი ბანაკები სტუდენტთა ახალგაზრდებისათვის. ადგილობრივი ვიზიტორების სეგმენტისთვის ეროვნული პარკი მნიშვნელოვანი რეკრეაციულ-საგანმანათლებლო ცენტრია;
3. იშვიათად, მაგრამ ბოლო პერიოდში იმართება პილიგრიმული ტურები, ასევე კორპორატიული პროგრამები დაცულ ტერიტორიებზე დიდი ორგანიზაციებისთვის. გახშირდა სალაშქრო ტურების მოყვარულთა კლუბების ვიზიტები;
4. ადგილობრივ ვიზიტორთა მნიშვნელოვანი ნაწილია ასევე ეროვნულ პარკში სეზონზე ჩასული „ექსპატრიატები“ და რეკრეანტები, ვისაც პასიური დასვენება, ხანგრძლივი და მსუბუქი და/ან ზომიერზე ნაკლები სირთულის ტურები მოსწონს;
5. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში და მის მიმდებარე კურორტებზე (ძირითადად ბორჯომში) ბოლო სამი წლის მანძილზე შეინიშნება არაბი და ირანელი ტურისტების მატება. ეს ბაზარი საკმაოდ ზრდადია და ახასიათებს პასიური, მოკლე და ნაკლებად დატვირთული აქტივობები და ადვილად მისადგომი ადგილებისთვის პრიორიტეტის მინიჭება;
6. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა მიზნობრივი ჯგუფები (ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისთვის), გამოვლინდა ეკოტურიზმის საერთაშორისო ტენდენციების, საერთაშორისო ეკოტურიზმის ბაზრის ანალიზის და ბორჯომ-ხარაგაულის ვიზიტორთა ანალიზის და შესაძლებლობების შეფასების საფუძველზე. დეტალური ინფორმაცია მიზნობრივი ჯგუფების შესახებ იხილეთ: *„ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2017-2023“*.

## ზ). გარემოზე ეკოტურიზმის გავლენის მიმოხილვა<sup>4</sup>

<sup>4</sup> ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2017-2023

1. ეროვნულ პარკში ყველაზე მეტი ტურისტი ზაფხულშია, ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკის მიხედვით (2019 წ) კერძოდ, ივლისში (12 920 ვიზიტორი) და აგვისტოში (14 895 ვიზიტორი). ტურისტების რიცხვი ეროვნულ პარკში ჯერ კიდევ შორს არის გამტარუნარიანობის ზღვართან, თუმცა პიკის დღეებში გარკვეული ბილიკები (საცხენოსნო და საფეხმავლო ბილიკები №№ 1, 6 და 12) და ადგილები (ქვაბისხევი) ვიზიტორთა კონტროლირებულ მართვას საჭიროებს;
2. ეკოლოგიურად მგრძობიარე ადგილებში, სადაც პიკის დღეებში ბევრი ვიზიტორია, ვიზიტების რიცხვი გამტარუნარიანობის ლიმიტს არ აღემატება, თუმცა რთულდება ვიზიტორების მართვა (აგვისტოში ეროვნულ პარკში ფიქსირდება დღეში საშუალოდ 435 ვიზიტორი), რომელთა 50% სამ ბილიკზე მოგზაურობს, ხოლო 20% ქვაბისხევი იყრის თავს;
3. პარკის ადმინისტრაციის მონაცემებით, ამ ეტაპზე მცენარეული საფარის დაზიანება მხოლოდ ერთ ადგილზე დაფიქსირდა (№6 ბილიკის უღელტეხილი), როდესაც გარკვეული პერიოდით საცხენოსნო ტურების ორგანიზება აიკრძალა;
4. ვიზიტორთა სიმჭიდროვე მხოლოდ ერთი ასპექტია, უარყოფითი გავლენა აისახება ასევე ნარჩენების დატოვებით და ზედმეტი ხმაურითა და ქცევით (ქვაბისხევის პრობლემა). უარყოფითი გავლენის შესამცირებლად მნიშვნელოვანია **ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, ტრენინგების ორგანიზება, ვიზიტორთა რეგულაციებისა და ქცევის წესების** გაცნობა. ასევე გათვალისწინებულია **ვიზიტორთა ნაკადების კონტროლირებული მართვა**;
5. ეროვნულ პარკში გამტარუნარიანობის პროფესიონალური შეფასება არ ჩატარებულა. ზოგადი შეფასებით ჩანს, რომ ეროვნულ პარკს გაზაფხულსა და შემოდგომაზე 2-3 ჯერ მეტი ვიზიტორი შეიძლება ეწვიოს პიკის სეზონთან (ივლისი-აგვისტო) შედარებით;
6. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სტატისტიკური მონაცემებით ჩანს, რომ პარკს აქვს შესაძლებლობა, გაზარდოს ვიზიტორთა რიცხვი წლის მანძილზე ნაკადების მართვის სერვისის გაუმჯობესებით, ზაფხულის სეზონზე გარკვეული ადგილების პერიოდული კონტროლითა და მართვით, წინასწარ დაგეგმილი, განრიგიანი ექსკურსიებით და ახალი ადგილების ათვისებით (ნემვი, ტაბაწყური, ქვიშხეთი და სხვ.). დამატებითი სერვისები და ახალი პროდუქტები ითვალისწინებს ვიზიტორების რაოდენობის გაზრდას და გარემოზე უარყოფითი გავლენის თავიდან აცილების ზომებს. მდგრადობის თვალსაზრისით უნდა გაგრძელდეს სენსიტიური ადგილების (ბილიკები №№ 1, 6, 7 და 12) შემოწმება. განსაკუთრებით შაბათ-კვირის და დღესასწაულების/დასვენების დღეების შემდეგ, როდესაც ვიზიტორების ყველაზე ჭარბი რაოდენობაა.

## თ). პრობლემები და შესაძლებლობები

1. არასაკმარისი ინსტიტუციური შესაძლებლობა ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის
  - კადრების გადინების საშიშროება
  - შეზღუდული ადამიანური რესურსები და დაინტერესებულ მხარეებთან (მათ შორის ბიზნეს პარტნიორებთან) საკოორდინაციო ჯგუფის არარსებობა
  - დაინტერესებული მხარეების შეზღუდული ჩართულობა ეროვნული პარკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების მიღებაში
  - მიმდებარე თემთან სუსტი თანამშრომლობა
  - ზოგადად დაინტერესებულ მხარეებთან (მათ შორის ტუროპერატორებთან) სუსტი კომუნიკაცია
  
2. ვიზიტორთა მოლოდინი
  - დაცული ტერიტორიის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეზღუდულია, ეროვნულ პარკს არ აქვს საკუთარი ვებგვერდი და ვიზიტორებს უჭირთ ინფორმაციის მიღება, ისინი არაოფიციალური წყაროებით იღებენ არაზუსტ ინფორმაციას. დაცული ტერიტორიების სააგენტოს / ეროვნული პარკების ვებგვერდიდან ინფორმაციის მიღება კონკრეტულ დაცულ ტერიტორიაზე რთული და არასრულია, ასევე ორენოვანი გვერდი არ არის საკმარისი
  - არასრულყოფილი ტურისტული პაკეტი „მზა პროდუქტი“ მიზნობრივი ჯგუფებისთვის
  - ერთფეროვანი შეთავაზებები, განსაკუთრებით ზამთრის ტურები
  - ვიზიტორთა მომსახურება პარკის მიმდებარე ტერიტორიებიდან არ ხორციელდება (ტრანსფერები სასტუმროებიდან და/ან რკინიგზის სადგურებიდან)
  - გიდების არასტაბილური მომსახურება
  
3. ინფრასტრუქტურა და რესურსები
  - არასაკმარისია ინფრასტრუქტურა და გზის მანიშნებლები, განსაკუთრებით ალპურ ნაწილში, ასევე საინტერპრეტაციო დაფები და ხიდები
  - ბევრი რესურსია არასრულად გამოყენებული
  
4. ტურისტული პაკეტების განვითარება და ზამთარში ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა:
  - მკაფიო „მზა პროდუქტის“ შექმნა, რომელიც მორგებული იქნება მიზნობრივ ჯგუფებზე და განხორციელდება ბიზნესპარტნიორებთან ერთად
  - თემატური ბილიკების განვითარებისთვის გიდი-რეინჯერების სისტემის დანერგვა და გადამზადების პროგრამები
  - ზამთრის ტურების პოპულარიზაცია

- კომერციული ეკოსაგანმანათლებლო პროდუქტების ტურისტულ შეთავაზებად ჩამოყალიბება
5. ახალი შეთავაზებების დანერგვა:
- მრავალფეროვანი შეთავაზებების დანერგვა და ახალი რეკრეაციული ადგილების პოპულარიზაცია, მათ შორის ინოვაციური შეთავაზებების შექმნა ახალი მიზნობრივი ჯგუფების მოსაზიდად
  - ვიზიტორთა რეგისტრაციის პუნქტების რაოდენობის გაზრდა ახალი მარშრუტების შემუშავების შემდეგ
  - ტრენინგის პროგრამების/კურიკულუმების შემუშავება და ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან არსებული ტრენინგ ცენტრის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება სხვა დაცული ტერიტორიების კადრების გადამზადება
  - ტურისტულ რეგიონში მდებარეობის წყალობით სხვა დაცულ ტერიტორიებთან ერთობლივი პროგრამების შემუშავება
  - ჯავახეთის ეროვნულ პარკთან ერთობლივი პროდუქტის შეთავაზება როგორც ხანგრძლივი ვიზიტით მყოფი დამსვენებლისთვის, ასევე ტუროპერატორებისთვის
  - ტრანსსასაზღვრო ბილიკში ჩართვა
  - ბიზნესპარტნიორული თანამშრომლობის გაძლიერება:
    - ტუროპერატორებთან, სასტუმროებთან თანამშრომლობა და ქსელის დანერგვის ინიცირება
    - ადგილობრივ ბიზნესპარტნიორებთან თანამშრომლობის მემორანდუმების დანერგვა და სერვისის ხარისხის გაზრდა
  - მარკეტინგი და კომუნიკაცია:
    - ეფექტიანი კომუნიკაცია და პარკის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ვებგვერდისა და სხვა სოციალური ქსელების მეშვეობით (აქტიური კომუნიკაცია)
    - საქართველოს და კავკასიის რეგიონის ტურისტულ პაკეტებში მონაწილეობა, საერთაშორისო ქსელებში გაწევრიანება, ნდობის და იმიჯის გაზრდა
  - შემოსავლის მიღების მექანიზმების დანერგვა:
    - ინფრასტრუქტურის, მომსახურებების და კომერციული შეთავაზებების გამრავალფეროვნება.

### მუხლი 30. ტერიტორიის დაცვა-პატრულირება

1. ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნულ პარკს ესაზღვრება ბორჯომის, ხაშურის, ახალციხის, ადიგენის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტების მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები, შესაბამისად ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და ანთროპოგენური ზეწოლა ბიომრავალფეროვნების ღირებულებებზე უფრო


- ინტენსიურია დაცული ტერიტორიების ამ მონაკვეთებზე, ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ქვედა ზონა, სადაც ხდება ხე-ტყის მასობრივი ჭრა, მნიშვნელოვნად ცვლის ტყის სახეობრივ და სტრუქტურულ შემადგენლობას;
2. ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი 1935 წლიდან იყო სათანადო დაცვის ქვეშ, თუმცა 1990-იან წლებში მასშტაბურმა ბრაკონიერობამ და ბუნებრივი რესურსების უკონტროლო გამოყენებამ საფრთხის ქვეშ დააყენა ბევრი სახეობა;
  3. ნემვის ალკვეთილს ესაზღვრება დაბა ახალდაბა (2014 წლის აღწერით 1588 მოსახლე), ალკვეთილი ბორჯომ - ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებს 2006 წლიდან შეუერთდა, მანამდე ის სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებაში იყო. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ქვეყანაში შექმნილი უკონტროლო სიტუაციის გამო, მიმდინარეობდა ხე-ტყის მასობრივად ჭრა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ტყის სახეობრივი და სტრუქტურული შემადგენლობა;
  4. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილი ყველაზე დიდი ალკვეთილია საქართველოში. იგი მდებარეობს სამხრეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 – 2800 მეტრ სიმაღლეზე, ალკვეთილს ესაზღვრება ორი სოფელი - ტაბაწყური და მოლითი, ძირითად ლანდშაფტებს და ეკოსისტემებს წარმოადგენენ სუბალპური სამოვრები, ჭარბტენიანი ტერიტორიები და ტაბაწყურის ტბა. ალკვეთილის ეკოსისტემაზე მნიშვნელოვანი პირდაპირი ანთროპოგენური ზეწოლიდან აღსანიშნავია გადაჭარბებული მოვება და ბრაკონიერობა;
  5. ადმინისტრაციას არ გააჩნია ტერიტორიის დაცვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. დაცვის ღონისძიებების განხორციელება ხდება წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად და ყოველთვიური საპატრულო გეგმების მიხედვით. პატრულირების მარშრუტები შემუშავებულია 2012 წელს და არ მომხდარა მისი შეფასება და განახლება. მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციას გააჩნდეს ტერიტორიის დაცვის სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იქნება არსებულ რისკებზე და გამოწვევებზე, რომელიც თანხვედრაში იქნება კონსერვაციულ მიზნებთან;
  6. ბორჯომ - ხარაგაულის დაცული ტერიტორიები დაყოფილია 10 უბნად: ქვიშხეთის, ზანავის, ბორჯომისა და ნაკრძალის, აწყურის, აბასთუმნის, ნუნისის, მარელისის, საქონდრია - ლაშურის, ნემვის ალკვეთილის და ქცია - ტაბაწყურის უბანი. სულ 10 უბანი დაყოფილია 51 სარეინჯეროდ, აქედან: 3 სარეინჯერო ქვიშხეთის უბანზე, 5 სარეინჯერო ზანავის უბანზე, 10 სარეინჯერო ნაკრძალისა და ბორჯომის უბანზე, 5 სარეინჯერო აწყურის უბანზე, 5 სარეინჯერო აბასთუმნის უბანზე, 4 სარეინჯერო ნუნისის უბანზე, 5 სარეინჯერო მარელისის უბანზე, 6 სარეინჯერო საქონდრია - ლაშურის უბანზე, 5 სარეინჯერო ნემვის ალკვეთილის უბანზე და 3 სარეინჯერო ქცია - ტაბაწყურის უბანზე. რეინჯერის მთავარი ამოცანაა მინდობილი ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფა; ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების ხელშეწყობა;

7. 2018 წლიდან ბორჯომ - ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მართვის ქვეშ მყოფი ტერიტორიის/ების დაცვისა და კონტროლის უზრუნველყოფის, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით დაემატა რეინჯერთა ახალი ერთეული „სწრაფი რეაგირების ჯგუფი,“ რომლის სამტატო ნუსხა განსაზღვრულია 10 ერთეულით: 3 სწრაფი რეაგირების უფროსი რეინჯერი და 7 სწრაფი რეაგირების რეინჯერი. სწრაფი რეაგირების რეინჯერები მიმაგრებული არ არიან რომელიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე ან სამცველოზე, ისინი ტერიტორიის დაცვის მიზნით, პატულირების გეგმის შესაბამისად ჯგუფებად პატულირებენ საპატულო მარშრუტზე სამართალდარღვევის აღმოჩენის და მასზე მყისიერი რეაგირების მიზნით;
8. ბორჯომ - ხარაგაული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის განყოფილება დაკომპლექტებულია შემდეგნაირად: 1 დაცვის განყოფილების უფროსი; 1 დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე; 2 ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი; 10 უბნის უფროსი რეინჯერი; 51 რეინჯერი; 3 სწრაფი რეაგირების უფროსი რეინჯერი და 7 სწრაფი რეაგირების რეინჯერი;
9. სწრაფი რეაგირების ჯგუფის უფლება-მოვალეობები, სამუშაო დროის განაწილება და მოცულობა არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და გაწერილი;
10. დაცვის განყოფილება აღჭურვილია 19 მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალებით (4 ამორტიზირებულია), 4 ერთეული კვადროციკლით და 22 ცხენით;
11. დაცვის ინფრასტრუქტურა: დაცული ტერიტორიების მთავარ შესასვლელებში განლაგებულია რეინჯერთა 13 საგუშაგო: აბასთუმანი, აწყური, ქვაბისხევი, ზანავი, ქვიშხეთი, ნეძვი, მარელისი, ნუნისი, საქონდრია, ლაშური, ბანისხევი და ლიკანი და ტაბაწყური . ტერიტორიის სიღრმეში კი განლაგებულია რეინჯერთა 11 თავშესაფარი: ნასაბაჯვარი, მახვილო, ციხისძირი, წინუბანი, ზორეთი, ჩითახევი, ბანისხევი/კოტახევი, სამეცხვარეო, ქვაზინევი და ვახანი, დედაბერა;
12. დაცული ტერიტორიების სააგენტო ყოველწლიურად ამტკიცებს ტერიტორიული ადმინისტრაციისთვის სამოქმედო გეგმას. დაცული ტერიტორიების დაცვა ხორციელდება პატულირების მეშვეობით. არსებობს 2 ტიპის პატულირება: I ტიპი - ყოველდღიური პატულირება, როდესაც რეინჯერი ინდივიდუალურად, მასზედ მიმაგრებულ სამცველოში მოძრაობს ყოველდღიურ საპატულო ბილიკზე და მე-II ჯგუფური პატულირება, როდესაც რეინჯერთა ჯგუფი მოძრაობს ჯგუფური პატულირების ბილიკზე, რომელიც რამოდენიმე სარეინჯეროს და ზოგ შემთხვევაში უბანს მოიცავს. ყოველწლიურად ხდება არსებული პატულირების მარშრუტების გადახედვა და საჭიროების შესაბამისად საპატულო მარშრუტების კორექტირება. საპატულო ბილიკები ასევე განისაზღვრება თოვლის და თოვლისშემდგომი პერიოდისათვის;
13. ყოველი თვის ბოლოს მტკიცდება მომდევნო თვის საპატულო გეგმა - გრაფიკი თითოეული რეინჯერისათვის, ასევე მოულოდნელი რეიდების გეგმა-გრაფიკი

და რეინჯერთა საგუშაგოზე მორიგეობის გეგმა-გრაფიკი. ასევე მტკიცდება „სწრაფი რეაგირების რეინჯერების“ სამოქმედო გეგმა-გრაფიკი და პატრულირების მარშრუტები. საპატრულო მარშრუტების შედგენა ხდება წინა წლების მონაცემების ანალიზის შედეგად, გამოვლენილი სამართალდარღვევების ე.წ. „ცხელი წერტილების“ იდენტიფიცირების, რუკაზე დადების და შეფასების საფუძველზე, Googlemap-ის გამოყენებით ხდება ელექტრონულად ინფორმაციის დატანა რუკაზე ბილიკების შესახებ, დგება ბილიკის აღწერილობითი ნაწილი: საფეხმავლო, საცხენოსნო, სამანქანო, ყოველდღიური, ჯგუფური, სიგრძე, თოვლის და თოვლის შემდგომი პერიოდისათვის და სხვა. ბილიკები რუკაზე დატანილია უბნების, სარეინჯეროების მიხედვით. GPS ხელსაწყოს მეშვეობით მიმდინარეობს საპატრულო ბილიკების ზუსტი მარშრუტების ე.წ. ტრეკების ბაზის შევსება, რაც მომავალში ანალიზისთვის და პატრულირების დახვეწისთვის უნდა იქნას გამოყენებული. ამ ეტაპზე ინფორმაციის სრულყოფილი ანალიზი არ ხდება;

14. ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულია საფეხმავლო, სამანქანო-საპატრულო და საცხენოსნო მარშრუტი. რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს პატრულირება. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს საპატრულო მარშრუტების გადახედვა და განახლება არსებული გამოწვევებისა და რისკების გათვალისწინებით;
15. ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილი სამართალდარღვევების სტატისტიკა;

დიაგრამა 10: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების 2014-2019 წწ გამოვლენილი სამართალდარღვევები



წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

16. დაცვის განყოფილების თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები პატრულირების გეგმების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენაზე,

რეინჯერების ნაწილმა შსს-ს აკადემიაში გაიარა სასწავლო კურსი: იძულების ღონისძიებების სამართლებრივ საფუძვლებში, ტაქტიკურ და საცეცხლე მომზადებაში და ვირტუალური ტირი. ასევე პირველადი სამედიცინო დახმარების, ვიზიტორთა ეფექტურ მომსახურების და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ტრენინგები;

17. რეინჯერთა პატრულირების სისტემის გაუმჯობესების და ეფექტურობის გაზრდის მიზნით ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიებზე სატეტსო რეჟიმში მიმდინარეობს რეინჯერთა თანამედროვე პატრულირების SMART სისტემის დანერგვა. ამ ეტაპზე მხოლოდ 10 რეინჯერია აღჭურვილი სმარტფონით, რომელშიც ჩაწერილია აპლიკაცია CyberTracker, პატრულირების დაწყების წინ რეინჯერი გაააქტიურებს აპლიკაციას და პატრულირების მიმდინარეობისას ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას - სამართალდარღვევა, ცხოველის ნიშანი და სხვა ინახავს სმარტფონში (ერთი მოწყობილობა მოიცავს GPS, ფოტოაპარატი, კომპასი, ბლოკნოტი და სხვა), პატრულირების დასრულების შემდგომ კი შენახული ინფორმაცია ელექტრონული სახით გადაეცემა ადმინისტრაციას, სადაც უკვე ინფორმაცია მუშავდება კომპიუტერში სპეციალურ პროგრამაში SMART-ის დახმარებით. არსებული პროგრამით შესაძლებელია სხვადასხვა სირთულის ინფორმაციის დამუშავება, პატრულირების შედეგების ანალიზი, პატრულირების დაგეგმვა და სხვა. ამ ეტაპზე საჭიროა პროგრამაში უფრო მეტი რეინჯერის ჩართვა, ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა, სისტემის ონლაინ რეჟიმში ფუნქციონირების რეჟიმში გადაყვანა, რეინჯერთა დამატებითი ტრენინგები. გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია SMART-ის პროგრამა გამოყენებული იყოს დაცული ტერიტორიის მონიტორინგის საქმიანობაში ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში. არსებობს ე.წ. "Ecological Records", რომლის დანერგვა შესაძლებელია, მას შემდეგ რაც SMART-ის პირველი ეტაპი დაინერგება, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია პატრულირების სისტემის ჩამოყალიბებაზე.

#### ა) პრობლემები და შესაძლებლობები

1. რეინჯერთა უნარების გაძლიერება ტრენინგების მეშვეობით: მნიშვნელოვანია როგორც სისტემის დონეზე, ასევე ადმინისტრაციაში ჩატარდეს კვლევა საჭიროებების გამოვლენის მიზნით და განისაზღვროს ძირითადი მიმართულებები, თუ რაში საჭიროებენ რეინჯერები უნარების გაძლიერებას და დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები და ქმედებები;
2. რეინჯერების გარკვეული აღჭურვილობა ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროებს გამოცვლას; მაგ., საძილე ტომრები, ზურგჩანთები, სამგზავრო მათარები, ხერხები,

- ნიჩბები, პორტატული რაციები, პარალონი. რეინჯერთა აღჭურვილობა ასევე მოიცავს ხანძარსაწინააღმდეგო საჭირო ნივთებს, რომელიც განახლებულია 2010 წელს;
3. აუცილებელია შეიქმნას დაცული ტერიტორიების საპატრულო სტრატეგია, რომელშიც ინტეგრირებული იქნება სწრაფი რეაგირების ჯგუფი. საპატრულო სტრატეგიის შემუშავება შესაძლებელია გამომდინარეობდეს CNF-ის მიერ დაფინანსებული პროექტის მიხედვით, კერძოდ SMART-ის პროგრამის მიხედვით. იგი ითვალისწინებს მთლიანი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ორიენტირებულია გამოვლენილი შედეგების მიხედვით ერთობლივ დაგეგმარებასა და განხილვაზე. პროგრამა არის კარგი საშუალება, როგორც დაგეგმარების, ასევე ანგარიშების ერთიანი უნიფიცირებული მიდგომის არსებობისათვის;
  4. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან განხილვის შედეგად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სწრაფი რეაგირების ჯგუფის როლი და დეტალური ფუნქცია-მოვალეობები. მოხდეს გამიჯვნა რეინჯერთა სამსახურისგან და დაეკისროს კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობები;
  5. დაცვის ინფრასტრუქტურა რიგ ადგილებში საჭიროებს განახლებას, რაც ასახულია ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ მოვლა-შენახვის გეგმაში. განახლებასთან ერთად საჭიროა დამატებითი ინფრასტრუქტურა, როგორცაა 2 სათვალთვალ კომპლექსის განთავსება, რაც ხელს შეუწყობს დაცულ ტერიტორიაზე ხანძრის დროულ დაფიქსირებას. ასევე შესაძლებელია მისი ტურისტული თვალსაზრისით გამოყენება;
  6. რეინჯერების უმეტესობა საჭიროებს პირველადი დახმარების ტრენინგს, რადგანაც მათ უწევთ ტურისტებისათვის საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების აღმოჩენა. ასევე მნიშვნელოვანია, როგორც მათივე უსაფრთხოების ასევე ტურისტების დამხმარების კუთხით, რომ რეინჯერები აღჭურვილნი იყვნენ პირველადი დახმარების ჩანთებით;
  7. ბოლო 2 წლის მონაცემებით დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის რეინჯერებში განხორციელდა ცვლილებები, რაც აღწერილია მუხლი 33-ში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ახლად მიღებული რეინჯერებისათვის არსებობდეს შესაძლებლობა, მიიღონ გარკვეული ცოდნა შესასრულებელი საქმიანობების შესახებ. ეს შესაძლებელია კონკრეტული მოდულის შემუშავებით, ადმინისტრაციის დონეზე თანამშრომლების განსაზღვრა, თუ ვინ ჩაატარებს სწავლებებს ახალი თანამშრომლებისათვის. გარდა ამისა მნიშვნელოვანია სისტემის დონეზე ამ საკითხის გათვალისწინება;
  8. დაცვის განყოფილების თანამშრომლების უსაფრთხოება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. დაცვის განყოფილების თანამშრომლები არსებული კონფლიქტებიდან გამომდინარე ხშირად გამხდარა თავდასხმის ობიექტები ბრაკონიერების მხრიდან. სამწუხაროდ არსებობს ფატალური შემთხვევები

როდესაც 2012 წელს მოკლული იქნა უფროსი რეინჯერი მერაბ არევაძე. გარდა კონფლიქტებისა რეინჯერთა უსაფრთხოების საკითხი გასათვალისწინებელია ხანძრებთან ბრძოლის დროს. 2018 წელს ტყის ხანძრებთან ბრძოლის შედეგად დაიღუპა დაცვის განყოფილების უფროსი ივანე კუპრაძე.

### მუხლი 31. საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. საზოგადოებასთან ურთიერთობას ახორციელებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის და სხვა თანამშრომლების ჩართვით. საზოგადოებასთან ურთიერთობის პოლიტიკას განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების სააგენტო; საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება შემდეგი რესურსებით: საინფორმაციო მასალებით, დაცული ტერიტორიების ვებგვერდი [www.apa.gov.ge](http://www.apa.gov.ge); სოციალური ქსელის Facebook-ის მეშვეობით, სააგენტოს გვერდი – Agency of Protected Areas და youtube;
2. ბოლო წლებში დაცული ტერიტორიების სააგენტო ახორციელებს კომუნიკაციას ორი მიმართულებით, როგორცაა მიმდინარე ადმინისტრაციული და საჯარო ინფორმაციის გავრცელება ზემოთჩამოთვლილი პორტალების მეშვეობით და მეორე მიმართულება გათვლილია ვიზიტორებზე. ამისათვის დაცული ტერიტორიების სააგენტომ შეიმუშავა ტურისტული ლოგო, რომელიც აერთიანებს ყველა დაცულ ტერიტორიას ეროვნული პარკების ტერმინის ქვეშ. კომუნიკაცია მიმდინარეობს ეროვნული პარკების ვებ გვერდით [www.nationalparks.ge](http://www.nationalparks.ge) და ასევე სოციალური მედიის მეშვეობით როგორცაა *Facebook, Youtube, Instagram, Twiter* <https://www.facebook.com/nationalparksofgeorgia/> youtube, Instagram, Twiter **National Parks Of Georgia / საქართველოს ეროვნული პარკები @**;
3. ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობა და მუდმივი კონტაქტი. მჭიდრო კავშირი არსებობს რეგიონალურ და ადგილობრივ მასმედიასთან, ცენტრალურ მედია საშუალებებთან თანამშრომლობს დაცული ტერიტორიების სააგენტო. მჭიდრო თანამშრომლობა არსებობს ცენტრალურ ტელეკომპანიებთან; ძირითად მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენს მასმედია, ტუროპერატორები, ახალგაზრდები (სტუდენტები, მოსწავლეები), 25-60 წლამდე საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენლები.

#### ა) პრობლემები და შესაძლებლობები

1. აღსანიშნავია, რომ ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები ქვეყნის მასშტაბით წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ დაცულ ტერიტორიას. ადმინისტრაციას უწევს კომუნიკაცია 8 მუნიციპალიტეტის მასშტაბით, როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ადგილობრივ მთავრობებთან და ასევე მედია საშუალებებთან, აღნიშნული საკითხი ადმინისტრაციისთვის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. შესაბამისად ინფორმაციის მიწოდების და თანამშრომლობის სურვილის მიუხედავად ადმინისტრაციის მხრიდან აღნიშნულის სრულყოფილად განხორციელება შეუძლებელია. საჭიროა არსებობდეს პირველ რიგში ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგია და შესაბამისად არსებობდეს პასუხისმგებელი თანამშრომელი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში. რაც თავის მხრივ, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი კონფლიქტების შემცირების თვალსაზრისით.

### მუხლი 32. გარემოსდაცვითი განათლება

1. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიზანს წარმოადგენს სპეციალური ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება სხვადასხვა ასაკის მიზნობრივი ჯგუფებისთვის;
2. ეკოსაგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: მოსახლეობის ფართო ფენების მიერ დაცული ტერიტორიების მნიშვნელობისა და როლის გაზიარება როგორც ქვეყნის, ასევე ადამიანის მომავლისთვის და მათ მიერ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის იდეის მხარდაჭერა; მოსახლეობის ფართო ფენებში მაღალი ეკოლოგიური ცნობიერების ჩამოყალიბება; მოსახლეობის ჩართულობის მაღალი დონე გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით; მოსახლეობის ფართო ფენების თანადგომა დაცულ ტერიტორიებზე ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით;
3. ველური ბუნების და ეკოსისტემების სრული გაგებისთვის ეკოსაგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ინტერპრეტაციის სხვადასხვა ფორმას. ხაზს უსვამს რა დაცული ტერიტორიების როლსა და მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმიანობაში. პროგრამა მხარს უჭერს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებს გარემოს დაცვის შესახებ, ასევე მიზნობრივ და საინტერესო ინფორმაციის გავრცელებას ვიზიტორთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის;
4. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია დაარსების დღიდან თანამშრომლობს რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან,

- განსაკუთრებით ეს თანამშრომლობა გაღრმავდა 2003 წლიდან, როდესაც ეკოსაგანმანათლებლო სამსახურმა გაააქტიურა მუშაობა ამ კუთხით: წლების განმავლობაში იზრდება ეროვნული პარკის მიერ ორგანიზებულ და განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეთა რაოდენობა და საზოგადოების დაინტერესება გარემოსდაცვითი საკითხებით;
5. აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიური განათლების მონაცემთა ბაზის განახლება მიმდინარეობს ყოველწლიურად, რაც გულისხმობს თანამედროვე ეკოშემცენებითი მასალების მოძიებას და შენახვას. ძირითადად ინფორმაციის განახლება და შევსება ხდება საერთაშორსო დონეზე სხვადასხვა ეროვნული პარკების გამოცდილების გაზიარებით. ამას ხელს უწყობს ტრადიცია, რომელიც დამკვიდრებულია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, კერძოდ, ყოველწლიურად ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან მოხალისეები, რომლებიც ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და რეინჯერებთან ერთად მუშაობენ აღნიშნული მონაცემთა ბაზის განახლებაზე და სრულყოფაზე. უნდა აღინიშნოს, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაში;
  6. ყოველწლიურად აქტიურად იმართება ღონისძიებები სკოლებთან, ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში სხვადასხვა სახის ეკოლოგიური პრობლემის თემატიკით, როგორცაა დაბინძურების პრობლემა, ტყის ხანძრები, უკანონო ხის ჭრა და ნადირობა, მდინარეების დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების საფრთხეები, ჰაბიტატების კარგვა და ა.შ. პარკის ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს რეგიონში არსებულ არასამთავრობო სექტორთან, რაც აისახება ერთობლივ პროგრამებსა და ღონისძიებებში;
  7. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონში არსებულ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან, მათი ეკოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის სხვადასხვა ლოკაციაზე გადიან და ადგილზე ეცნობიან რეინჯერების საქმიანობას და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში მონაწილეობენ;
  8. აღსანიშნავია ასევე, რომ 2013 წლიდან ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკი ყოველწლიურად მასპინძლობს აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტების სტუდენტებს სასწავლო პრაქტიკას ქვაბისხევის, აბასთუმნის და მარელისის უბნებზე. სტუდენტები სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში რეინჯერებთან ერთად ასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოს, მათ შორის: ბილიკების მარკირება, საცეცხლე ადგილების მოწყობა, ტერიტორიის დასუფთავება, ხიდების შეკეთება და სასმელი წყლის ადგილების მოწყობა. ისინი ასევე ატარებენ გარემოსდაცვით კამპანიებს ადგილობრივ მოსახლეობისა და ვიზიტორებისათვის. ავრცელებენ ბროშურებს, საინფორმაციო ბუკლეტებს და მოუწოდებენ მათ ბუნების დაცვისა და შენარჩუნებისკენ;

9. ყოველწლიურად იზრდება დაცულ ტერიტორიაზე ეკო-ბანაკების რიცხვი. ეკო-ბანაკების მონაწილე სკოლებიდან აღსანიშნავია სხვადასხვა საერთაშორისო კერძო სკოლები - ვალდორფის, ბრიტანულ, ამერიკული სკოლებისა და კავკასიის ფრანგული სკოლის ბანაკები. ბოლო წლებში გნსაკუთრებით აღსანიშნავია ეკობანაკების მოწყობით საჯარო სკოლების დაინტერესებაც.
10. ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ეკო-საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ეკოსემინარებს, გაკვეთილებს ველზე, ეკოთამაშებს, რომელიც გათვლილია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და დონეზე. ასევე ეწყობა პრეზენტაციები, დასუფთავებისა და გამწვანების აქციები, პროგრამა „რეინჯერის ერთი დღე“, აქტივობები შესაბამისი წლის მწვანე კალენდრის მიხედვით და კვირეულები დაცული ტერიტორიების დღეების აღსანიშნავად. ეწყობა დოკუმენტური ფილმის ჩვენება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკზე და ზოგადად საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე. თუმცა ეს უკანასკნელი მასალა უკვე ძველია და საჭიროებს განახლებას (ფილმებში ასახული ინფორმაციების ნაწილი დაცული ტერიტორიების ფართობებისა და კატეგორიების რაოდენობათა შესახებ, დღეის მონაცემებით შეცვლილია).

#### ა) განხორციელებული პროექტები და მონაწილეთა რაოდენობა

1. 2014 წელს სახეობათა კონსერვაციის ცენტრმა „ნაკრესმა“ ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნულ პარკთან ერთად განახორციელა პროექტი „იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების თანამონაწილეობრივი მონიტორინგის სისტემის დანერგვა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში“. პროექტისთვის შეირჩა 30 მოსწავლე ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლებიდან, მათ ჩაუტარათ ინტენსიური თეორიული და პრაქტიკული სწავლებები ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შესახებ;
2. ამავე წელს განხორციელდა პროექტი „ნორჩი რეინჯერის“ მეორე ეტაპიც გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით და მასში ჩართული იყო ბორჯომის 5 სკოლის 50 მოსწავლე;
3. სულ 2014 წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიერ განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 1814 სკოლის მოსწავლემ, სტუდენტმა, პედაგოგმა და ადგილობრივმა მოსახლემ;
4. 2015-2016 წლებში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ „ამერიკის მშვიდობის კორპუსის“ მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით განახორციელა საპილოტე პროექტი „გარემოსდაცვითი პროგრამების გავრცელება ეროვნული პარკის რეგიონში“. პროექტი ითვალისწინებდა ჩართული სკოლებისა და მოსწავლეებისთვის იმ საკანონმდებლო დოკუმენტების გაცნობას, რომელსაც ადმინისტრაცია და დაცული ტერიტორიების სააგენტო იყენებს ტერიტორიების დაცვისა და მართვისთვის. პროექტის ფარგლებშივე მოეწყო საზაფხულო

ეკობანაკები გამარჯვებული სკოლებისთვის. 2015 წელს პროექტში მონაწილეობდა 39 სკოლის 234 მოსწავლე ეროვნული პარკის რეგიონიდან. 2016 წელს პროექტში 45 სკოლის 270-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

სულ ბორჯომ-ხარგაულის ეროვნული პარკის მიერ განხორციელებულ აქტივობებში 2015 წელს 14622-მა, ხოლო 2016 წელს 21819-მა მოსწავლემ, სტუდენტმა, პედაგოგმა და ადგილობრივმა მოსახლემ;

5. 2018 წელს „მშვიდობის კორპუსისა“ და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ბორჯომის“ ჩართულობით ეროვნული პარკის რეგიონის 10 სკოლის 60 მოსწავლისთვის სამ სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელდა საგანმანათლებლო პროექტი „დაუკავშირდი ბუნებას“. პროექტი ერთის მხრივ, ითვალისწინებდა სახალისო გარემოსდაცვითი აქტივობებით მოსწავლეებისა და პედაგოგების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და დაული ტერიტორიების პოპულარიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, იმ ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების საპილოტე განხორციელებას, რომლებიც ამავე 2018 წელს შეიქმნა. სულ ბორჯომ-ხარგაულის ეროვნული პარკის მიერ განხორციელებულ აქტივობებში 2018 წელს 23185 მოსწავლემ, სტუდენტმა, პედაგოგმა და ადგილობრივმა მოსახლემ მიიღო მონაწილეობა;
6. 2019 წელს ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ ა/ო „მწვანე ბორჯომთან“ ერთად განახორციელა საგანმანათლებლო პროექტი, რომელშიც ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის 150-მდე მოსწავლე და პედაგოგი იყო ჩართული. პროექტი ითვალისწინებდა სკოლების მიერ გარემოსდაცვითი პრობლემის არჩევას, მასზე მუშაობას და სამოქმედო გეგმის შექმნას. პროექტის ფარგლებში 5 გამარჯვებული სკოლის გუნდისთვის კი მოეწყო საგანმანათლებლო ტური მარტვილის კანიონსა და კოლხეთის დაცულ ტერიტორიებზე. სულ ბორჯომ-ხარგაულის ეროვნული პარკის მიერ განხორციელებულ აქტივობებში 2019 წელს 22267 მოსწავლემ, სტუდენტმა, პედაგოგმა და ადგილობრივმა მოსახლემ მიიღო მონაწილეობა.

## ბ) ეკოსაგანმანათლებლო ქმედებების მართვა

1. აღსანიშნავია, რომ ბორჯომ-ხარგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას აქვს გარემოსდაცვითი პროგრამები, მასალები და ინფრასტრუქტურა საგანმანათლებლო ბილიკის და ვიზიტორთა ცენტრის საგამოფენო დარბაზის სახით, თუმცა არ არის სპეციალური სამსახური და შესაბამისად, ადამიანური რესურსი, რომელიც ამ პროგრამებს განახორციელებს. ზოგადად, ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის მართვაზე პასუხისმგებელია ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი. ბორჯომ-ხარგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას ყავს ორი თანამშრომელი ერთი – ბორჯომში და მეორე – ხარგაულში. გარემოსდაცვით აქტივობებზე და პროგრამებზე მოთხოვნის

- გაზრდის შესაბამისად, ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობას ინაწილებენ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი და ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტები ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებთან და რეინჯერებთან ერთად;
2. ქმედებები, რომლებიც უკავშირდება ეკოგანათლებლასა და საზოგადოებასთან ურთიერთობას, თანხმდება და იმართება ცენტრალიზებულად – დაცული ტერიტორიების სააგენტოს უშუალო კონტროლის ქვეშ.

#### გ). კოგანათლებლასთან დაკავშირებული პრობლემები და შესაძლებლობები

1. ეკოგანათლების სპეციალისტის არარსებობა;
2. გიდი რეინჯერების სისტემის დანერგვა და მათი გადამზადება;
3. არსებული გარემოსდაცვითი პროგრამების დახვეწა და სრულ შეთავაზებად ჩამოყალიბება. სისტემური მუშაობა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან;
4. მუშაობა დაცული ტერიტორიების ვიზიტორებთან;
5. მჭიდრო კონტაქტი საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თუ ორგანიზაციებთან;
6. ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო საქმეში გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც ქვეყნის, ასევე საერთაშორისო დონეზე; აუცილებელი ორგანიზაციულ-მატერიალური ბაზის ფორმირება;
7. ნორჩი რეინჯერის პროგრამის განახლება. პროგრამის მიზანია მომავალი თაობების უფრო მეტად დაახლოება ბუნებასთან და პრაქტიკულ საქმიანობაში მათი ჩართვა. ასევე საკმაოდ აპრობირებული მეთოდის დანერგვა რეინჯერებში, რომელიც გავრცელებულია ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ეროვნულ პარკში, რაც გულისხმობს რეინჯერთა გადამზადებას და მათ ჩართვას საინტერპრეტაციო-საგანმანათლებლო საქმიანობებში. აღნიშნული პროგრამა განხორციელდება როგორც ეროვნული პარკის მოსაზღვრე ექვსივე მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ასევე დაინტერესებული ვიზიტორებისთვისაც;
8. სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და მათი ჩართვისთვის გარემოსდაცვით ღონისძიებებში, საუკეთესო ხერხია ეკოსაგანმანათლებლო ტურების მოწყობა დაცულ ტერიტორიებზე, რითაც მათ საშუალება ექნებათ ადგილზე გაეცნონ საინფორმაციო მასალებს, ფლორას, ფაუნას, ეკოსისტემებს, მიიღონ ინფორმაცია დაცული ტერიტორიების მნიშვნელობისა და როლის შესახებ, ასევე შეისწავლონ ბუნებაში ქცევის წესები;
9. ეკოსაგანმანათლებლო ქმედებები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში საკმაოდ პოპულარულია საგანმანათლებლო ორგანიზაციებს შორის. ეს ასევე არის ეფექტური საშუალება ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიებისადმი


- პოზიტიური განწყობის შესაქმნელად, რაც ამავე დროს შესაბამისობაშია ადმინისტრაციის საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნებთან;
10. მიმდინარეობს სპეციალური გარემოსდაცვითი ღონისძიებების ორგანიზება ე. წ. „მწვანე კალენდრის“ მიხედვით, რომელიც დაკავშირებულია ბუნებასთან და გარემოს დაცვასთან. განსაზღვრულია სამიზნე ჯგუფები და არსებობს სპეციალური პროგრამები მათთვის, თუმცა აუცილებელია აღნიშნული პროგრამების დახვეწა და მათი განხორციელებისათვის სპეციალური კადრების გადამზადება;
  11. არსებობს ბუნების შემეცნებითი ბილიკი რომელიც 2016 -2017 წლებში განახლდა და დატვირთული და საინტერესოა, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ასევე სხვა ვიზიტორებისთვისაც;
  12. სეზონის განმავლობაში (ზაფხული) ეროვნულ პარკს საშუალება აქვს სპეციალურად მოწყობილ ეკობანაკში და სხვა ლოკაციებზეც უმასპინძლოს შემეცნებით ბანაკებს. ბანაკების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

### მუხლი 33. მენეჯმენტი და ადმინისტრაცია

#### ა). მართვის სისტემა და ადამიანური რესურსები

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულია. ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრები მდებარეობს ბორჯომში (ქალაქ ბორჯომის ცენტრიდან 1 კმ მანძილზე (მესხეთის ქ. 23) და ხარაგაულში (სოლომონ მეფის ქ. 19);
2. 2019 წლის მდგომარეობით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში დასაქმებულია 81 საშტატო თანამშრომელი, მათ შორის დირექტორი (1), ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი (1), ბუღალტერი (1); დაცვის განყოფილების უფროსი (1), დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე (1), ბუნებრივი რესურსების მართვის უფროსი სპეციალისტები (2), ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტები (3), უბნის უფროსი რეინჯერები (10) და რეინჯერები (51), სწრაფი რეაგირების ჯგუფის უფროსი რეინჯერები (3) და სწრაფი რეაგირების ჯგუფის რეინჯერები (7) ასევე შტატგარეშე თანამშრომლები (5);
3. 2018 წელს საშტატო ნუსხა გაიზარდა 10 ერთეულით. შეიქმნა სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომელიც შედგება 3 უფროსი რეინჯერისა და 7 რეინჯერისაგან;
4. 2020 წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი გაფართოვდა და შეადგენს 64756 ჰა-ს, კერძოდ გაიზარდა დაახლოებით 4180 ჰა-ით აბასთუმნის ტერიტორია, ადიგენის მუნიციპალიტეტის მხარეს. შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორიის დაცვა-პატრულირებისთვის საჭიროა დაცვის სამსახურში დამატებით 6 თანამშრომლის აყვანა: 1 უფროსი რეინჯერი და 5 რეინჯერი.

დიაგრამა 11: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საშტატო ცვლილებები



წყარო: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

#### ბ) თანამშრომელთა კვალიფიკაცია

1. თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია და დამტკიცებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით;
2. თანამშრომელთა დასაქმება ხდება კონსკურსის საფუძველზე. საკონკურსო კომისია წარმოდგენილია სააგენტოს თანამშრომლების მიერ;
3. თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით არ არსებობს გაწერილი სწავლების პროგრამა, რომელიც სავალდებულო იქნება როგორც ახლადმიღებული თანამშრომლებისათვის, ასევე მოქმედი თანამშრომლებისთვის;
4. ადმინისტრაციის თანამშრომელთა უმეტესობა ამ თანამდებობაზე 5-10 წელზე მეტი ხანია მუშაობს და აქვს გარკვეული გამოცდილება და პროფესიული კვალიფიკაცია. 2014-2015 წლებში თანამშრომლების გადინებას არ ქონდა მასიური ხასიათი, იყო შედარებით სტაბილური, ძირითადად ხდებოდა საპენსიო ასაკზე გასვლასთან დაკავშირებით, მაგალითად, ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი ხარაგაულში, რეინჯერები ნეძვის აღკვეთილში. ასევე იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც თანამშრომლები წავიდნენ საკუთარი სურვილით;
5. 2018-2019 წლებში შედარებით ხშირია თანამშრომლების ცვლილება, ასევე მოხდა ახალი თანამშრომლების დამატება სწრაფი რეაგირების ჯგუფის სახით. მოხდა ცვლილება როგორც მენეჯმენტის დონეზე - შეიცვალა ადმინისტრაციის დირექტორი, დაცვის განყოფილების უფროსი და ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი, ასევე უფროსი რეინჯერების და რეინჯერების დონეზე;
6. თანამშრომლების ცვლილებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია მათი პროფესიული განვითარებაც, რაც გულისხმობს იმას, რომ საჭიროა არსებობდეს

გარკვეული პროგრამები, რომლის მიზანიც იქნება ახალი თანამშრომლების გადამზადება;

7. აღნიშნული საკითხი სისტემის დონეზე საჭიროებს დამატებით კვლევას და ძირითადი საჭიროებების გამოვლენას თანამშრომლების გადამზადების კუთხით;
8. შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა შეიქმნას სპეციფიკური მოდულები ახალი თანამშრომლებისათვის და მცირე კურსი მათთვის, რომელიც იქნება სავალდებულო ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და რეინჯერებისათვის.

### გ) ადმინისტრაციის აღჭურვილობა

1. დაცვის განყოფილების / რეინჯერთა აღჭურვილობა - ამ ეტაპზე ადმინისტრაციას ყავს 16 გამართული ავტომანქანა (ასევე 3 ამოტიზირებული / გაჩერებული) , 4 კვადროცოკლი . 22 ცხენი - (ძირითადი ნაწილი 17 გადანაწილებულია ხარაგაული-ბაღდათის უბნებზე, 5 - აწყურის უბანი)

13 ცალი სათვალთვალო კამერა ავტომანქანებისათვის

42 ცალი რეინჯერების სამკერდე კამერა

21 ცალი ფოტოაპარატი

10 ცალი სმარტ ფონი (შექმნილი იქნა SMART პატრულირების პილოტირებისათვის სატესტო რეჟიმში)

35 ცალი ბინოკლი

43 ცალი GPS ნავიგატორი;

2. რეინჯერები აღჭურვილები არიან საძილე ტომრებით, ზურგჩანთებით, ფანრებით. ყოველწიურად მიმდინარეობს უნიფორმების და მაღალყელიანი ფეხსაცმელების განახლება. აღჭურვილობის და უნიფორმის განახლება CNF-ის დაფინანსების ფარგლებში მიმდინარეობს;
3. არსებული აღჭურვილობა შესაძლებელია ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, თუმცა საჭიროა გარკვეული აღჭურვილობის დამატება და განახლება. გაფართოებულ ტერიტორიაზე დაცვა-პატრულირების განსახორციელებლად საჭიროა დამატებით 1 (ერთი) ერთეული მაღალი გამავლობის ავტომანქანა, საძილე ტომრები და ზურგჩანთები მოძველებულია, საჭიროებს ჩანაცვლებას, ასევე სასურველია გაიზარდოს GPS ნავიგატორების რაოდენობა;

4. ვიზიტორთა აღჭურვილობა - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრში არის შემდეგი აღჭურვილობა - საძილე ტომრები (28 ცალი), პარალონები (28 ცალი) კარვები (10 ცალი), ასევე მთის ველოსიპედები(20 ცალი) და თოვლის ფეხსაცმელები (10 ცალი);
5. აღნიშნული აღჭურვილობიდან საძილე ტომრები, პარალონები და კარვები მოძველებულია და საჭიროებს განახლებას, ჩასანაცვლებელია თოვლის ფეხსაცმელები.

#### დ). ინფრასტრუქტურა

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა მოიცავს ადმინისტრაციულ შენობას და ვიზიტორთა ცენტრებს (ბორჯომსა და ხარაგაულში). რეკონსტრუქცია მოხდა 2010 წელს ბორჯომში და 2017 წელს ხარაგაულში, მიმდინარეობს ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრის რეკონსტრუქცია. ტენდერში გამოვლენილია გამარჯვებული ხარაგაულის ვიზიტორთა ცენტრის მოწყობაზე. 2020 წლიდან დაიწყება სარეკონსტრუქციო სამუშაოები. დაცული ტერიტორიების დანარჩენ შესასვლელებში განლაგებულია რეინჯერთა საგუშაგოები. ტერიტორიაზე რეინჯერთა თავშესაფრები და ტურისტული თავშესაფრები;
2. 13 რეინჯერთა საგუშაგო - აბასთუმანი, აწყური, ქვაბისხევი, ზანავი, ქვიშხეთი, ნეძვი, მარელისი, ნუნისი. საქონდრია, ლაშური, ლიკანი, ტაბაწყური , ბანისხევი. 2019 წელს ახალი საგუშაგოები აშენდება ბანისხევში და ლიკანის შესასვლელთან, ჩატარებულია ტენდერი და გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია სამუშაოების განსახორციელებლად. 11 რეინჯერთა თავშესაფარი - ნასაბაჯვარი, მახვილო, ციხისძირი, წინუბანი, ზორეთი, ჩითახევი, ბანისხევი/კოტახევი, სამეცხვარეო, ქვაზვინევი, ვახანი, დედაბერა;
3. ტურისტული თავშესაფარი - ლომის მთა, ამრათი, სახვლარი და ზეკარის უღელტეხილის. 1 საოჯახო ტიპის სასტუმრო მარელისში;
4. ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილში სარეინჯერო, რომელიც აშენდა 2010 წელს ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს. საჭიროებს დამატებით სარემონტო სამუშაოებს და კომუნიკაციების მიყვანას, როგორცაა წყალი და კანალიზაცია. ასევე ლაშურის/ ხანის სარეინჯერო არ გამოიყენება და არის ცუდ მდგომარეობაში;
5. ვიზიტორთა ცენტრიდან ბორჯომში იწყება საგანმანათლებლო ბილიკი, სხვა დანარჩენი მარშრუტები იწყება ვიზიტორთა ცენტრებიდან მოშორებით, მათ შორის ლიკანში (მარშრუტები №1, 6, 9, 10 და 12); ქვაბისხევში (№6), აწყურში (№2, 3, 9, 11) აბასთუმანში (№5) ზანავში (№4) მარელისში (№ 1, 2, 9) ნუნისში (№4);
6. ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ იჯარითაა გაცემული ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრთან არსებული სასტუმრო, აწყურის საზაფხულო ბანაკი. 2019

- წლამდე ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრში ფუნქციონირებდა სუვენირების მაღაზია, რომლის ოპერირებას ახდენდა კერძო კომპანია;
7. ამ ეტაპზე არსებული ინფრასტრუქტურა ადეკვატურია, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში საჭირო იქნება ქცია-ტაბაწყურის და ნემვის აღკვეთილებში დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა, როგორც რეინჯერებისათვის, ასევე ვიზიტორებისათვის; ასევე ახასთუმნის გაფართოებულ ტერიტორიაზე საჭიროა 1 (ერთი) ერთეული სარეინჯეროს მოწყობა;
  8. გამოწვევას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, ინფრასტრუქტურის განახლება და შეკეთება ხდება სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერების საფუძველზე, რაც უმეტეს შემთხვევაში დროში იწელება და არაეფექტურია. ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულია ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის 10 წლიანი მოვლა-შენახვის გეგმა (2014- 2023 წლებისათვის). საჭიროა ამ გეგმის განახლება, რომელიც იქნება არსებული ინფრასტრუქტურის გამართულ მდგომარეობაში არსებობის წინაპირობა;
  9. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს ინფრასტრუქტურის შეკეთების მოქნილი სისტემა. თითოეულ ინფრასტრუქტურულ ერთეულზე უნდა არსებობდეს წინასწარ მომზადებული დეფექტური აქტი, რომელიც ასახული იქნება მოვლა-შენახვის გეგმაში.

#### ე.) დაფინანსების წყაროები

1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაფინანსება ძირითადად ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კავკასიის ბუნების ფონდიდან (CNF). 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 1 801 505 ლარს. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება 820 431 ლარი, კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) დაფინანსება - 638 286 ლარი. გარდა ამისა 347 789 ლარი წარმოადგენს დაფინანსებას სხვადასხვა წყაროებიდან. 2019 წელს მთლიანი ბიუჯეტი - 2 098 166 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტი - 641 045, კავკასიის ბუნების ფონდი პირდაპირი ხარჯები- 652 954. 804168 ლარი - დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან. კავკასიის ბუნების ფონდის ბიუჯეტის ნაწილი, ყოველწლიურად გამოიყენება ინფრასტრუქტურის განვითარებისა და შეკეთებისთვის;
2. დაფინანსების ერთ-ერთი წყაროა შემოსავლები ვიზიტორთა მომსახურებიდან. საიჯარო თანხები - სამოვრები, ინფრასტრუქტურა, ა.შ. საკომპენსაციო თანხები - ელექტროგადამცემი ხაზი, სპეცები და სხვა;
3. ადმინისტრაციას არ აქვს ხელშეკრულება გაფორმებული მომსახურების მომწოდებლებთან, მაგალითად, გიდებთან და საცხენოსნო ტურიზმის წარმომადგენლებთან. 2018-2019 წლებში გაიზარდა რეინჯერების ხელფასებიც. 2017 წელს თუ რეინჯერის ხელფასი შეადგენდა 450 ლარს, 2018 წელს გახდა 650

ლარი და 2019 წელს რეინჯერის ხელფასი 900 ლარია. 2019 წელს CNF სახელფასო დანამატი ერთ რეინჯერზე განისაზღვრა 125 ლარით. გამოწვევად რჩება შესყიდვების საკითხი, გარკვეულ შემთხვევაში ცენტრალიზებული ბიუჯეტის გამო, მაგალითად წვრილმანი ნივთების შესყიდვის გამო ერთიან ტენდერზე ადმინისტრაცია დამოკიდებული.

## **ზ.) დონორების დახმარებით განხორციელებული პროექტები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში**

1. დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ახერხებს იმ საჭიროებების დაფარვას, რისი დაფინანსებაც არ ხდება ბიუჯეტიდან. სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით 20014 -2019 წწ-ში განხორციელებული პროექტები:

### **2014 წელი**

- I. ეკოტურისტული ბილიკების მარკირების გაუმჯობესება, ვიზიტორთა სპეციალისტების ტრენინგი. დონორი - Polish Aid
- II. რეგიონში არსებული საცხენოსნო ტურიზმის გაუმჯობესება - დონორი - Polish Aid
- III. „იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების თანამონაწილეობრივი მონიტორინგის სისტემის დანერგვა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში” – Nacres / CNF / UNDP
- IV. საგანმანათლებლო პროექტი - აიდიეს ბორჯომი / „მწვანე ბორჯომი“.

### **2015 წელი**

- I. „იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მონიტორინგის სისტემის დანერგვა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში". პროექტი განხორციელდა სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „ნაკრესის" და სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრის მიერ. პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საკვანძო სახეობების მონიტორინგის სისტემის მეთოდოლოგიის შემუშავება. პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი იყო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის რეგიონში არსებული გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება.

### **2016 წელი**

- I. Glen / Crowdfunding - ეკოსაგანამანათლებლო ბილიკზე შემეცნებითი ინსტალაციების მოწყობა.

## 2017 წელი

- I. გარემოსდაცვითმა ორგანიზაცია „ქალები მომავლისათვის“ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ინიციატივით და თანამშრომლობით განახორციელა პროექტი „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში გარემოსდაცვითი ადვოკატირების კამპანია და ინოვაციური ტექნოლოგიები ალპურ სამოვრებზე.“ პროექტის ფარგლებში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში მდებარე 5 სამოვარზე დამონტაჟდა ჰელიო სისტემაზე მომუშავე ელექტრო ღობეები, რომლებიც იცავს პირუტყვს მტაცებელი ცხოველებისაგან და ხელს შეუწყობს მოსახლეობის ზარალის შემცირებას. ასევე 10 მწყემსის ბინასთან დამონტაჟდა ჰელიო ნათურები. პროექტი დაფინანსდა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) და გაეროს განვითარების ფონდიზ (UNDP) მიერ (2018 წელი)
- II. ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრის განახლება/ რეკონსტრუქცია - Mercy Corps/ ენპარდი / CNF
- III. „მწვანე სკოლა“ - - Mercy Corps/ ენპარდი
- IV. ალტერნატიული სუფთა ენერჯო რესურსების გამოყენებას და ადგილობრივი თემის ცნობიერების ამაღლებას ეროვნული პარკის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისათვის სოფელ ქვაბისხევში. BP/CTC -ის EcoAwards (განხორციელდა რეგიონში)
- V. „შეზღუდული შესაძლებლობების პირთა კავშირი ბუნებასთან“, - სოლიდარობის ფონდი / Polish Aid

## 2019 წელი

- I. ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება და ახალგაზრდების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება ეროვნული პარკის რეგიონში (სოფელი ქვაბისხევი) პროექტი დაფინანსდა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) და გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) მიერ.

### თ) პრობლემები და შესაძლებლობები

1. ადმინისტრაციის ეფექტური ფუნქციონირებისათვის გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები - ადამიანური რესურსების და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დამატება:

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გაფართოებული ტერიტორიის სრულყოფილად დაცვისა და პატრულების განხორციელებისთვის დაცვის სამსახურში საჭიროა დამატებით 6 თანამშრომლის აყვანა: 1 უფროსი რეინჯერი და 5 რეინჯერი;

**იურისტი** - მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციის პოზიციონირება იყოს ძლიერი მიმდინარე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან მიმართებაში და ადმინისტრაციის ინტერესების დაცვა განხორციელდეს კვალიფიციური იურისტის მიერ.

**GIS სპეციალისტი** - საკმაოდ მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციის თანამშრომლების (ბუნებრივი რესურსების სპეციალისტების) გადამზადება ამ მხრივ, რაც ადმინისტრაციას გაუადვილებს საქმიანობას.

**ცხენების ვეტერინარული მომსახურება** - ეროვნული პარკის ბალანსზე რიცხული ცხენებისათვის საჭიროა შესაბამისი ვეტერინარული მომსახურების გაწევა. საკითხი საჭიროებს დარეგულირებას. ადმინისტრაციის მხრიდან იყო რამდენიმე მცდელობა, რეგიონში მოექმნათ ვეტერინარი, რომელიც მომსახურების შემდეგ მიიღებდა გაწეული საქმიანობის საფასურს. ამ მიდგომით გამოვლინდა გარკვეული პრობლემები, რაც დაკავშირებულია ძირითადად ადმინისტრირებასთან, ვეტერინარმა უნდა მოახდინოს წინასწარ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურება, შეისყიდოს ყველა საჭირო პრეპარატი და შემდეგ სააგენტოს მიერ მოხდება გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურება. რეგიონში მოქმედი ვეტერინარები უარს აცხადებენ მსგავს მომსახურებაზე.

**ქცია-ტაბაწყურის უბანზე დამატებით 2 რეინჯერი**-ადმინისტრაციის მხრიდან წარმოიშვა საკითხი ქცია-ტაბაწყურზე ეფექტიანი საქმიანობისათვის დაემატოს 2 რეინჯერი. ამ ეტაპზე აღკვეთილში არის 1 უფროსი რეინჯერი და 3 რეინჯერი, რაც არასაკმარისია ტერიტორიის სრული და ეფექტიანი დაცვისათვის.

**ვიზიტორთა სპეციალისტი (ხელშეკრულებით)** - ვიზიტორთა ყოველწიურ მატებასთან ერთად, მომსახურების მნიშვნელოვანი საკითხი დგება. სულ დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციას ყავს სამი ვიზიტორთა სპეციალისტი. 2 ბორჯომში და 1 ხარაგაულში. აქტიურ სეზონზე ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრი ვერ აუდის ტურისტების მომსახურებას და ვიზიტორთა ცენტრში დგება რიგები. სასურველია, აქტიურ სეზონზე გაფორმდეს ხელშეკრულება და აყვანილი იქნას დამატებით ერთი ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტი.

**გარემოსდაცვითი განათლების სპეციალისტი** - გარემოსდაცვითი განათლების საქმიანობას ეროვნულ პარკში აწარმოებენ ვიზიტორთა სპეციალისტები და

ბუნებრივი რესურსების სპეციალისტები. შესაბამისად, აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით საკმაოდ დიდია ტურისტების რაოდენობა და ორი ვიზიტორთა სპეციალისტი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დამატებით შეასრულონ გარემოსდაცვითი განათლების საქმიანობები. ბუნებრივი რესურსების სპეციალისტები კი, აქტიურად არიან ჩართულნი დაცვა-პატრულირების საქმიანობებში, როგორცაა ტერიტორიაზე გეგმიური საგაზაფხულო და საშემოდგომო რევიზიები, ფოტოხაფანგების მართვა, როგორც ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, ასევე ბრაკონიერების წინააღმდეგ.

**გიდი რეინჯერები** - გიდი რეინჯერების სისტემის დანერგვა დაცული ტერიტორიისათვის იქნება დამატებითი შემოსავლის წყარო. გიდი რეინჯერების საკითხი ასევე განხილულია ტურიზმის ნაწილში. მომზადდება სპეციალური შეთავაზებები ბორჯომში არსებული დიდი სასტუმროებისათვის, რისი მეშვეობითაც მოხდება ახალი სეგმენტის მოზიდვა და ასევე გამოყენებულნი იქნებიან გარემოსდაცვით საგანმანათლებლო საქმიანობებში, რომელიც გახდება ფასიანი მომსახურება. ნაკლებად დატვირთულ ტურისტულ სეზონზე შესაძლებელია ჩაერთონ ვიზიტორთა ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის საქმიანობებში.

2. მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის გაძლიერება და ქვემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების შევსება:
  - თანამშრომლების შესაძლებლობების და უნარების გაძლიერება;
  - ტრენინგები ადმინისტრაციის მენეჯმენტისა და რეინჯერებისათვის სხვადასხვა მიმართულებით - სასწავლო პროგრამების/ მოდულების შექმნა / ტრენინგ სისტემა;
  - შესყიდვის და ტენდერების სისტემის დახვეწა და მოქნილობა;
  - ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის და შეკეთების სისტემის მოქნილობა;
  - თანამშრომლების აყვანის სისტემის დახვეწა / ადმინისტრაციის ჩართულობა;
  - ადმინისტრაციის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;

### მუხლი 34. ადგილობრივი თემებისთვის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლიანობის შეფასება

1. თემის ჩართულობა ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მიზნით პარკის პრიორიტეტია. სათემო ტურიზმის, ეკოტურიზმის, აგრო და სოფლის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. პარკთან თანამშრომლობით ადგილობრივი თემის მცირე ნაწილმა დააგროვა გარკვეული ცოდნა და გამოცდილება მასპინძლობის, ბიზნეს უნარების და მართვის საკითხებში. რამდენიმე ოჯახმა წამოიწყო

- ტურისტული ბიზნესი, სადაც ჩართულნი არიან ოჯახის წევრები და თემის წარმომადგენლები. მათ შორის ძირითადად არიან საოჯახო სასტუმროების და საცხენოსნო ტურების პროვაიდერები. ბოლო პერიოდში გაიზარდა თემის ინტერესი კვების მომსახურების ორგანიზებაზე;
2. პარკთან თანამშრომლობით ადგილობრივი თემის წარმომადგენლებმა პირდაპირი სარგებლის მიღების გარდა (თვითდასაქმება, სამუშაო ადგილების შესაძლებლობა და სხვ.) შექმნეს ადგილობრივი ბიზნესი და მეწარმეობის ახალი ფორმები (აგროტურიზმი აწყურში, მარელისში, სათემო ტურიზმი ქვაბისხევში), რაც ადგილზე ქმნის დასაქმების მულტიპლიკატორულ ეფექტს. გაზრდილია ოჯახებში კომუნიკაციის უნარი, ახალ თაობას აქვს მეტი მოტივაცია, ისწავლოს უცხო ენა, დაეუფლოს გიდის პროფესიას და მიიღოს უკეთესი განათლება. იქმნება ადგილობრივი პროდუქტი (დაფასებული ჯემი, თაფლი და სხვ.). არაპირდაპირი სარგებელია თემის ღირსების განცდა, გარემო პირობების და ღირებულებების გაფრთხილება და ტრადიციების შენარჩუნება;
  3. თემთან კომუნიკაციის, კერძოდ, სკოლებსა და უნივერსიტეტებში ეკოსაგანმანათლებლო გაკვეთილების, ლექცია-სემინარების, ნორჩ რეინჯერთა პროგრამების, დასუფთავება-გამწვანების აქციების და სხვა ღონისძიებების წყალობით გაზრდილია თემის ცნობიერება გარემოსდაცვით საკითხებზე. ნორჩი რეინჯერები მოხალისეების მსგავსად ეცნობიან დაცული ტერიტორიების სპეციფიკას, მონაწილეობას იღებენ ტურისტული ზონების მოწესრიგებაში, ასევე ახდენენ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ჩართულები არიან რეინჯერთან ერთად ყოველდღიურ საქმიანობაში, ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას;
  4. მიუხედავად თემთან დაწყებული თანამშრომლობისა, პარკს ჯერ კიდევ არ აქვს ადგილობრივი თემის რესურსი სათანადოდ ათვისებული, ხოლო თემს - პარკის რესურსი;
  5. ვიზიტორების გაზრდილი რიცხვი ადგილობრივ მცხოვრებთათვის სტიმულია, რომ შექმნან და შემდეგ შესთავაზონ სხვადასხვა სახის პროდუქტი/სერვისი (ტრანსპორტი, გიდის მომსახურება, ღამის გათევა, კვება, სუვენირები, ღონისძიება) ეროვნულ პარკში მოხვედრილ ტურისტებს. თუმცა ვიზიტორთა სიმრავლემ ასევე შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფაზეც; ვიზიტორები იყენებენ სატრანსპორტო საშუალებებს, იწვევენ ხმაურს, ტოვებენ ნარჩენებს და ა.შ.;
  6. თემის და პარკის საერთო ინტერესის შექმნა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკითხს, საჭიროა შეიქმნას სარგებელი, როგორც დაცული ტერიტორიისთვის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისათვის და დამყარდეს მჭიდრო თანამშრომლობა და ინტერესებულ მხარეებს შორის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მეგობართა ასოციაციის არსებობა ადგილობრივ თემებთან და მოსახლეობასთან საერთო ინტერესების გამოსავლენად და ერთობლივ აქტივობებზე სამუშაოდ. ამის ერთ-

ერთი საუკეთესო გზაა თემზე დაფუძნებული ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

## თავი V. დაცული ტერიტორიების შიდა ზონირება

### მუხლი 35. დაცული ტერიტორიის კატეგორიების ზონების ჩამონათვალი

1. ბორჯომის ნაკრძალი არ მოიცავს ზონებს;
2. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ფასეულობების, დღევანდელი მდგომარეობის, ზეწოლების, იმ ფასეულობების და ფუნქციონალური ზონების გათვალისწინებით, რომლებიც წინამდებარე მენეჯმენტის გეგმამდე იყო შემუშავებული, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ფუნქციონალური ზონები იქნება შემდეგი (ბორჯომ-ხარაგაულის ევრონული პარკის ზონირება ნაჩვენებია რუკაზე დანართი #2):

#### ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა:

ა.ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონა იქმნება ხელუხლებელი ბუნების შესანარჩუნებლად და არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით. ზონა მოიცავს: ეროვნული პარკის განსაკუთრებით მგრძნობიარე ეკოსისტემებს და იმ ნაწილებს, რომლებსაც არ განუცდია ცვლილებები ან ძალზე მცირე იყო ანთროპოგენური ზემოქმედება. აღნიშნული ზონა წარმოადგენს იშვიათი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველთა და მცენარეთა სახეობების ძირითად ჰაბიტატს, როგორებიცაა: კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), მურა დათვი (*Ursus arctos*), წავი (*Lutra lutra*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), შველი (*Capreolus capreolus*), არჩვი (*Rupicapra caucasica*). ფრინველებიდან აქ ბინადრობენ მთის არწივი (*Aquila chrysaetos*) და როჭო (*Lyrurus*), მცენარეებიდან აქ გავრცელებულია: უთხოვარი (*Taxus baccata*), ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa*), ჩვეულებრივი არყი (*Betula litwinowii*), ჩვეულებრივი ნეკერჩხალი (*Acer campestre*), ჩვეულებრივი წიფელი (*Fagus orientalis*), აღმოსავლური ნაძვი (*Picea orientalis*), სოსნოვკის ფიჭვი (*Pinus sosnowskyi*), კავკასიური სოჭი (*Abies nordmanniana*), დეკა (*Rhododendron caucasicum*).

#### ბ) ვიზიტორთა ზონა:

ბ.ა) ვიზიტორთა ზონა იქმნება ბუნების დაცვის, რეკრეაციისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით. ზონა მოიცავს ტერიტორიებს, რომელიც ადამიანის სამეურნეო საქმიანობით ნაკლებადაა სახეცვლილი და წარმოაჩენს პარკის ყველაზე დამახასიათებელ ეკოსისტემათა ნიმუშებს. ზონაში მოქცეულია ვიზიტორთათვის საინტერესო და მიმზიდველი არეები: ისტორიულ-კულტურული

მეგლები, მაღალი რეკრეაციული ღირებულებისა და გამორჩეული ბუნებრივი მახასიათებლების მქონე ადგილები. ვიზიტორთათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა არის პრაქტიკული, ადვილად გამოსაყენებელი და გასაკონტროლებლად მარტივი, ამასთანავე – არამოსაწყენი, მრავალფეროვანი. ამ ზონის ეკოლოგიურად მგრძნობიარე მონაკვეთები დამთვალიერებლებისათვის მიუწვდომელი უნდა რჩებოდეს;

ბ.ბ) ზონა ასევე მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც წარმოადგენენ გარეულ ცხოველთა სხვადასხვა სახეობის გადასადგილებელ და საბინადრო გარემოს.

### **გ) ადმინისტრაციის ზონა:**

გ.ა) ადმინისტრაციის ზონა იქმნება ეროვნული პარკის ადმინისტრაციისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის გამოყოფის მიზნით. ზონა მოიცავს ტერიტორიებს, სადაც განლაგებულია მართვის და დაცვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა (ერთი ადმინისტრაციული შენობა და ავტოფარეხი ბორჯომში, 13 რეინჯერთა საგუშაგო: აბასთუმნის, აწყურის, ლიკანის, ბანისხევის, ქვაბისხევის, ზანავის, ქვიშხეთის, მარელისის, ნუნისის, საქონდრიის, ლაშურის; 11 რეინჯერთა თავშესაფარი: მახვილოს, ნასაბაჯვარის, წინუბნის, ზორეთის, ქვაბისხევის, ბაირალის, ბანისხევის, ქვაზვინევის, სამეცხვარეოს, ვახანის და დედაბერას. 4 ტურისტთა თავშესაფარი: ზეკარის უღელტეხილის, ლომისმთის, ამარათის და სახულარის და სხვა.

### **დ) ტრადიციული გამოყენების ზონა:**

დ.ა) ტრადიციული გამოყენების ზონა იქმნება ბუნების დაცვის და განახლებადი ბუნებრივი რესურსების ტრადიციულად გამოყენებისათვის. ზონა მოიცავს პარკის იმ ტერიტორიებს, რომელიც პარკის მიმდებარე მოსახლეობის მიერ ტრადიციულად იყო გამოყენებული ფიჩხისა და საშეშე მერქნის შესაგროვებლად, სათიბად, სამოვრად, ხილ-კენკროვნების მოსაპოვებლად, საზაფხულო სამოვრებად. ყოველივე შესაძლებელია მიმდინარეობდეს ტრადიციული გამოყენების ზონაში დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

### **ე) ბუნების მართვადი დაცვის ზონა:**

ე.ა) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ბუნების მართვადი დაცვის ზონა ეწყობა ეროვნული პარკის სასიცოცხლო გარემოს დაცვის, მოვლისა და აღდგენითი ღონისძიებების განსახორციელებლად, რაც ადამიანის მიერ სპეციალური აღდგენითი

და მოვლითი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს, აგრეთვე მანიპულაციური მეცნიერული კვლევის, ტურიზმისა და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის;

ე.ბ) ეროვნული პარკის ბუნების მართვადი დაცვის ზონაში გაერთიანებული ტერიტორიების სხვადასხვა მონაკვეთში ფიქსირდება მასიურად მოთხრილ-მოტეხილი ხე-ტყე, რაც გამოწვეულია სტიქიური მოვლენის (ძლიერი ქარი, თოვლი) მიერ. ტყეების მასიური ჩახერგილობის გამო, არსებობს მაღალი რისკი ხანძრის გაჩენისა და ტყის მავნებელ-დაავადებების გავრცელებისა. აღნიშნული პროცესი უნდა დარეგულირდეს იმგვარად, რომ ჩახერგილ ხე-ტყეში გაჩენილმა ხანძარმა და მავნებელ-დაავადების გავრცელებამ არ გამოიწვიოს დაცული ეკოსისტემების კატასტროფული და შეუქცევადი რღვევა, რადგან ამ ტერიტორიებზე, ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, მაღალი ღირებულების ცენოზები – რელიქტური და ენდემური სახეობებია განვითარებული. ამ ეკოსისტემების თვითრეგულირებად მდგომარეობაში ბუნებრივად განვითარების უნარის შენარჩუნებისთვის საჭიროა მოვლა-პატრონობა.

3. ნემვის ალკვეთილში გამოყოფილია ორი ზონა: მკაცრი დაცვის ზონა და ტრადიციული გამოყენების ზონა (ნემვის ალკვეთილის ზონირების რუკა, დანართი #3):

ა) მკაცრი დაცვის ზონა მოიცავს ტერიტორიებს, რომლებიც შედარებით ნაკლები ანთროპოგენური გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და ეკოსისტემები ნაკლებადაა სახეცვლილი. აღნიშნული ზონის მიზანია შექმნას ყველა პირობა ცხოველთა და მცენარეთა ჰაბიტატების დასაცავად;

ბ) ტრადიციული გამოყენების ზონა მოიცავს იმ ტერიტორიებს, რომლებიც საგრძნობლადაა დაზიანებული ანთროპოგენური ზეგავლენის შედეგად (ხე-ტყის ჭრა, ნადირობა და ძოვება). ინტენსიური კვლევისა და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება საჭიროა აღნიშნულ ზონაში.

4. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილში გამოყოფილია ორი ზონა: მკაცრი დაცვის ზონა და ტრადიციული გამოყენების ზონა (ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის ზონირების რუკა, დანართი # 4).

### მუხლი 36. დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და ზონების ფართობი და საზღვრები

1. დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და ზონების ფართობი არის შემდეგი:

ა) ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ფართობი – 13168,6 ჰა;

ბ) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ფართობი – 64756 ჰა;

ბ.ა) ბუნების მკაცრი დაცვის ზონის ფართობი – 15072.1 ჰა;

ბ.ბ) ტრადიციული გამოყენების ზონის ფართობი – 35948.6 ჰა;

ბ.გ) ვიზიტორთა ზონის ფართობი – 11220.4 ჰა;

ბ.დ) ადმინისტრაციული ზონის ფართობი – 3.7 ჰა;

ბ.ე) ბუნების მართვადი დაცვის ზონის ფართობი – 2511.6 ჰა;

გ) ნეძვის ალკვეთილის ფართობი – 9212,53 ჰა;

გ.ა) მკაცრი დაცვის ზონის ფართობი – 2346.28 ჰა;

გ.ბ) ტრადიციული გამოყენების ზონა – 6866.25 ჰა;

დ. ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის ფართობი - 20 476 ჰა;

დ.ა) მკაცრი დაცვის ზონის ფართობი - 206,78 ჰა;

დ.ბ) ტრადიციული გამოყენების ზონის ფართობი - 20 268,74 ჰა;

2. გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლის ფართობი - 36 ჰა;

3. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, ნეძვის და ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილის ზონების კოორდინატები მოცემულია დანართებში # 5.1; 5.2; 5.3 ; 5.4; 5.5 და 5.6 -ში.

### მუხლი 37: დაცული ტერიტორიების თითოეულ კატეგორიასა და ზონაში დაშვებული საქმიანობების ჩამონათვალი

**1. ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:**

- ა) უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიება;
- ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა და გარემოს მონიტორინგი;
- გ) ბიოტექნიკური ღონისძიებები;
- დ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (დაცვის ინფრასტრუქტურის და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა).

**2. ბორჯომის-ხარაგაულის ეროვნულ პარკში დაშვებული ქმედებები:**

**ა) მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:**

- ა.ა) უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიება;
- ა.ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა და გარემოს მონიტორინგი;
- ა.გ) ბიოტექნიკური ღონისძიებების გატარება (სამარილეების, საკვებურების მოწყობა და სხვა);
- ა.დ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (დაცვის ინფრასტრუქტურის და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა).

**ბ) ვიზიტორთა ზონაში „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაშვებულია შემდეგი საქმიანობები:**

- ბ.ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება;
- ბ.ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების კონსერვაცია, მოვლა და აღდგენა;
- ბ.გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური სისტემის დაცვა და მონიტორინგი; ტყის ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა;
- ბ.დ) სამეცნიერო კვლევა;
- ბ.ე) საგანმანათლებლო საქმიანობა;

ბ.ვ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

ბ.ზ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტო - მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

ბ.თ) მონიტორინგის სამუშაოთა განხორციელება;

ბ.ი) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელება;

ბ.კ) ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული დაშვება;

ბ.ლ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და სარგებლობა, მათ შორის:

ბ.ლ.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა);

ბ.ლ.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობა (სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა);

ბ.ლ.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა); ბ.ლ.დ) კაფეტერიის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა);

ბ.ლ.ე) საკონფერენციოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);

ბ.ლ.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);

ბ.ლ.ზ) საჯინიბოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა);

ბ.ლ.თ) სველი წერტილების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა);

ბ.ლ.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობა

(სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);

ბ.ღ.კ) „ბ.ლ.ა“ – „ბ.ლ.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს;

ბ.მ) გადაადგილება ფეხით და ცხენით, ნაწილობრივ სახემეცვლილი ბუნების ტერიტორიაზე, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;

ბ.ნ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა);

ბ.ო) მენეჯმენტის გეგმის დანართი # 8 -ის საფუძველზე განსაზღვრულ ტერიტორიებზე, ხანძრების პრევენციის მიზნით, ყოველწლიურად 10 ივლისიდან 10 სექტემბრამდე, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ თიბვა;

ბ.ო1) „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის 31 პუნქტით განსაზღვრული რეკრეაციული თევზჭერა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ.ო2) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის), არქეოლოგიური სამუშაოების, არქეოლოგიური დაზვერვის, არქეოლოგიური გათხრების წარმოებისათვის, ასევე მიმდებარე დასახლებული პუნქტების სასმელი წყლით მომარაგების მიზნით, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის“ 271 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციისათვის (რეაბილიტაციისათვის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარება, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 273 მუხლის შესაბამისად;

ბ.პ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

გ) ტრადიციული გამოყენების ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:

გ.ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება;

გ.ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვა, მოვლა და აღდგენა;

გ.გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური დაცვა და მონიტორინგი; დეგრადირებული ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა;

გ.დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

გ.ე) საგანმანათლებლო საქმიანობა;

გ.ვ) ადგილობრივი მოსახლეობისათვის ამ მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული რესურსებით სარგებლობის დროს, ტურისტების გადაადგილება გამყოლის/გიდის თანხლებით, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

გ.ზ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოება;

გ.თ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელება;

გ.ი) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;

გ.კ) ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება;

გ.ლ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობის, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობის, ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობის, სოციალური ჭრების შედეგად მიღებული მერქნით სარგებლობის (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 10 მ3-მდე საშუალო მერქანი), მოვების (ტყით დაუფარავ ფართობებზე), საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობისა და ამავე დადგენილების 271 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის,

რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, 273 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა;

გ.მ) „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილების 21 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში მიწისქვეშა წყლებით სარგებლობა.

გ.ნ) საფუტკრეების მოწყობა;

გ.ო) ტრადიციულ საზაფხულო სამოვრებზე მწყემსებისთვის და ტურისტებისთვის ტრადიციული თავშესაფრების, აგრეთვე შინაურ ცხოველთა სადგომების მოწყობა;

გ.პ) გადასარეკი ტრასების მოწყობა მცირე ინფრასტრუქტურით (დასარწყულებელი, დასასვენებელი) და სხვა;

გ.ჟ) ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა;

გ.რ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და სარგებლობის, მათ შორის:

გ.რ.ა) საპიკნიკე ფანჩატურის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიმაღლე – არანაკლებ 2,3 მ-ისა);

გ.რ.ბ) კოტეჯის/ტურისტული თავშესაფრების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა) და მათთან ერთად სამზარეულოს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) მოწყობა (სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა და სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა);

გ.რ.გ) ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);

გ.რ.დ) კაფეტერიის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 6 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3,5 მ-ისა);

გ.რ.ე) საკონფერენციოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);

გ.რ.ვ) გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 15 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);

გ.რ.ზ) საჯინიბოს მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 6 მ-ისა);

გ.რ.თ) სველი წერტილების მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 3 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 2,5 მ-ისა);

გ.რ.ი) დამხმარე ნაგებობის (სამზარეულო, დამხმარე ტექნიკური ნაგებობა, შენობა სამედიცინო პუნქტის, დაცვისა და თანამშრომლების განთავსებისათვის) მოწყობა (სიგრძე – არანაკლებ 5 მ-ისა, სიგანე – არანაკლებ 4 მ-ისა, სიმაღლე – არანაკლებ 3 მ-ისა);

გ.რ.კ) „გ.რ.ა“ – „გ.რ.ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 10 მ-ს;

გ.ს) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (დაცვის ინფრასტრუქტურის და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა);

გ.ს1) „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის 31 პუნქტით განსაზღვრული რეკრეაციული თევზჭერისა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ.ტ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

**დ) ადმინისტრაციულ ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა ადმინისტრაციის გამართულად ფუნქციონირებისათვის და ვიზიტორებისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოვლა-პატრონობა;**

**ე) ბუნების მართვადი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:**

ე.ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისა;

ე.ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვის, მოვლისა და აღდგენისა;

ე.გ) დეგრადირებული ეკოსისტემების დაცვისა და აღდგენისა;

ე.დ) მანიპულაციური სამეცნიერო კვლევისა;

ე.ე) საგანმანათლებლო საქმიანობისა;

ე.ვ) მონიტორინგისა და საკადასტრო სამუშაოთა წარმოებისა;

ე.ზ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობის, აღდგენითი და მოვლითი ღონისძიებების განხორციელების დროს და სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებისა;

ე.თ) ვიზიტორთა ყოფნისა და გადაადგილებისა, ფეხით, ცხენითა და უმოტორო ტრანსპორტით, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით გზებზე ავტო-მოტო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილებისა;

ე.ი) „ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №241 დადგენილების შესაბამისად, ხანძრებისგან და მავნებელ დაავადებათა გავრცელების პრევენციის მიზნით ტყის ჩახერგილობისგან გაწმენდისა, გამხმარი, ზეხმელი, მოთხრილ-მოტეხილი და ძირნაყარი ხეების მოჭრისა და გატანისა.

ე.კ) ხანძრებისგან და მავნებელ დაავადებათა გავრცელების პრევენციის მიზნით გამოსატანი ხე-ტყით ეროვნული პარკის საზღვართან არსებულ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისათვის სოციალური ჭრის წესებით განსაზღვრული მოთხოვნების ფარგლებში დაკმაყოფილებისა.

ე.ლ) მიმდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობის მიერ პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ლიმიტირებულად ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა, სოკოსა და ხილ-კენკრის შეგროვებისა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობისა, ამავე წესის 271 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, ამავე წესის 273 მუხლის შესაბამისად;

ე.მ) შინაური პირუტყვის ალპურ სამოვრებზე გადასაადგილებლად გადასარეკი ბილიკების გამოყენებისა;

ე.ნ) დაცვისა და ეკოტურიზმისთვის ინფრასტრუქტურის შექმნისა და სარგებლობისა;

ე.ო) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარებისა (დაცვის ინფრასტრუქტურისა და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა);

ე.პ) „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით

დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის 31 პუნქტით განსაზღვრული რეკრეაციული თევზჭერისა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე.ჟ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობისა.

### **3. ნებვის აღკვეთილში დაშვებული ქმედებები:**

**ა) მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:**

ა.ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ა.ბ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოება;

ა.გ) საკადასტრო სამუშაოების წარმოება;

ა.დ) საგანმანათლებლო საქმიანობა;

ა.ე) ეკოტურისტული საქმიანობა;

ა.ვ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;

ა.ზ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (დაცვის ინფრასტრუქტურის და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა).

**ბ) ტრადიციული გამოყენების ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:**

ბ.ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ბ.ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;

ბ.გ) ეკოტურიზმი და ეკოგანათლება;

ბ.დ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

ბ.ე) ადგილობრივი მოსახლეობისათვის წინამდებარე მენეჯმენტის გეგმით განსაზღვრული რესურსებით სარგებლობის, გამყოლის/გიდის თანხლებით ტურისტების გადაადგილების დროს სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

ბ.ვ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოება;

ბ.ზ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელება;

ბ.თ) ტრადიციული გამოყენების ზონის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება;

ბ.ი) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;

ბ.კ) ვიზიტორთა ყოფნა და გადაადგილება;

ბ.ლ) სოციალური მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის პირადი მოხმარების მიზნით: ტყის არამერქნული პროდუქტებით სარგებლობა, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა, ხის მეორე ხარისხოვანი მასალებით სარგებლობა, (არსებული რესურსის გათვალისწინებით გამოყოფილი ტყეკაფიდან ერთ კომლზე გაიცემა 10 მ3-მდე საშუალო მერქანი), ყოველწლიურად ადგილობრივი მოსახლეობისათვის 800 მ3 I ხარისხის მერქნით სარგებლობა, მოვება (ტყით დაუფარავ ფართობებზე), საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ მე-12 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობისა და 271 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, 273 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობები;

ბ.მ) „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილების 21 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში მიწისქვეშა წყლებით სარგებლობა;

ბ.ნ) სააღრეცხვო სამუშაოების განხორციელება;

ბ.ო) ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობა;

ბ.პ) ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობა (გარდა სოჭის გირჩისა);

ბ.ჟ) ხის მეორეხარისხოვანი მასალებით სარგებლობა;

ბ.რ) ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით სარგებლობა;

ბ.ს) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება (კომპიურების, პირსების მოწყობა და სხვა);

ბ.ს1) „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის 31-ე პუნქტით განსაზღვრული რეკრეაციული თევზჭერა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ.ტ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა.

#### **4. ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილში დაშვებული ქმედებები:**

**ა) მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:**

ა.ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევები

ა.ბ) მონიტორინგის სამუშაოების ჩატარება (სანიმუშო ფართობების მოწყობა და მუდმივი დაკვირვების წარმოება, ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციების მდგომარეობის შეფასება და დაკვირვება, აღრიცხვა/ინვენტარიზაცია და სხვა);

ა.გ) სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციის პერსონალის ავტო-მოტო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

ა.დ) საკადასტრო სამუშაოების ჩატარება;

ა.ე) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (დაცვის ინფრასტრუქტურის და სახანძრო პირსების მოწყობა და სხვა).

**ბ) ტრადიციული გამოყენების ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, გარდა:**

ა) ტერიტორიაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება;

ბ) ტერიტორიაზე არსებული ეკოსისტემებისა და მის ფარგლებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების დაცვა, მოვლა და აღდგენა;

გ) ტერიტორიის ჰიდროლოგიური დაცვა და მონიტორინგი, დეგრადირებული ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა;

დ) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევები, მათ შორის, არქეოლოგიური და ისტორიულ-კულტურული ძეგლების კვლევა;

- ე) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მუდმივი და დროებითი ვოლიერების მოწყობა;
- ვ) საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ზ) გზებზე ტრანსპორტით გადაადგილება;
- თ) გზების და ბილიკების მოვლა და მოწყობა;
- ი) ტაბაწყურის ტბაზე მოტორიანი და უმოტორო წყლის სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება;
- კ) მონიტორინგის სამუშაოთა წარმოება;
- ლ) საკადასტრო სამუშაოთა განხორციელება;
- მ) ვიზიტორთა ყოფნისა და გადაადგილების, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებებით;
- ნ) ხანძრებისგან, ჩახერგილობისა და მავნებელ-დაავადებათა დაცვის მიზნით, ტყის ჩახერგილობისგან გაწმენდა. დაცვის მიზნით, გამოსატანი ხე-ტყის ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის საზღვართან არსებულ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახეობისათვის სოციალური ჭრის წესებით განსაზღვრული მოთხოვნების ფარგლებში გაცემა;
- ო) ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტორების მიერ სამკურნალო და საკვები მცენარეების პირადი მოხმარებისათვის შეგროვება;
- პ) პირუტყვის ტრადიციული, რეგულირებული მოვება 1 ჰაზე დასაშვებია არაუმეტეს 1 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ან არა უმეტეს 3 წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (ცხვარი, თხა));
- ჟ) მძიმე, მუხლუხიანი სათიბი მოწყობილობებისა და დანადგარების გარეშე თიბვა;
- რ) ტაბაწყურის ტბაზე თევზჭერა;
- ს) თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის 3 1 პუნქტით განსაზღვრული რეკრეაციული თევზჭერისა, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით

ტ) ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 271 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობისა და ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არსებული ობიექტების ფუნქციონირებისთვის, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციის) ან დემონტაჟისთვის მიწის სამუშაოების და/ან სპეციალური ჭრების ჩატარებისა, 27 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობა;

უ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილების 21 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიწისქვეშა წყლებით სარგებლობა;

ფ) საფუტკრეების მოწყობა;

ქ) საზაფხულო საძოვრებზე მწყემსებისა და ტურისტებისთვის ტრადიციული თავშესაფრების, აგრეთვე შინაურ ცხოველთა სადგომების მოწყობა;

ღ) ადგილობრივი მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა;

ყ) დაცვისა და ეკოტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და სარგებლობა;

შ) აქტიური დაცვის ღონისძიებების გატარება (დაცვის ინფრასტრუქტურის და სახანძრო პირსების მოწყობა, მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლა);

ჩ) ინვაზიური სახეობებისაგან აღკვეთილის ტერიტორიის გაწმენდა;

ც) ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება და ეროზირებული მონაკვეთების აღდგენა;

ძ) კულტურული მემკვიდრეობის და ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის, დაცვის, აღდგენის, რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით ხეების მოჭრა;

წ) ტერიტორიაზე, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ფონდს, არსებული ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების ფუნქციონირების, რეკონსტრუქციის (რეაბილიტაციისათვის) ან დემონტაჟის ან ამისათვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები;

ჭ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობები.

**5. გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობები გარდა:**

- ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;
- ბ) მონიტორინგის სამუშაოების განხორციელება;
- გ) ტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობები;
- დ) ბუნებრივი რესურსების აღრიცხვა;
- ე) საკადასტრო სამუშაოების საქმიანობა;
- ვ) ვიზიტორთა კონტროლირებადი და რეგლამენტირებული გადაადგილება;
- ზ) დაცვისა და მოვლის ღონისძიებები;
- თ) ტურისტული ბილიკების მოწყობა და არსებული ბილიკების მოვლა;
- ი) დაცვისა და ტურისტულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის ინფრასტრუქტურის შექმნა და კეთილმოწყობა;
- კ) კანონმდებლობით დაშვებული სხვა საქმიანობები;

**თავი VI. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები**

**მუხლი 38. პასუხისმგებლობა მენეჯმენტის გეგმის განხორციელებაზე**

1. დაცული ტერიტორიების სააგენტო (სააგენტოს ცენტრალური აპარატი და ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია) პასუხისმგებელია მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაზე, მათი განხორციელების მონიტორინგსა და მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე;
2. მენეჯმენტის გეგმა ხორციელდება სამწლიანი საოპერაციო და წლიური სამუშაო გეგმის საშუალებით. საოპერაციო გეგმა მოიცავს განსახორციელებელ ქმედებებს საჭირო ბიუჯეტის ჩათვლით;
3. დაცული ტერიტორიების სააგენტო, ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან ერთად, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობას და თანამშრომლობას გარკვეული ღონისძიებების განხორციელებაში, როდესაც ეს აუცილებელი და საჭიროა.

### მუხლი 39. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

მენეჯმენტის გეგმა მოიცავს მართვის რვა პროგრამას. ამ პროგრამების მიზნები და ქმედებები ესადაგება ძირითად პირდაპირ და არაპირდაპირ საფრთხეებს, გამოწვევებსა და მენეჯმენტის შეზღუდვებს, რომლებიც აღწერილია სიტუაციურ ანალიზში. ეს პროგრამებია:

- ✓ ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მონიტორინგი;
- ✓ პატრულირება და კანონდსრულება;
- ✓ ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება;
- ✓ ეკო-ტურიზმი;
- ✓ გარემოსდაცვითი განათლება;
- ✓ საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- ✓ მენეჯმენტი და ადმინისტრაციის განვითარება

### მუხლი 40. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და მონიტორინგის პროგრამა

<p><b>მიზანი 1:</b> ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება, არსებული მონაცემთა ბაზის დახვეწა და შედეგების მენეჯმენტში პროცესებში ინტეგრირება</p> <p><b>ინდიკატორი 1:</b> 2023 წლისთვის ბორჯომ-ხარაგაულის დაცულ ტერიტორიების ადმინისტრაციას აქვს და იყენებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სრულყოფილ სისტემას და გაუმჯობესებულ მონაცემთა ბაზას, რაც ხელს შეუწყობს მენეჯმენტის ეფექტურობის გაზრდას.</p> <p><b>საბაზისო ინფორმაცია:</b> ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის არსებული პრაქტიკა, რომელსაც არ აქვს სისტემური ხასიათი და შესაბამისი კვლევების ანგარიშები.</p>				
#	ქმედებები	ინდიკატორები	საბაზისო ინფორმაცია	წინაპირობა
1.1	საკვანძო ჰაბიტატების გამოვლენა, საველე შესწავლა და მონიტორინგი (ზურმუხტის ქსელი)	კვლევის შედეგები; მონიტორინგის ანგარიშები	არსებული კვლევები	დონორი, კვლევითი ორგანიზაცია

1.2	ტყის მდგომარეობის მონიტორინგი ბხდტ-ის საკვანძო ადგილებში (ნახანძრალი, ტყის ზედა სარტყლის და ჭრაგავლილი ადგილების მონიტორინგი)	მონიტორინგის ანგარიშები	„ტყის მართვის გეგმა“ 2020, არსებული ანგარიშები	სააგენტოს და ადმინისტრაციის სპეციალისტები
1.3	ტყის მავნებელი მწერების, სოკოვანი დაავადებების და სხვა ტიპის დაავადებების შესწავლა, მონიტორინგი და ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.	კვლევის შედეგები, მონიტორინგის და განხორციელებული ღონისძიებების ანგარიშები	ადმინისტრაციის ანგარიშები	დონორი, კვლევითი ორგანიზაცია
1.4	ინვაზიური სახეობების იდენტიფიცირება, პრიორიტეტიზაცია, და მონიტორინგი.	დარუკებული ლოკაციები და ანგარიშები	არ არის	დონორი, კვლევითი ორგანიზაცია
